გუგა ურუშაძე

უცხოური ინვესტიციები და საქართველოს ეკონომიკის განვითარების გზები

სიესტა
თბილისი
2015

მეცნიერ-რედაქტორი: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, გიორგი მალაშხია

გამოცემაზე პასუხისმგებელი ჯგუფი სიესტა
გამომცემელი | ქეთევან კილურაძე
კორექტორი | მარინა ჭილაშვილი
ტექნიკური უზრუნველყოფა | გვანცა მახათაძე
© გუგა ურუშაძე
გამომცემლობა „სიესტა“, 2015
გამოცემულია 2015, თბილისი

ISBN 978-9941-443-66-4

გამომცემლობა შპს „სიესტა“
თბილისი, დოდო აბაშიძის ქ. 10
ტელ./ფაქსი: +995 32 2 92 31 49
ელ-ფოსტა: books@siestagroup.ge
www.siestabooks.blogspot.com
www.siestagroup.ge

სარჩევი

აბრევიატურები 5

შესავალი 7

თავი 1. კაპიტალის მოძრაობის ზოგადი დახასიათება, ფორმები, მიზნები და შედეგები 13

1.1 კაპიტალის მოძრაობის არსი, აუცილებლობა და მნიშვნელობა 13

1.2. ეკონომიკური ინსტრუმენტების როლი კაპიტალის მობილურობაში 17

1.3. კაპიტალის მოძრაობის მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები 24

თავი 2. ინვესტიციების ეკონომიკური არსი და მნიშვნელობა 27

2.1. ინვესტიციები, მათი ეკონომიკური რაობა და სახეები . . 27

2.2. ინვესტიციური საქმიანობის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი საფუძვლები. 31

თავი 3.უცხოური ინვესტიციები, კაპიტალის მოძრაობის ძირითადი ფორმა გლობალიზაციის პირობებში 43

3.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ტრანსნაციონალური კორპორაციები 43

3.2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განვითარების ტენდენციები 46

3.3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის გამომწვევი მიზეზები და შედეგები 62

3.4 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედეგები და მიზანშეწონილობა 68

თავი 4. უცხოური ინვესტიციებისთვის გარემოს სრულყოფის პრობლემები საქართველოში 78

4.1. საქართველოში უცხოური ინვესტიციების რეგულირებისათვის საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გამოყენების აუცილებლობა და შესაძლებლობა. 78

4.2. ჩინეთის გამოცდილების გამოყენების მიზანშეწონილობა და მნიშვნელობა 85

თავი 5. საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის განმაპირობებელი ფაქტორები. 94

5.1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, ბუნებრივი პირობები, მოსახლეობა და შრომითი რესურსები. 94

5.2. საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა და საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა 109

თავი 6. დასკვნები, ამოცანები, სრულყოფის წინადადებები და საქართველოს ეკონომიკის განვითარების გზები 124

გამოყენებული ლიტერატურა 149

აბრევიატურები:

მშპ – მთლიანი შიდა პროდუქტი
პუი – პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
ტნკ – ტრანსნაციონალური კორპორაცია
ტნმ – ტრანსნაციონალური მეწარმეობა
პუკ – პირდაპირი უცხოური კაპიტალი
წსს – წვრილი და საშუალო საწარმოები
ეთგო – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
სსფ – საერთაშორისო სავალუტო ფონდი

შესავალი

მსოფლიო მაკროეკონომიკის ბიზნესზე ზემოქმედების ძირითად ფაქტორთა (საგარეო ვაჭრობა, კაპიტალის მოძრაობა და უცხოური ინვესტიციები, სამუშაო ძალის მიგრაცია) შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია უცხოური ინვესტიციები, რომელიც, თავის მხრივ, კაპიტალის მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ფორმა და მიმართულებაა თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში.

უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე მსოფლიო ეკონომიკის მთავარ ნიშან-თვისებად მოგვევლინა ეროვნული ეკონომიკების მზარდი ინტეგრაცია, საგარეო ეკონომიკური კავშირურთიერთობების არნახული სისწრაფით განვითარება. კავშირები ეროვნულ ფინანსურ ბაზრებს შორის უფრო ინტენსიური და მასშტაბური ხდება, სულ უფრო მეტი ადამიანი გადაკვეთს საზღვრებს, უზარმაზარ მასშტაბებს აღწევს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) და ტრანს-ნაციონალური კორპორაციების (ტნკ) საქმიანობა. ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როდესაც კაპიტალი, სამუშაო ძალა და წარმოების სხვა ფაქტორები მობილურობით ხასიათდებოდა სახელმწიფოთა ფარგლებში (მოცემული ქვეყნის შიგნით), მაგრამ უძრავი იყო სახელმწიფოებს შორის, ან, უკეთეს შემთხვევაში, ატარებდა ეპიზოდურ, (შემთხვევით) ხასიათს.

კაპიტალიზმის განვითარების კვალობაზე, ამასთან, ქვეყნების უთანაბრო განვითარების შედეგად, ცალკეულ ქვეყნებში კაპიტალი აღმოჩნდა ჭარბი, მეორე მხრივ, ქვეყნების უმრავლესობას საკუთარი კაპიტალი არ ყოფნიდა ჩამორჩენილობის დასაძლევად, რისთვისაც აუცილებელი იყო უცხოური კაპიტალის მოზიდვა. მაშასადამე, ერთი მხრივ, განვითარებულ ქვეყნებში აღმოჩნდა ჭარბი კაპიტალი, მეორე მხრივ, შედარებით ჩამორჩენილ ქვეყნებში წარმოიშვა მოთხოვნა განვითარებულ ქვეყნებში არსებულ ჭარბ კაპიტალზე. შეიქმნა სიტუაცია, როდესაც ორივე ჯგუფის ქვეყნების განვითარებისთვის აუცილებელი ხდება კაპიტალის მოძრაობა

მდიდარი და განვითარებული ქვეყნებიდან ჩამორჩენილ, მაგრამ განვითარების პოტენციალის მქონე ქვეყნებში. ეს ორივე ჯგუფის ქვეყნებისთვის სასარგებლო და მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის განვითარება-სრულყოფისთვის ობიექტურად აუცილებელი გახდა. კაპიტალით მდიდარ ქვეყნებს შეუძლიათ უფრო მეტი შემოსავლების მიღება თავისი შეფარდებით ჭარბი კაპიტალის უცხოეთში გატანის შედეგად, კაპიტალტევადი საქონლის ექსპორტირების გზით; ხოლო, მჭიდროდდასახლებული და ჭარბი სამუშაო ძალის მქონე ქვეყნები წარმატებას აღწევენ სამუშაო ძალის მაღალანაზღაურებადი დასაქმებით ქვეყნის შიგნით და შრომატევადი საქონლისა და მომსახურების ადგილზე წარმოებით, ხოლო შემდეგ მისი ექსპორტირებით. ორივე შემთხვევაში ექსპორტირება ხდება არა კაპიტალის ან სამუშაო ძალის, არამედ მათი ადგილზე ეფექტიანად გამოყენებით მიღებული შედეგების – კაპიტალტევადი და შრომატევადი კონკურენტუნარიანი საქონლის ექსპორტირებით, სხვანაირად რომ ვთქვათ, არა თვით კაპიტალისა და სამუშაო ძალის ექსპორტით, არამედ მათი მწარმოებლურობის ექსპორტირებით, მაგრამ თანდათან მწარმოებლური ძალების განვითარების, შრომის საერთაშორისო დანაწილების სრულყოფის, თავისუფალი მეწარმეობის, ღია საბაზრო ეკონომიკის, საერთოდ კაპიტალის მოძრაობისთვის ხელსაყრელი და ხელშემწყობი საშინაო და საგარეო ლოკალური და გლობალური სოციალურ ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების შექმნის კვალობაზე სულ უფრო ინტენსიურად და მასშტაბურად ვითარდება წარმოების ფაქტორები, მათ შორის კაპიტალის მოძრაობა მსოფლიო მასშტაბით, რაც გამოხატულებას პოულობს კაპიტალის ტრანსნაციონალიზაციაში, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან განმსაზღვრელ ტენდენციას. ეკონომიკურად იგი განპირობებულია კაპიტალის გადინების შესაძლებლობებითა და აუცილებლობით, იმ ქვეყნებიდან, სადაც მისი შედარებით ჭარბი ოდენობაა, ქვეყნებში, სადაც მისი დეფიციტია, სამაგიეროდ ჭარბადაა წარმოების სხვა ფაქტორები (შრომა, მიწა, სასარგებლო წიაღისეული), რომლებიც

არ გამოიყენება ან მინიმალურად გამოიყენება, კაპიტალის უკმარისობის გამო. ტრანსნაციონალიზაცია, მიუხედავად თავისი ობიექტურად დადებითი გავლენისა მიმღები ქვეყნების ეკონომიკაზე, ხშირად აწყდება გარკვეული წრეების წინააღმდეგობას. აქედან წარმოიშობა ძირითადი ნიშან-თვისებები ინტერესების თანხვედრისა და დაპირისპირების ერთდროული არსებობა, ან დროში მონაცვლეობა გლობალური მასშტაბით.

ტრანსნაციონალიზაცია გვეელინება, როგორც კაპიტალის მოძრაობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) – მის ძირითად ფორმად თანამედროვე პირობებში. პუი წარმოადგენს ტრანსნაციონალიზაციის ხარისხის ძირითად დეტერმინანტს. ეს აისახება მოცემული პროცესების ზოგად შეფასებაზე. პუი-სთან ერთად, თანამედროვე პირობებში, უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი სახეობაა პორტფელური ინვესტიციები.

პუი-სგან განსხვავებით პორტფელური ინვესტიციები წარმოადგენს კაპიტალის დაბანდებას ფასიან ქაღალდებში, რომელიც ინვესტორს არ აძლევს რეალურ საშუალებას გააკონტროლოს ინვესტირების ობიექტი, ამიტომ დონორი ქვეყნები ცდილობენ უფრო მეტად განახორციელონ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როგორც, სხვა მიზნებთან ერთად, ინვესტირების ობიექტზე კონტროლის გაწევის შესაძლებლობა და მიმღებ ქვეყანაზე გავლენის გაძლიერების საშუალება. გარდა აღნიშნულისა, ინვესტირების ამ ორი ფორმის ურთიერთგანსხვავება ისიცაა, რომ პორტფელური ინვესტიციები ხშირად მოკლევადიანია, ხოლო პუი ყოველთვის გრძელვადიანი.

ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ განგვეხილა წარმოების ფაქტორების საერთაშორისო მობილურობის სისტემაში კაპიტალის მოძრაობა და უცხოური ინვესტიციები. საერთაშორისო კაპიტალის ნაკადების მოცულობების ზრდა დინამიკაში. ვნახეთ, რომ ეს მობილურობა იღებს მრავალ ფორმას: საერთო ფინანსური ინვესტირება და დაზღვევის ფონდების სპეკულაციური ნაკადები. ფირმები გახდნენ გლობალიზებულები. ამ პროცესების შედეგად საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და ეკონომიკური კავშირები ისე

განვითარდა, რომ საკუთარ ტერიტორიაზე განლაგებული აღმოჩნდა მხოლოდ რამდენიმე წამყვანი კომპანია, დანარჩენი გაბნეულია მთელ მსოფლიოში. საერთაშორისო ინვესტიციები გახდა ფირმების ინვესტირებისა და წარმოების სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ელემენტი, რომელიც ხორციელდება არა მხოლოდ უზარმაზარი მრავალნაციონალური კომპანიების მიერ, არამედ საშუალო რგოლის კომპანიების მიერაც, როგორც ინდუსტრიულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. ეს გლობალიზაცია მოიცავს ფინანსური და ფიზიკური კაპიტალის მოძრაობას ქვეყნის შიგნითაც და საერთაშორისო მასშტაბით ისეთი ფაქტორების მობილურობას როგორიცაა „ნოუ-ჰაუ"-ს ტექნიკური კომპეტენციები. მართალია, სამუშაო ძალის საერთაშორისო მოძრაობა ძალიან იზრდება, მაგრამ არა იმ მასშტაბებით, როგორც კაპიტალის მოძრაობა.

ისმება კითხვა, შეუძლია თუ არა კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობას ისეთივე, ან იქნებ უფრო მეტი როლიც შეასრულოს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში, ვიდრე ასრულებს საგარეო ვაჭრობა და სამუშაო ძალის საერთაშორისო მოძრაობა? რა სარგებლობა მოაქვს საერთოდ წარმოების ფაქტორების და განსაკუთრებით კაპიტალის მოძრაობას, როგორც მიმღები (მომწყობი ქვეყნის) ისე გამგზავნი (სამშობლო ქვეყანა) ქვეყნისთვის? დაეხმარება თუ არა ეს ეკონომიკური განვითარების პროცესს საერთაშორისო და მსოფლიო მასშტაბით და როგორ იზომება ეს სარგებლიანობა? და ბოლოს, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ვალდებულები არიან თუ არა პოლიტიკოსები მოხსნან წარმოების ფაქტორების ბარიერები, განსაკუთრებით, კაპიტალის საშინაო და საგარეო მოძრაობაში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წიგნის ძირითად მიზანამოცანებად ჩვენ წარმოგვიდგება შემდეგი საკითხების განხილვა:

1. კაპიტალის მოძრაობის თანამედროვე მიმართულებანი;
2. კაპიტალის გადადინების ანალიზი, მისი მნიშვნელობა კაპიტალის ბაზირების (დონორი) და კაპიტალის მიმღები ქვეყნებისთვის.

3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) კაპიტალის გადადინების (მოძრაობის) უმნიშვნელოვანესი ფორმა და მიმართულება;
4. უცხოური ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტი კაპიტალის დონორი ქვეყნისა და მიმღები ქვეყნებისთვის;
5. საინვესტიციო გარემოს სრულყოფის გზები საქართველოში.

როდესაც ვსაუბრობთ საერთოდ ეკონომიკაზე, მისი განვითარების ტენდენციებზე, უნდა განვიხილოთ სხვადასხვა ფაქტორებისა და გარემოებათა ერთობლიობა, ურთიერთ მიზეზშედეგობრივი კავშირები. უფრო ადვილი გასაგები რომ გახდეს ეკონომიკის არსი, ის, პირობითად, შეგვიძლია შევადაროთ ადამიანის ორგანიზმს, სადაც ყველა ორგანო, პირდაპირ თუ ირიბად, დაკავშირებულია ერთმანეთთან და, საბოლოო ჯამში, განსაზღვრავს ადამიანის ფიზიკურ, სულიერ, ფსიქოლოგიურ, თუ ინტელექტუალურ მდგომარეობას. შესაბამისად, ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებისა და დარგების ერთობლიობა, მათი განვითარების ფაქტორებისა და წყაროების ამოქმედება და სამეურნეო ბრუნვაში ეფექტიანი ჩართვა განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

1990 წლიდან დღემდე (სრულიად არასაკმარისი ცვლილებებით) ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაშია. შესაბამისად, ცხადია, ქვეყანა და ხალხიც. ადამიანს, რაც არ უნდა ღრმა და მდიდარი იყოს სულიერად, სჭირდება ფიზიკურად არსებობა, ხოლო ამისათვის საჭიროა თითოეულ ადამიანს გააჩნდეს ნორმალური საცხოვრებელი პირობები და საარსებო საშუალებები. საბოლოო ჯამში, სწორედ ამ მიზანს ემსახურება ეკონომიკა. იგი განსაზღვრავს ადამიანის კეთილდღეობას. არანაირი ფასადური მონაცემები, სტატისტიკა სხვადასხვა მიმართულებით, თუ სასტუმროს მშენებლობა ვერ იქნება ეკონომიკის ზუსტი ამსახველი, თუ ყოველდღიურ რეალობაში თითოეული ადამიანის ცხოვრების დონე დაბალია. ეკონომიკის, თუნდაც მაღალი დონე, რომელიც შეიძლება დიდ ნაწილში ემსახურებოდეს, მაგალითად, ქვეყნის შეიარაღებას, თავდაცვის უნა-

რიანობის განმტკიცებას, ვერ იქნება მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების მაჩვენებელი.

ასეთ პირობებში, მძიმე ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ხდება ძალადობა ახალგაზრდებს შორის, და არამხოლოდ, მწვავდება ოჯახური კონფლიქტები, ირღვევა გენდერული თანასწორობა, რისი მომსწრენიც, სამწუხაროდ, ჩვენ დღეს ვართ. ეს ყველაფერი, რაღა თქმა უნდა, ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება ძლიერი ეკონომიკის ქვეყნებშიც მოხდეს, სადაც უმრავლესობა კარგად ცხოვრობს და არ გააჩნია ფინანსური პრობლემები და ხდება კიდეც, მაგრამ, რასაკვირველია, ბევრად უფრო ნაკლები დოზით, რადგან ადამიანის ფინანსური მდგომარეობა ბევრად განსაზღვრავს მის ხასიათს, ფიქრებს, მისწრაფებებს, მიდგომებს და ბოლოს – მოქმედებებს, რასაც, ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა ტიპის აგრესიამდე თუ დეპრესიამდე მიჰყავს ადამიანი. შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლის ყველაზე რეალური გზა ქვეყნის ეკონომიკის განვითარება და, შესაბამისად, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაა.

თავი 1. კაპიტალის მოძრაობის ზოგადი დახასიათება, ფორმები, მიზნები და შედეგები

1.1 კაპიტალის მოძრაობის არსი, აუცილებლობა და მნიშვნელობა

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების უკანასკნელი ათწლეულები ნათლად მოწმობს დიდ, მნიშვნელოვან ცვლილებებს კაპიტალის გადადინების დონესა და სტრუქტურაში, როგორც ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის, ისე ინდუსტრიულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. 1990-იანი და 2000-იანი წლები აღიარებულია „სამართლიანი დაფინანსების" ათწლეულებად, რამაც გამოხატულება ჰპოვა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა (პუი) და კაპიტალის საერთაშორისო გადადინების მოცულობების სწრაფ ზრდასა და განვითარებადი, მათ შორის, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების (პოსტსოციალისტური ქვეყნები) ეკონომიკური დონის ამაღლებაში. უნდა აღინიშნოს, რომ წინამორბედ ათწლეულებში – 1960-იან, 1970-იან და 1980-იან წლებში, საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობის გაბატონებულ (დომინირებად) ფორმას წარმოადგენდა პორტფელური კაპიტალი, რომელიც მოიცავდა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორებს. მიუხედავად 2000-იან წლებში კაპიტალის ბაზრის აქტივობის შემცირებისა, ამ დროისათვის კაპიტალის ბაზარი მაინც უფრო ინტეგრირებული გახდა, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ინტეგრაციის ზრდაზე მიუთითებს შემდეგი მაჩვნებლები:

- საერთაშორისო კრედიტების ფონდმა, რომელიც მოიცავს როგორც უცხოურ სესხებს, ისე შინაგან კრედიტებსა და სესხებს უცხოურ ვალუტაში, ინდუსტრიულ ქვეყნებში მიაღწია მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ნახევარს.
- სახელმწიფო ობლიგაციების მზარდი წილების მფლობელები გახდნენ უცხოელები. საერთაშორისო ანგარიშების ბანკის მონაცემებით ინდუსტრიული ქვეყნების სახელმწიფო ვალის სა-

შუალო მაჩვენებელმა, რომელიც პრეზიდენტებს ეკუთვნოდა, მიაღწია 25 %-ს.[1]

- კერძო სექტორის ობლიგაციებისა და ფასიანი ქაღალდების გამომცემლები დახმარებისთვის ხშირად მიმართავენ საერთაშორისო ბაზრებს. ასეთი მოქმედებები ხშირად დაკავშირებულია კომპანიების ურთიერთშერწყმასთან ან ერთის მიერ სხვების შთანთქმასთან, რაც, ცხადია, კაპიტალის ინტეგრაციის მაჩვენებელია.

რამდენადაც კაპიტალის ბაზრები უფრო ინტეგრირებული გახდნენ, მიმდინარეობს მობილური ინვესტიციური ფონდების სხვადასხვა სახეობათა გავრცელება, რომლებიც გათვალისწინებულია კერძო ინვესტორებისთვის. თითოეულ ცალკე აღებულ ადამიანს მცირე თანხით, ვთქვათ, 5000 აშშ დოლარით, შეუძლია აირჩიოს მრავალი მიმზიდველი ფონდიდან, თითოეული თავისი რისკის დონით და გეოგრაფიული პროფილით.

კაპიტალის მობილურობაზე გავლენას ახდენს მოთხოვნისა და მიწოდების ფაქტორები. მიწოდების მხრიდან შეინიშნება ინვესტიციური ფონდების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა ინდუსტრიულ ქვეყნებში, რომლებიც მაღალ შემოსავალს იღებენ. კაპიტალის მოთხოვნის მხრიდან ფონდების მმართველებზე მზარდმა ზეწოლამ გამოიწვია ფონდების მმართველების იძულება, ეძებნათ უცხოური ინვესტიციების ახალი შესაძლებლობანი, რომ მიაღწიონ უფრო მაღალ მოგებას და აქტივების უფრო მრავალფეროვან ნაკრებს. ფონდების მმართველების მუშაობა განიხილება უფრო ყურადღებით და რეგულარულად. მათ შორის მკაცრი კონკურენციაა. დამატებით მოთხოვნისა და მიწოდების პირობებზე მოქმედებს ორი გარემოება: 1) კაპიტალის მობილურობაზე სახელმწიფოს მიერ თავსმოხვეული ბარიერების თანდათან მოშორება და 2) ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება.

[1] Bank of International Settlements. Annual report, Basel (June 2000); US Treasury Department, Treasury Bulletin.

კაპიტალის ბაზრის ინტეგრაციისკენ მიმავალი გზა არ არის დაბრკოლების გარეშე, პირიქით, წინააღმდეგობებით სავსეა. ამიტომ, წარმატებული ინტეგრაცია და, საერთოდ, განვითარება დამოკიდებულია ამ გზაზე შემხვედრი (არსებული) წინააღმდეგობებისა და დაბრკოლებების წარმატებულ გადალახვასთან. აღნიშნულის დადასტურებაა საბაზრო ეკონომიკის განვითარების მთელი ისტორია. ეს ნათლად წარმოჩინდა მე-20 საუკუნის 90-იან და 21-ე საუკუნის 10-იან წლებში. კერძო და, გარკვეულწილად, სახელმწიფო კაპიტალის დიდი რაოდენობა გადადინდა ე.წ. აზიური ვეფხვების სწრაფად განვითარებად და მაღალმომგებიან ბაზრებში და, აგრეთვე, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ, მათ შორის, პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში. ამ პროცესს, პირველ რიგში, ხელი შეუწყო აღნიშნულ ქვეყნებში წინააღმდეგობებისა და დაბრკოლებების არარსებობამ ან მინიმუმამდე დაყვანამ. 1990-იანი წლების შუა პერიოდისთვის აღმოსავლეთი აზია ყოველწლიურად ღებულობდა 100 მილიარდ აშშ დოლარს. კაპიტალის ამ მთლიანი ნაკადიდან გარდამავალმა სისტემებმა მიიღეს 45 მილიარდი, რაც გათვალისწინებული იყო ჩანასახის მდგომარეობაში მყოფი ეკონომიკური სისტემებისთვის. ამ მაჩვენებელმა მაქსიმალურ სიდიდეს (229 მლრდ. აშშ დოლარი) მიაღწია 1996 წელს.[2]1997 წლის სავალუტო კრიზისის შემდეგ ახალ აზიურ ეკონომიკურ სისტემებში (ტაილანდი, სამხრეთ კორეა, ინდონეზია, მალაიზია და ფილიპინები) კაპიტალის შემოდინება სწრაფად შეიცვალა კაპიტალის გადინებით და ეს არ იყო გამოწვეული იმით, რომ ამ ქვეყნებს უკვე აღარ სჭირდებოდათ უცხოური ინვესტიციები ან თვით მათ ჰქონდათ ჭარბი კაპიტალი, არამედ განპირობებული იყო მსოფლიო საფინანსო და საერთოდ ეკონომიკურ სისტემაში წარმოშობილი კრიზისული მოვლენებით. ამ ქვეყნებში 1997 წელს დაწყებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად იმავე 1997 წელსვე, 1996 წელთან შედარებით, კაპიტალის შემოდინება შემცირდა 299 მილიარდი აშშ დოლარიდან 100 მილიარდამდე, 1998 წელს

[2] Д. Макализ, Экономики Бизнеса – Конкуренция, Макростабильность и Глобализация; Москва, 2007Б стр. 550.

– 60 მილიარდამდე, 2000 წელს – დაახლოებით 50 მილიარდამდე და მხოლოდ 2002 წლიდან დაიწყო ნელ-ნელა ზრდა კაპიტალის შემოდინებამ ამ ქვეყნებში. ეკონომიკის რყევის ეხო ძალზედ იგრძნობოდა მთელს განვითარებად სამყაროში და, ცხადია, მეტ-ნაკლები ზომით განვითარებულ ქვეყნებშიც. შედეგად, წლების მანძილზე კაპიტალის ბაზრების დეზინტეგრაციის პრობლემები მსოფლიო ეკონომიკური აზრისა და პოლიტიკის ცენტრში მოექცა.

კაპიტალის მოძრაობის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და მიზნების თვალსაზრისით, მსოფლიო შეიძლება წარმოვიდგინოთ ორ რადიკალურად განსხვავებულ, ამასთან, გარკვეულწილად ურთიერთდაპირისპირებულ და ამავე დროს ერთმანეთისკენ მისწრაფებულ ურთიერთშემავსებელ, ურთიერთგამანონასწორებელ ნაწილად. პირობითად, ვთქვათ, ჩრდილოეთი (N) და სამხრეთი (S). კაპიტალი ჩრდილოეთში იღებს დაბალ მოგებას, სადაც იგი ჭარბადაა, და მაღალ მოგებას (მოგების მაღალ დონეს) – სამხრეთში, სადაც მისი მწვავე დეფიციტია. ასეთ პირობებში კაპიტალის მოძრაობა მიმართული იქნება სამხრეთისკენ, ე.ი. ჭარბი კაპიტალის ქვეყნებიდან ქვეყნებში, სადაც კაპიტალის დეფიციტია და მოთხოვნა კაპიტალზე მაღალია და, სადაც მოგების ნორმაც მაღალია, ამიტომაც ჭარბი კაპიტალი მიისწრაფვის ამ ქვეყნებისკენ. კაპიტალის ასეთი მოძრაობა ორივე მხარეს აწყობს. ორივე მხარე აღწევს თავის მიზანს: ჭარბი კაპიტალის ქვეყნები კაპიტალის მომგებიან დაბანდებას და დიდი რაოდენობით მოგების მიღებას; ჩამორჩენილი, განვითარებადი, კაპიტალის დეფიციტური ქვეყნები – ეკონომიკის გამოცოცხლებას, უმუშევართა დასაქმებას და, ცხადია, შემოსავლების გადიდებასაც, საერთოდ – ეკონომიკის განვითარების დაჩქარებას, ჩამორჩენილობიდან თანდათანობით თავის დაღწევას. კაპიტალის მოძრაობა განვითარებული ქვეყნებიდან (ჩვენს შემთხვევაში, ჩრდილოეთიდან) განვითარებად ქვეყნებში გაგრძელდება მანამდე, სანამ მოგების ნორმა არ გათანაბრდება ქვეყნების ამ ჯგუფებში (ჩრდილოეთსა და სამხრეთში). კაპიტალის ასეთი მობილურობის შედეგად, ეკონომიკური კეთილდღეობა გაუმჯობესდება როგორც ჩრდილოეთის,

ისე სამხრეთის ქვეყნებში, კაპიტალი გამოიყენება უფრო ეფექტურად. სწორედ ეს არის ქვეყნებს შორის, განსაკუთრებით განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, ეკონომიკური თანამშრომლობის აუცილებლობის მიზეზიც და დადებითი შედეგიც. ეს არის ამავე დროს შეფარდებითი უპირატესობის თეორიის არსის დადასტურებაც და სამეურნეო პრაქტიკაში მისი მოთხოვნების გათვალისწინების მიზანშეწონილობის მაჩვენებელიც.

1.2. ეკონომიკური ინსტრუმენტების როლი კაპიტალის მობილურობაში

რამდენადაც კაპიტალის მობილურობის შედეგად ორივე მხარე – როგორც გამტანი, ისე შემომტანი, მოგებული რჩება, ეს გარემოება სხვა თანაბარ პირობებში სტიმულს აძლევს ორივე მხარეს ცდა არ დააკლოს ამ პროცესის მუდმივ განვითარებასა და სრულყოფას, ამასთან, თითოეულმა მხარემ მიაღწიოს თავისი ინტერესების მაქსიმალურად დაცვას და დასახული მიზნების განხორციელებას. თეორია არ ასაბუთებს და არც პრაქტიკა ადასტურებს იმას, რომ ეს პროცესი წინააღმდეგობების გარეშე და უმტკივნეულოდ ხორციელდება. ეს შეუძლებელიცაა, რადგან ორივე მხარეს აქვს თავ-თავისი ინტერესები, რომლებიც არა მარტო ემთხვევეა ერთმანეთს, არამედ ხშირად ეწინააღმდეგება კიდეც. სხვანაირად შეუძლებელიცაა, ორივე მხარის მაქსიმალური მოგების მიღებისკენ სწრაფვის პირობებში. სწორედ აქ არის აუცილებელი ორივე მხარისთვის რაციონალური მიდგომა, ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინება, გონივრული და ურთიერთმისაღები პოლიტიკის წარმოება.

კაპიტალის მოძრაობის შესახებ მსჯელობა პარაგრაფის ბოლოს გვექნება. ამჯერად ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ზოგიერთ ეკონომიკური ინსტრუმენტის, განსაკუთრებით გადასახადების და საპროცენტო განაკვეთების სწორად გამოყენების მნიშვნელობაზე კაპიტალის მოძრაობის სრულყოფისთვის.

შეიძლება პარადოქსულად ჩანდეს და, გარკვეულწილად, რეალურიც იყოს ის მდგომარეობა, რომ საგადასახადო დაბეგვრის მეშვეობით შემოსავლების გადანაწილება, რომელიც აუცილებელია კაპიტალის მობილურობის უზრუნველსაყოფად, პრობლემატურად ხორციელდება კაპიტალის საერთაშორისო გადადინების გამო. ბევრი სახელმწიფოებისა და მთავრობების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საგადასახადო დაბეგვრის გავლენა კაპიტალის მოძრაობაზე უაღრესად შეიზღუდა, იმის მაგივრად რომ მას აქტიური გავლენა მოეხდინა ამ პროცესზე. შემოსავლების გადანაწილებით კაპიტალის გადადინება პირობებს ჰქმნის ამ პროცესში მოსახლეობის ჩარევისთვის, რათა კაპიტალის შემოდინებით ან გადინებით გამოწვეული დანაკარგები მთავრობამ აუნაზღაუროს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელმაც კაპიტალის ქვეყნებს შორის მოძრაობის შედეგად ზარალი განიცადა და, ამავე დროს, მთავრობა არ შეეხოს მოსახლეობის მდიდარ და წარმატებულ ნაწილს. აღნიშნული გარემოება, საკმაოდ რთულ და ძნელად შესასრულებელ ამოცანებს აყენებს მთავრობის წინაშე. მაგრამ ეს რეალობაა და მისთვის გვერდის ავლა ძნელია.

კაპიტალის მობილურობისა და მისი მომგებიანი ფუნქციონირებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს გადასახადებთან კონკრეტული მდგომარეობებისა და ეკონომიკური ამოცანების მიხედვით, საპროცენტო განაკვეთების სწორად განსაზღვრას. უნდა აღინიშნოს, რომ საპროცენტო განაკვეთი არა მარტო ობიექტურად ყალიბდება კაპიტალზე (ინვესტიციებზე) მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე, არამედ მნიშვნელოვან როლს ასრულებს კაპიტალის მფლობელის (სახელმწიფო, კერძო მეწარმე) სუბიექტური გადაწყვეტილებაც საპროცენტო განაკვეთის ნორმის დაწესების შესახებ. მაგრამ ეს გადაწყვეტილებაც უნდა ემყარებოდეს კაპიტალის მოძრაობის, მასზე მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის შესწავლას, გათვალისწინებას ყველა იმ ფაქტორისა, რომლებიც მოქმედებენ ამ თანაფარდობაზე.

კაპიტალის შემოდინება, თუ მას სწორად გამოვიყენებთ, ინფრასტრუქტურის მოწყობისა და ეკონომიკის განვითარების შესაძლებ-

ლობას იძლევა საკუთარი კაპიტალის უკმარისობის პირობებში. ასეთი შემოდინება გვთავაზობს კაპიტალის უზრუნველყოფისთვის არა მარტო უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთს, არამედ რისკის გადანაწილების შესაძლებლობასაც. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით აშშ და ავსტრალია ვალში არიან ევროპის წინაშე კაპიტალის მოძრაობის საწყისი განვითარების ხელშეწყობისთვის. ევროკავშირი დღემდე აწვდის კაპიტალს ევროპის პერიფერიულ რეგიონებს.

კაპიტალის გლობალური გადადინების ერთი ფარული ეფექტია ეკონომიკის მაკრომართვის გაუმჯობესება. რამდენადაც მოძრავი ძირითადი კაპიტალი სახელმწიფოებს ავალდებულებს გულდასმით და რაციონალურად მართონ ფინანსები. უკვე არ არსებობს შინაგანი დაგროვების დიდი წყარო, რომელიც საშინაო პოლიტიკის გატარების მნიშვნელოვანი ბერკეტი იყო. ფინანსთა მინისტრებს უწევთ თავიანთი ბიუჯეტის შეზღუდვა და მთავრობის ბიუჯეტის გაკონტროლება ისეთი გზებით, რომ არ დააფრთხონ კაპიტალის ბაზრები. კაპიტალის ბაზრებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ მფლანგველობის პოლიტიკაზე, რომელსაც შეიძლება ეწეოდეს მთავრობა. თუ ეს პოლიტიკა გაგრძელდება, მაშინ სამამულო და უცხოელი ინვესტორები თავიანთ კაპიტალს გადაიტანენ უფრო უსაფრთხო ტერიტორიებზე. ეს გამოიწვევს საშინაო საპროცენტო განაკვეთის გაზრდას, ამაში მთავრობებს დაადანაშაულებენ და მოხდება პოლიტიკური დაცემა. კაპიტალის მოძრაობა გამოდის მაკროეკონომიკური პოლიტიკის მარეგულირებელი ინსტრუმენტის როლში.

პროცენტული განაკვეთები პრაქტიკულად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კაპიტალის დინების (მოძრაობის) მიმართულების განსაზღვრაში. 1990-იან წლებში კაპიტალის მკვეთრი ნახტომი საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში იყო პასუხი აშშ-ში დაბალ საპროცენტო განაკვეთებზე, რამაც ამერიკასა და სხვა ინვესტორებს სერიოზული სტიმული მისცა უფრო შემოსავლიანი რეციპიენტები ეძებნათ ახალ რეგიონებში. ბუნებრივია, რომ მოსალოდნე-

ლი შედეგების შეფასებისას საპროცენტო განაკვეთის როლთან ერთად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული პოლიტიკური და ეკონომიკური რისკი და კაპიტალის მიმღები ქვეყნის განვითარების პერსპექტივები. საპროცენტო განაკვეთი, ხატოვნად რომ ვთქვათ, რომელიც რეალობას ასახავს, „სტენოგრაფიული რეზიუმეა", რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსალოდნელ მოგებაზე.

ზემოთ გაკეთებული შეფასებები საშუალებას გვაძლევს ავხსნათ კაპიტალის გლობალური ბაზრის ზოგიერთი გამაოგნებელი (თითქოსდა მოულოდნელი) და ძნელად გასაგები თავისებურებანი. ჯერ ერთი გამოდის, რომ კაპიტალი საერთოდ არ გაედინება მდიდარი ქვეყნებიდან ღარიბ ქვეყნებში.

ცხრილი 1

	ინვესტიციები	დანაზოგი	წმინდა სესხი/ დაკრედიტება*
აშშ	18.8	15.2	+3.6
ევროკავშირი	20.0	20.5	-0.5
იაპონია	22.9	25.7	-2.8
განვითარებადი ქვეყნები მათ შორის	26.5	26.9	-0.4
აფრიკა	21.1	18.8	+2.4
აზია	30.2	31.3	-0.9
შუა აღმოსავლეთი და თურქეთი	23.4	24.4	-1
ლათინური ამერიკა	19.4	18.5	+1.1

* ნიშანი „+" აღნიშნავს წმინდა სესხს, ხოლო ნიშანი „-" – წმინდა კრედიტს.
წყარო: IMF, World Economic Outlook, (სექტემბერი 2004, ცხრილი 44).

ცხრილ 1-ში ნაჩვენებია ინვესტიციების მშპ-სთან შეფარდების შედარება მოსახლეობის დანაზოგების მშპ-სთან შეფარდებასთან. თუ ინვესტიციები სჭარბობს დანაზოგებს, ქვეყანა გვევლინება წმინდა მსესხებლად, სხვა სიტყვებით, ის კაპიტალს ღებულობს მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნებიდან. ამის მიხედვით აშშ წარმოგვიდგება წმინდა მსესხებელ ქვეყნად (3.6% თავის მშპ-ისა 2003 წ.). კაპიტალის გადინება იაპონიიდან აღწევს მისი მშპ-ის 2.8%-ს და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მიდის ღარიბ ქვეყნებში, დიდი ნაწილი მოდის სახელმწიფოს ვალებზე. განვითარებადი ქვეყნები ეწევიან კაპიტალის კოლექტიურ ექსპორტს ჩამორჩენილ ქვეყნებში. მოლოდინს შეესაბამისება მხოლოდ აფრიკა, სადაც კაპიტალის შემოდინება შეადგენს მისი მშპ-ის 2.4%-ს. აშშ-ის მაგალითი კი ლოგიკის საწინააღმდეგოა.

მეორე, მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალის გადინება სულ უფრო იზრდება, მსოფლიო კაპიტალის უზარმაზარი ნაწილი ისევ რჩება მეტწილად მიბმული საშინაო ბაზართან, ვიდრე ეს უნდა ყოფილიყო ოპტიმალურობის თვალსაზრისით კაპიტალის გლობალური ბაზრების მოდელის პირდაპირი ინტერპრეტაციის მიხედვით (ამას უწოდებენ ფელშტაინ-ჰორიოკის გამოცანას). ყურადსაღებია, რომ ევროპული საპენსიო ფონდების მხოლოდ 11% ინვესტირდება ევროკავშირის გარეთ. დანარჩები 89% – ევროკავშირის ქვეყნებში. ამერიკული საპენსიო ფონდები თავისი აქტივების 92%-ს აბანდებენ აშშ-ში. ეროვნული დანაზოგები და ეროვნული ინვესტიციები ასევე მჭიდროდ არის კორელირებული განვითარებად ქვეყნებშიც. ამ ქვეყნებში ინვესტიციების დონე მათი მშპ-ის 26%-ს შეადგენდა, საიდანაც 24% მოდიოდა შინაგან დანაზოგებზე და მხოლოდ 2% – უცხოურ ინვესტიციებზე.

მესამე, კაპიტალის მობილურობის დამახასიათებელ თავისებურებად გვევლინება ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის ორმხრივი გაცვლის უპირატესობა და კაპიტალის ცალმხრივი მოძრაობა განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში. განვითარებული ქვეყნებიდან უცხოური ინვესტიციების პირდაპირი გადინების

საერთო მოცულობამ მიაღწია 1,271 მილიარდ აშშ დოლარს 2000 წელს, მაშინ როდესაც შემოდინებამ იმავე წელს შეადგინა 1,227 მლრდ. დასავლეთ ევროპამ მოახდინა 1,018 მლრდ. აშშ დოლარის კაპიტალის ექსპორტირება და 832 მლრდ.-ის იმპორტირება. აღნიშნული მდგომარეობის ერთ-ერთი აშკარა ფაქტორია წარმოების დიფერენციაცია. ინვესტიციებს სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული დამახასიათებელი ნიშნები აქვთ შემოსავლებისა და რისკების თვალსაზრისით, რომლებიც რეგიონების მიხედვით შეიძლება იყოს არსებითად განსხვავებული. ინვესტორები პროდუქციის ნომენკლატურის საერთაშორისო გაფართოებას განიხილავენ როგორც რისკების გადანაწილების მნიშვნელოვან საშუალებას. საინვესტიციო ფონდების მენეჯერებს უყვართ დივერსიფიცირებული პორტფელების ფლობა და თანამედროვე ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები საშუალებას აძლევს მათ ადვილად მიაღწიონ მიზანს, თანაც, მინიმალური დანახარჯებით.

ქვემოთ მოტანილი ცხრილი გვიჩვენებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ეროვნული დანაზოგების მიმართებას მთლიან შიდა პროდუქტთან, (პროცენტობით გამოხატულს) დინამიკაში 2010-2014 წწ.

ცხრილი 2

	2010	2011	2012	2013	2014 (მოსალოდნელი)
ა.შ.შ პუი დანაზოგები	18.394 15.072	18.545 15.695	19.170 16.320	19.348 16.961	19.754 (მოსალოდნელი) 17.280
დიდი ბრიტანეთი პუი დანაზოგები	15.016 12.323	14.934 13.471	14.746 10.918	14.492 9.981	15.049 (მოსალოდნელი) 10.828

გერმანია პუი დანაზოგები	17.336 23.214	18.251 24.553	17.262 24.622	16.997 24.008	17.701 (მოსალოდნელი) 23.904
ჰოლანდია პუი დანაზოგები	20.420 27.280	20.520 28.978	19.378 28.300	18.289 28.493	18.116 (მოსალოდნელი) 27.993
იაპონია პუი დანაზოგები	19.823 23.784	20.204 22.346	20.795 21.783	21.029 21.716	22.153 (მოსალოდნელი) 23.105

წყარო: International Monetary Fund

როგორც ცხრილიდან ჩანს, ორივე მაჩვენებელი ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია და ამასთან, თითოეულ ქვეყანაში დინამიკაც ასევე განსხვავდება. ამასთან, ა.შ.შ-ში ორივე მაჩვენებლის ზრდა სრულიად უმნიშვნელოა. ასევე, უმნიშვნელოა დანაზოგების ზრდაც. მეტ-ნაკლებად ასეთი მდგომარეობაა დანარჩენ ქვეყნებშიც. შედარებით მაღალია დანაზოგები გერმანიაში და ამავე დროს ხასიათდება ზრდის ტენდენციით. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დანაზოგებში აქვს ჰოლანდიას და იმავდროულად ხასიათდება ზრდის ტენდენციით. ქვეყნების მიხედვით დანაზოგების ხვედრითი წილი პროცენტობით მშპ-ს მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავდება. მაგალითად, 2010 წელს დანაზოგების მაჩვენებელი ინგლისში შეადგენდა 12,3 პროცენტს, ხოლო გერმანიასა და ჰოლანდიაში შესაბამისად 23,2 და 27,3 პროცენტს. ყურადსაღებია, ის გარემოებაც რომ დიდ ბრიტანეთში დინამიკა შემცირების ტენდენციით ხასიათდება, ხოლო ჰოლანდიაში ზრდის ტენდენციით. აღნიშნული მაჩვენებლები გვიჩვენებს განსხვავებულ თანაფარდობებს უცხოურ ინვესტიციებსა და საკუთარ დანაზოგებს შორის და უცხოური ინვესტიციების განსხვავებულ როლს ქვეყნების მიხედვით, მათ ეკონომიკურ განვითარებაში.

1.3. კაპიტალის მოძრაობის მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები

მართალია, შესაძლებელია კაპიტალის გადადინებით დიდძალი სარგებლის მიღება, რასაც ემსახურება კაპიტალის მოძრაობა, მაგრამ, ამასთან, აუცილებელია მხედველობაში მიღებული იქნეს კაპიტალის მოძრაობასთან დაკავშირებული უარყოფითი ეფექტები:

1. კაპიტალის საერთაშორისო გადადინებები შეიძლება იყოს არამყარი. რაც ადვილად შემოიდინება, ასევე ადვილად შეიძლება გაედინოს. ადრე კაპიტალის შემოდინების დიდი ნაწილი „ფუძნდებოდა" კაპიტალის მიმღებ („მომწყობ") ქვეყანაში, რომელიც იძენდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) ფორმას მეწარმეობაში, საკუთრებასა და ინფრასტრუქტურაში. დღეს, კაპიტალი ადვილად აღიქმება, როგორც შემოდინების, ისე გადინების თვალსაზრისით და არ ატარებს გრძელვადიან პასუხისმგებლობებს. კრიზისისადმი ეს მიდრეკილება წარმოადგენს კაპიტალის გადადინების ნაკლოვანებას, უარყოფით მხარეს, რის გამოც ზოგიერთი ცნობილი ეკონომისტი (ბჰაგვათი, სტიგლიცი და სხვ.) განვითარებად ქვეყნებს ურჩევენ, სიფრთხილე გამოიჩინონ კაპიტალის შემოდინების მიმართ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ნაჩქარევი, ეკონომიკური მიზანშეწონილების დასაბუთებას მოკლებული ლიბერალიზაციისგან.

2. კაპიტალის შემოდინებამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ინფლაციური ზეწოლა. უცხოელ ინვესტორებს შეუძლიათ გამოიწვიონ საკუთრების უმართავი ბუმი და აქციები. მოსალოდნელია საკუთრების უფლებების, ეროვნული და უცხოური კაპიტალების მოქმედების სფეროების, ქვეყანაში მათი რეალურ ძალთა თანაფარდობის გაურკვევლობის, ან რაციონალური თანაფარდობის აღრევა და დარღვევაც, რისი თავიდან აცილება აუცილებელია კაპიტალის როგორც მიმღები, ისე გამტანი ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების, საშინაო და საგარეო

ეკონომიკური პოლიტიკის ოპტიმალური შეხამებისთვის, გონივრული კომპრომისების მიღწევის გზით. აღნიშნულის გაუთვალისწინებლად კაპიტალის უმართავმა შემოდინებამ შეიძლება წარმოშვას ისეთი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ფულის მასისა და მსყიდველობითი უნარიანობის ერთდროულ ზრდასთან, ან მათი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობასთან. ეს დიდ სიძნელეებს შეუქმნის კაპიტალის მიმღები ქვეყნის სახელმწიფო ფინანსურ ორგანოებს, მით უმეტეს, თუ ცდილობს მოიპოვოს ანტიინფლაციური ეკონომიკის მქონე ქვეყნის რეპუტაცია.

3. კაპიტალის შემოდინებამ შეიძლება გამოიწვიოს ვალუტის კურსის მოკლევადიანი „გაურკვევლობა". ეს ქვეყანას მიიყვანს დამახინჯებულ ფასობრივ სტიმულებამდე და არაეფექტურ გადაწყვეტილებამდე ვაჭრობისა და ინვესტიციების სფეროებში. ვალუტის კურსის გაურკვეულობის პერიოდში ადვილი შესაძლებელია დაუმსახურებლად გამდიდრდეს რიგი მეწარმე და, იმავდროულად, მათი დიდი ნაწილი დაუმსახურებლად „დაისაჯოს", სანამ ვალუტა თავის რეალურ ღირებულებას მოიპოვებს (შეიძენს). აღნიშნული მოვლენის თუნდაც დროებითი უარყოფითი გავლენის თავიდან ასაცილებლად ბევრი ქვეყანა ცდილობს შეზღუდოს კაპიტალის უმართავი შემოდინება.

4. კაპიტალის გადადინებამ შეიძლება დაასუსტოს ქვეყნის საგადასახადო ბაზა და აიძულოს სახელმწიფო ინვესტორებს შესთავაზოს არარეალური პირობები, ე.წ. სატყუარები. სამამულო და უცხოურ მთავრობებს შორის საგადასახადო კონკურენციამ შეიძლება დაბალი საგადასახადო შემოსულობანი და, შესაბამისად, სახელმწიფო ინვესტირება „ფსკერამდე" დაიყვანოს.

აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინება აუცილებელია ყველა ქვეყნისთვის, განსაკუთრებით, განვითარებადი ქვეყნებისთვის, მათ შორის, ცხადია, საქართველოსთვისაც, იმისთვის, რომ არ აღმოჩნდეს არასასურველ მდგომარეობაში და არ გახდეს გაუაზრებელი და დაუსაბუთებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკის უნებლიე მსხვერპლი, რომელმაც შეიძლება ქვეყანას გამოუსწორებელი

ეკონომიკური ზიანი მოუტანოს, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. ამიტომ, აუცილებელია თითოეულ მეწარმეს, კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურას ყოველთვის ახსოვდეს, რომ არცერთი ეკონომიკური მოვლენა, და არა მარტო ეკონომიკური, ღონისძიება, არ არის ერთნიშნად დადებითი, აღმშენებლობითი ან უარყოფითი, დამანგრეველი ნიშან-თვისებების მატარებელი. ეკონომიკა, უაღრესად მრავალფეროვანი სფეროა, სადაც მრავალი, შეიძლება აღურიცხავი, ფაქტორი, ძალა თუ ძალხაზი, მოვლენა მოქმედებს. ისინი ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, გამორიცხავენ კიდეც, მაგრამ ამავე დროს, ერთმანეთს აპირობებენ, ერთდროულად თუ ერთმანეთის შემდეგ მოქმედებენ, ურთიერთ თანაარსებობენ, ხშირად წინააღმდეგობრივ ურთიერთობებშიც იმყოფებიან და ამ წინააღმდეგობების დაძლევის, გადალახვის გზით ვითარდება ეკონომიკა, მიიღწევა წონასწორობა, რომელიც მრავალ ობიექტურ თუ სუბიექტურ ფაქტორთა, მიზეზთა გავლენით მუდმივად ირღვევა, რომლითაც განვითარების ახალი ეტაპი თუ საფეხური იწყება, წინააღმდეგობანი, თუ უწონასწორობანი გადაილახება, მიიღწევა განვითარება და ახალი წონასწორობა. ყველაფერი ეს მუდმივ ცვალებადობასა და ურთიერთმონაცვლეობაშია. განვითარების ამ მრავალფეროვნებაში სწორი გზის არჩევა, რისთვისაც აუცილებელია მეცნიერებისა და სამეურნეო პრაქტიკის წარმომადგენელთა დაუღალავი და გონიერი მუშაობა, რომ ნებისმიერი ეკონომიკური მოვლენის, მათ შორის, კაპიტალის მოძრაობის, მისი თანამედროვე ძირითადი ფორმის – უცხოური ინვესტიციების არსის, მიზნის, ამოცანების დადებითი, აღმშენებლობითი და უარყოფითი, დამანგრეველი მხარეების შესწავლა, გათვალისწინება, ხელშემშლელი ფაქტორებისა და მიზეზების აღმოფხვრა; ხელშემწყობი ფაქტორებისთვის მთელი ეკონომიკური საქმიანობით, ყოველდღიური მუშაობით მხარდაჭერა და თითოეული მეწარმისთვის, სახელმწიფო მოხელისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რაც სახელმწიფოს უპირველესი ფუნქციაა.

თავი 2. ინვესტიციების ეკონომიკური არსი და მნიშვნელობა

2.1. ინვესტიციები, მათი ეკონომიკური რაობა და სახეები

კვლავწარმოების ობიექტურად აუცილებელი რგოლია ბიზნესში მოხმარებული (გაცვეთილი) ძირითადი საშუალებების ახლით შეცვლა, რომელიც ხორციელდება ამორტიზაციის ანარიცხების დაგროვების მექანიზმის საშუალებით. მისი გამოყენება ხდება ახალი მოწყობილობების შექმნისა და მოქმედი ძირითადი ფონდების მოდერნიზაციისთვის. ამასთანნ ერთად, წარმოების არსებითი გაფართოება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ სახსრების ახალი დაბანდების ხარჯზე, რომელიც გამიზნულია, როგორც ახალი საწარმოო სიმძლავრეების შექმნის, ისე ტექნიკისა და ტექნოლოგიების თვისებრივი განახლებისა და სრულყოფისთვის. სწორედ აღნიშნული დაბანდებები, რომელიც გამოიყენება წარმოების განვითარებისა და გაფართოებისთვის მომავალ პერიოდში შემოსავლის მიღების მიზნით, შეადგენენ ინვესტიციების ეკონომიკურ არსს.

ტერმინი „ინვესტიცია" წარმოიშვა ლათინური სიტყვიდან (investire – შემოსვა, ჩაცმა). ცენტრალიზებული, გეგმიანი ეკონომიკის პირობებში იყენებდნენ ტერმინს „კაპიტალური დაბანდებები", ე.ი. დანახარჯები ძირითადი ფონდების კვლავწარმოებასა, გადიდებასა და სრულყოფაზე. ინვესტიციების ცნების ქვეშ იგულისხმებოდა კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება ეკონომიკის სხვადასხვა დარგში, ე.ი. ინვესტიციები გაიგივებული იყო კაპიტალურ დაბანდებებთან. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დაწყებით, „ინვესტიციების" კატეგორიის შესახებ თვალსაზრისი შეიცვალა, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა კანონმდებლობაში.

ინვესტიციების არსებით ნიშან-თვისებებს წარმოადგენენ:

- ინვესტორების მიერ დაბანდების განხორციელება, რომლებსაც აქვთ საკუთარი მიზნები, რაც ყოველთვის არ ემთხვევა საერთო ეკონომიკურ სარგებლიანობას;
- ინვესტიციებს აქვთ შემოსავლის მოტანის პოტენციური შესაძლებლობა;
- საშუალებების დაბანდების განსაზღვრული ვადა;
- ობიექტებსა და ინვესტირების ინსტრუმენტებში კაპიტალის დაბანდების მიზანმიმართული ხასიათი;
- სხვადასხვა ინვესტიციური რესურსების გამოყენება, რომლებიც ინვესტირების განხორციელების პროცესში ხასიათდებიან მოთხოვნით, მიწოდებით და ფასით;
- კაპიტალის დაბანდების რისკი.

ინვესტორები, როგორც ეკონომიკური კატეგორია, ასრულებენ მთელ რიგ მნიშვნელოვან ფუნქციებს, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ეკონომიკის განვითარება. ისინი წინასწარ განსაზღვრავენ ქვეყნის ეკონომიკის ზრდას, ამაღლებენ მის საწარმოო პოტენციალს.

მაკროდონეზე ინვესტიციები წარმოადგენენ გაფართოებული კვლავწარმოების პოლიტიკის განხორციელების, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისა და ხარისხის გაუმჯობესების, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნისა და ყველა დარგის შეწონასწორებული განვითარების, მრეწველობის აუცილებელი სანედლეულო ბაზის შექმნის, სოციალური სფეროს განვითარების, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და მისი უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრის, უმუშევრობის პრობლემების, გარემოს დაცვისა და ა.შ. საფუძველს.

ინვესტიციები განსაკუთრებით მთავარ როლს თამაშობენ მიკროდონეზე. ისინი აუცილებელია საწარმოთა ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, მეურნე სუბიექტის სტაბილური ფინანსური მდგომარეობისა და მაქსიმალური მოგების მისაღებად. ინვესტიციების გარეშე შეუძლებელია გამოსაშვები საქონლისა და

გაწეული მომსახურების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, ძირითადი ფონდების მორალური და ფიზიკური ცვეთის უარყოფითი შედეგების დაძლევა, ფასიანი ქაღალდების შეძენა და სხვა საწარმოების აქტივებში საშუალებების დაბანდება, ბუნების დაცვის ღონისძიებების განხორციელება და ა.შ.

ინვესტიციური საქმიანობის განხორციელებისთვის, როგორც მიკრო, ისე მაკრო დონეზე, აუცილებელია დეტალურად იქნეს წარმოდგენილი ინვესტიციები არსებული სახეებისა და ტიპების მიხედვით. ყველა ინვესტიციის კვალიფიკაცია შეიძლება სხვადასხვა ნიშნებით.

კაპიტალის დაბანდების ობიექტებისგან დამოკიდებულების მიხედვით, გამოიყოფა რეალური და ფინანსური ინვესტიციები. რეალური ინვესტიციები, ე.ი. კაპიტალის დაბანდება აქტივების შესაქმნელად, დაკავშირებულია ბიზნეს სუბიექტის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტასთან. ინვესტორი, რომელიც ახორციელებს რეალურ ინვესტიციებს, ზრდის თავის საწარმოო პოტენციალს – ძირითად საწარმოო ფონდებს და მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო საბრუნავ საშუალებებს.

ფინანსური ინვესტიციების განხორციელებისას, რომელიც წარმოადგენს კაპიტალის დაბანდებას სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში, უპირველესად ფასიან ქაღალდებში, აგრეთვე სხვა საწარმოთა აქტივებში, ინვესტორი ზრდის თავის ფინანსურ კაპიტალს დივიდენდებისა და სხვა შემოსავლების მიღების გზით. ფინანსურ ინვესტიციებს აქვთ ან სპეკულაციური ხასიათი, ან ორიენტირებულია გრძელვადიან დაბანდებაზე. სპეკულაციური ფინანსური ინვესტიციების მიზანია ინვესტიციების შემოსავლის მიღება დროის კონკრეტულ პერიოდში. გრძელვადიანი ფინანსური ინვესტიციები გულისხმობს ინვესტორების სტრატეგიული მიზნის განხორციელებას და დაკავშირებულია მართვაში იმ საწარმოს მონაწილეობასთან, რომელშიც დაბანდებულია კაპიტალი.

ინვესტიციურ პროცესებში ინვესტორის მონაწილეობის ხასიათის მიხედვით, ინვესტიციები იყოფა **პირდაპირ** და **არაპირდაპირ**

ინვესტიციებად. პირდაპირ ინვესტიციებად თვლიან ინვესტორის უშუალო მონაწილეობას ობიექტებისა და ინვესტირების ინსტრუმენტების, ასევე კაპიტალის დაბანდების შერჩევაში. არაპირდაპირ ინვესტიციებად მიიჩნევენ ინვესტირებას სხვა პირების მეშვეობით, ე.ი. ინვესტიციური ან ფინანსური შუამავლების დახმარებით.

ინვესტირების პერიოდის მიხედვით, ანსხვავებენ **გრძელვადიან, საშუალოვადიან** და **მოკლევადიან** ინვესტიციებს. გრძელვადიანი ინვესტიციებია კაპიტალის დაბანდება სამი და მეტი წლის ვადით, საშუალოვადიანი ინვესტიციები – დაბანდება ერთიდან სამ წლამდე და მოკლევადიანი – დაბანდებები ერთ წლამდე ვადით.

რეგიონული ნიშნის მიხედვით, გამოყოფენ **შიდა** (სამამულო) და **გარე** (უცხოურ) ინვესტიციებს. შიდა ინვესტიციები ხორციელდება ქვეყნის შიგნით არსებული ინვესტიციების ობიექტებში, გარე ინვესტიციები კი – ინვესტიციების ობიექტებში, რომლებიც არიან მის ფარგლებს გარეთ. ამასვე მიეკუთვნება სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების შეძენა: უცხოური კომპანიების აქციები, ან სხვა სახელმწიფოების ობლიგაციები.

საკუთრების ფორმის მიხედვით, ინვესტიციები იყოფიან **კერძო, სახელმწიფო, უცხოურ** და **ერთობლივ** ინვესტიციებად. კერძო ინვესტიციები წარმოადგენენ ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ კაპიტალის დაბანდებას საკუთრების არასახელმწიფოებრივი ფორმებით. სახელმწიფო ინვესტიციებს მიეკუთვნება კაპიტალის დაბანდება, რომელიც ხორციელდება ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების მიერ ბიუჯეტების, არასაბიუჯეტო ფონდებისა და ნასესხები საშუალებების ხარჯზე. **უცხოური ინვესტიციებია არარეზიდენტების (როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირები) მიერ კაპიტალის დაბანდება სხვა სახელმწიფო ობიექტებში და ფინანსურ ინსტრუმენტებში.** ერთობლივი ინვესტიციები ხორციელდება ქვეყნის სუბიექტებისა და უცხოური სახელმწიფოების მიერ ერთობლივად.

თავის მხრივ, უცხოური ინვესტიციები იყოფა **პირდაპირ** და **პორტფელურ** ინვესტიციებად. **პირდაპირ ინვესტიციებს** მიეკუთვნება კაპიტალის დაბანდებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინვეს-

ტორის კონტროლს უცხო ქვეყნების საწარმოებზე (კომპანიებზე). ისინი იძლევიან მართვაში საწარმოთა მონაწილეობის უფლებას. პრაქტიკაში გამოიყენება პირდაპირი ინვესტიციების სხვადასხვა განმარტება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) განმარტებით, ინვესტიციები ითვლება პირდაპირად, თუ უცხოელ ინვესტორს აქვს საწარმოს აქციების 25%-ზე მეტი, ამერიკის შეერთებული შტატების სტატისტიკის მიხედვით, საჭიროა სააქციო კაპიტალის არანაკლებ 10%. **პორტფელური ინვესტიციებია** კაპიტალის დაბანდება საზღვარგარეთული საწარმოების აქციებში (საკონტროლო პაკეტის შეძენის გარეშე), ობლიგაციებში, უცხოური სახელმწიფოების სხვა ფასიან ქაღალდებში, საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ორგანიზაციებში, ევროობლიგაციებში, კაპიტალზე გადიდებული შემოსავლის მიღების მიზნით საგადასახადო შეღავათების, სავალუტო კურსის ცვლილებებისა და სხვათა ხარჯზე. ისინი არ იძლევიან მართვაში საწარმოთა მონაწილეობის უფლებას.

2.2. ინვესტიციური საქმიანობის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი საფუძვლები.

საქართველოში ინვესტიციად ითვლება ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც ჩაიდება და გამოიყენება სამეწარმეო ან სხვა სახის საქმიანობაში მოგების ან სოციალური ეფექტის მიღებისთვის. ასეთ ფასეულობებს ან უფლებებს მიეკუთვნება: ფულადი სახსრები, უძრავი და მოძრავი ქონება, მიწა, შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობა, მიწით ან სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება-კონცესია, პატენტი, ლიცენზია, „ნოუ-ჰაუ“, გამოცდილება და სხვა ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება.

საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტებად, ანუ ინვესტორებად შეიძლება გამოვიდნენ: ფიზიკური ან იურიდიული პირები, სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაციები. ქვეყნის შიგნით შეიძლება

განხორციელდეს კერძო და სახელმწიფო ინვესტირება. ფართოდაა გავრცელებული უცხოური ინვესტიციები. უცხოელ ინვესტორებად ითვლებიან: უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც მუდმივად არ ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე; საქართველოს მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ; იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს საზღვრებს გარეთ.

ინვესტიციური საქმიანობის განხორციელება უნდა ხდებოდეს საქართველოს ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. ამით უნდა იყოს განპირობებული საინვესტიციო საქმიანობის სფერო და ფარგლები. დაცული უნდა იყოს ინვესტორთა უფლება-მოვალეობები. საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ კანონით ზოგიერთ სფეროში საერთოდ აკრძალულია ინვესტირება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, იგი მხოლოდ საქართველოსთვისაა დასაშვები.

საქართველოს ტერიტორიაზე ინვესტირება აკრძალულია: ბირთვული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღის შექმნაში, წარმოებასა და გავრცელებაში; ბირთვული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღის გამოცდის პოლიგონის მშენებლობაში; უცხო ქვეყნებიდან ბირთვლი და ტოქსიკური ნარჩენების ჩამარხვა-გაუვნებლობის მიზნით შემოტანაში; ადამიანის კლონირებასთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებაში; ნარკოტიკული საშუალებების წარმოებაში; დამაძინებელი ყაყაჩოს, კოკას ბუჩქისა და კანაფის მცენარის კულტივირებაში; საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით აკრძალულ საქმიანობაში; ტყვიაშემცველი მოტორული ბენზინის, ტეტრაეთილი ტყვიის, აგრეთვე ფალსიფიცირებული (არასტანდარტული) საყოფაცხოვრებო-კომუნალური მოხმარების თხევადი გაზის იმპორტში ან რეალიზაციაში. იმპორტში ტეტრაეთილტყვიის ინვესტირება დაიშვება მხოლოდ წარმოების ტექნოლოგიით ნებადართულ აუცილებელ შემთხვევებში.

ინვესტირება, რომელიც მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოსთვისაა დასაშვები, ესენია: ფულადი ნიშნების, მონეტების, სახელმწი-

ფო ჯილდოების ნიშნების, საფოსტო მარკების წარმოებაში; ძვირფასი ლითონებისგან დამზადებული ნაწარმის დადამღვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში; სამედიცინო დანიშნულების ნარკოტიკული საშუალებების შექმნასთან დაკავშირებულ საქმიანობაში; სპეციფიკურ კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოტროპული პრეპარატების წარმოებასთან, გადაზიდვასა და რეალიზაციასთან დაკავშირებულ საქმიანობაში; ენერგეტიკის სადისპეტჩერო საქმიანობაში.

კერძო და უცხოელ ინვესტორებს მართვის უფლების გარეშე შეიძლება მიეცეთ ზოგიერთ სფეროში ინვესტირების უფლება. ასეთ სფეროებს მიეკუთვნება საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და საზღვაო ნავსადგურების აკვატორიებში საზღვაო-სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებასთან, მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და კონტროლთან დაკავშირებული საქმიანობა; სარკინიგზო ტრანსპორტის სადისპეტჩერო საქმიანობა; საქართველოს საჰაერო სივრცეში საჰაერო ხომალდების მოძრაობის რეგულირებასთან ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და კონტროლთან დაკავშირებული საქმიანობა; საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან შეთანხმებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი; სამშვიდობო დანიშნულების ბირთვული ენერგიის გამოყენებასთან დაკავშირებული საქმიანობა.

სპეციალური ნებართვის ან ლიცენზიის საფუძველზე ხდება მიწისა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე ქონებრივი უფლების, აგრეთვე ბუნებრივი რესურსების გადამუშავებისა და ათვისების უფლების მიღება. დანარჩენ სფეროებში ინვესტირება შესაძლებელია ყოველგვარი აკრძალვისა და შეზღუდვის გარეშე.

საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული დაბეგრვის რეჟიმი და პირობები რეგულირდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით.

ინვესტიციების შეუფერხებელი მოზიდვის მიზნით, კანონით მნიშვნელოვნად არის განმტკიცებული ინვესტორის უფლებები. საინვესტიციო და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას უც-

ხოლ ინვესტორებს იგივე უფლებები და გარანტიები გააჩნიათ, რაც საქართველოს ინვესტორებს, კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევების გარდა.

საწარმოს ინვესტიციური საქმიანობის პროცესში წარმოებს აუცილებელი საინვესტიციო რესურსების მოძებნა, ინვესტორებისთვის ეფექტური ობიექტების შერჩევა, ხორციელდება შეწონასნორებული ინვესტიციური პროგრამისა და ინვესტიციური პორტფელების ფორმირება და მათი რეალიზაცია.

ინვესტიციური საქმიანობა წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობის სახეს, ამიტომ მისი ორგანიზაცია მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყანაში არსებული საკუთრების ფორმებთან. საკუთრების ფორმისა და საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისაგან დამოკიდებულების მიხედვით, ინვესტიციური საქმიანობის განხორციელება შეიძლება:

- სახელმწიფო ინვესტირების გზით, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა დონისა და მართვის ორგანიზაციების შესაბამისი ბიუჯეტების საშუალებების, არასაბიუჯეტო ფონდებისა და ნასესხები საშუალებების ხარჯზე;
- სახელმწიფო საწარმოებით, ორგანიზაციებით და დაწესებულებებით, მათი საკუთარი და ნასესხები საშუალებების ხარჯზე;
- ინვესტირება, რომელიც ხორციელდება იმ მოქალაქეთა მიერ, რომლებიც დასაქმებულნი არიან სხვადასხვა არასახელმწიფოებრივ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ამხანაგობებში. აგრეთვე საზოგადოებრივი რელიგიური ორგანიზაციებით, სხვა იურიდიული პირებით, რომელიც არ მიეკუთვნება სახელმწიფოებრივ საკუთრებას;
- უცხოური ინვესტირება, რომელიც ხორციელდება უცხოელი მოქალაქეების, იურიდიული პირების, სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ;
- ერთობლივი ინვესტირება, რომელიც წარმოებს ერთობლივად საქართველოსა და უცხოელი მოქალაქეების, იურიდიული პირების ან სახელმწიფოს მიერ.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის პრეროგატივას წარმოადგენს საკუთრების ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოთა ინვესტიციური საქმიანობის წარმატებული განხორციელებისთვის პირობების შექმნა. აგრეთვე ინვესტორების ინტერესების დაცვა. ინვესტიციური საქმიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზის სრულყოფასა და სისრულეზე. საბაზრო გარდაქმნის განხორციელების დასაწყისიდან საქართველოში იღებდნენ და სრულყოფდნენ საკანონმდებლო აქტებს ინვესტიციური საქმიანობის სტიმულირების მიზნით. მნიშვნელოვანია 1991 წელს მიღებული კანონი ინვესტიციური საქმიანობის შესახებ, რომელიც არეგულირებდა საქართველოს ტერიტორიაზე სამეურნეო კომპლექსის ეფექტური ფუნქციონირების, აგრეთვე მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების თანმიმდევრული დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად მიმართულ საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. საინვესტიციო საქმიანობის სრულყოფისა და მისი შემდგომი განვითარების ამოცანები განმტკიცებულ იქნა 1996 წლის 12 ნოემბრის კანონით „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და განმტკიცების შესახებ", რომელიც აღნიშნულ სფეროში ძირითად ნორმატიულ ბაზას წარმოადგენს.

ინვესტიციურ საქმიანობაში მონაწილეობას იღებენ შემდეგი სუბიექტები: ინვესტორები, დამკვეთები, მოიჯარეები და კაპიტალური დაბანდების ობიექტთა გამომყენებლები.

ინვესტორები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც აბანდებენ საკუთარ მოზიდულ ან ნასესხებ საშუალებებს ინვესტიციური საქმიანობის ობიექტებში და იღებენ გადაწყვეტილებებს. ინვესტორები შეიძლება იყვნენ იურიდიული პირები ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. დასაშვებია ინვესტორების მიერ საშუალებების გაერთიანება ერთობლივი ინვესტირების განხორციელებისთვის. თუ ინვესტორი ფლობს მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთს, მაშინ მას ეწოდება **მშენებელი.**

ინვესტორები, რომლებიც აბანდებენ საკუთარ საშუალებებს და ითავსებენ ინვესტიციური საქმიანობის შედეგებს, ეწოდებათ **ინდივიდუალური ინვესტორები**. ინდივიდუალური ინვესტორები, როგორც წესი, იღწვიან საკუთარი მიზნებისთვის, მაგრამ გარდა ამისა, წყვეტენ სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ამოცანებს. ინდივიდუალური ინვესტორი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა გაერთიანება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

ინვესტორები, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას სხვა ფიზიკური და იურიდიული პირების საშუალებების ხარჯზე, საშუალებების მფლობელთა და მესაკუთრეთა შორის ინვესტირების შედეგების განაწილების მიზნით, ეწოდებათ **ინსტიტუციური** ინვესტორები.

ინსტიტუციური ინვესტორი წარმოადგენს ფინანსურ შუამავალს. იგი აწარმოებს ინდივიდუალური ინვესტორების საშუალებების აკუმულაციას და ახორციელებს ინვესტიციურ საქმიანობას. მათ მიეკუთვნება: ბანკები, ინვესტიციური კომპანიები და ფონდები, საპენსიო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები.

ინვესტორების მიზნის მიხედვით, განასხვავებენ **სტრატეგიულ** და **პორტფელურ** ინვესტორებს.

ინვესტორები, რომლებიც ახორციელებენ პირდაპირ ინვესტიციებს კაპიტალის გაზრდისა და წარმოების მართვაში მონაწილეობის მიღების მიზნით, ეწოდებათ სტრატეგიული ინვესტორები.

ინვესტორები, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას მიმდინარე შემოსავლის გაზრდის მიზნით, არიან პორტფელური ან სპეკულაციური ინვესტორები.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ინვესტიციური საქმიანობა არის ნებისმიერი ინვესტორის ხელშეუხებელი უფლება. ყველა ინვესტორი ფლობს თანაბარ უფლებებს თავისი საქმიანობის განხორციელებაზე.

ინვესტორს მინიჭებული აქვს შემდეგი უფლებები: დამოუკიდებლად განსაზღვროს ინვესტიციების მოცულობა, მიზანმიმართულე-

ბა და საჭირო ეფექტიანობა, გახსნას მიმდინარე ან სხვა ანგარიშები საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ საბანკო დაწესებულებებში ნებისმიერი სახის ვალუტით; აიღოს სესხი საქართველოს ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ არსებულ საბანკო და საფინანსო დაწესებულებებიდან ან ფიზიკური თუ იურიდიული პირებისგან; შეიძინოს აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები და, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ არსებული ქონება; ინვესტირების შედეგების ფლობის, გამოყენებისა და განკარგვის უფლებამოსილებები გადასცეს სხვა პირს და სხვა.

უცხოელ ინვესტორს გადასახადებისა და სავალდებულო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ აქვს ინვესტიციებიდან მიღებული მოგების ან სხვა ფულადი სახსრების საქართველოს საბანკო დაწესებულებებში საბაზრო კურსით კონვერსიისა და საზღვარგარეთ შეუზღუდავი რეპატრიაციის უფლება. ასეთი სახსრები შეიძლება იყოს: ნებისმიერი შენატანი უცხოური ინვესტიციით შექმნილი ობიექტის კაპიტალში, ნებისმიერი მოგება, სასესხო სახელშეკრულებო ვალდებულებასთან დაკავშირებული გადასახადები და სხვა. უცხოელ ინვესტორს უფლება აქვს, საზღვარგარეთ გაიტანოს მის საკუთრებაში არსებული ქონება.

ინვესტორს გააჩნია განსაზღვრული ვალდებულებებიც. იგი ვალდებულია: საფინანსო ორგანოებს წარუდგინოს დეკლარაცია მის მიერ განხორციელებული ინვესტიციის შესახებ, მიიღოს და გაითვალისწინოს ექსპერტიზის დასკვნები საინვესტიციო პროექტებზე სანიტარული, ჰიგიენური, ეკოლოგიური, არქიტექტურის, შენობა-ნაგებობების მდგრადობისა და ტექნოლოგიურ მოთხოვნათა გათვალისწინებით; დადგენილი წესით აწარმოოს ბუღალტრული და სტატისტიკური ანგარიშები, არ დაუშვას არაკეთილსინდისიერი კონკურენცია და სხვა.

ინვესტორი შეიძლება გამოვიდეს დამკვეთის, კრედიტორის, შემსყიდველის (სამშენებლო პროდუქციის, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ობიექტების) როლში, აგრეთვე შეასრულოს მშენებლის ფუნქცია.

დამკვეთია ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი, უფლებამოსილი ინვესტორის მიერ – განახორციელოს ინვესტიციური პროექტის რეალიზაცია, ამასთან, არ ჩაერთოს ინვესტორის სამეწარმეო ან სხვა საქმიანობაში. დამკვეთი შეიძლება იყოს აგრეთვე ინვესტორი. დამკვეთი, რომელიც არ არის ინვესტორი, მინიჭებული აქვს კაპიტალური დაბანდებების მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის უფლებები უფლებამოსილების იმ საზღვრებსა და პერიოდებში, რომელიც დადგენილია ხელშეკრულების წესით, ან სახელმწიფო კონტრაქტით.

დამკვეთი, რომელიც ახდენს ინვესტიციური პროექტის რეალიზაციას კაპიტალური დაბანდების სფეროში, ასრულებს შემდეგ ძირითად ფუნქციას:

- დებს ხელშეკრულებას საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ორგანიზაციებთან და ანაზღაურებს საპროექტო-საძიებო სამუშაოებს;
- დებს ხელშეკრულებას სამუშაოთა შემსრულებელთან (მოიჯარე ორგანიზაციებთან, ბანკებთან, საბროკერო სააგენტოსთან) და აწარმოებს შესრულებული სამუშაოს ფულად ანაზღაურებას;
- აფინანსებს კადრების მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას ახალ ობიექტზე მუშაობისთვის;
- აფინანსებს ასაშენებელი საწარმოს დირექციის შემადგენლობას;
- იღებს და ანაზღაურებს მოიჯარისგან შესრულებული სამუშაოს მოცულობას;
- ექსპლოატაციაში უშვებს დამთავრებულ ობიექტს.

დამკვეთი ამ ფუნქციებს ახორციელებს იმ საშუალებების ხარჯზე, რომლის გამოყენებაც ინვესტორის მიერ იქნა მინიჭებული.

მოიჯარე არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ასრულებს სამუშაოს იჯარის ხელშეკრულებით ან სახელმწიფო კონტრაქტით, რომელიც დაიდება დამკვეთების მიერ საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად. მოიჯარე ვალდებულია ჰქონდეს ლიცენზია მოცემული საქმიანობის განსახორციელებლად.

კაპიტალური დაბანდების ობიექტების გამომყენებლები შეიძლება იყვნენ ინვესტორები, ან სხვა ფიზიკური და იურიდიული პირები, სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოები, უცხოეთის სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებისთვისაც იქმნება ინვესტიციური საქმიანობის ობიექტები. თუ ობიექტით მოსარგებლე არ ითვლება ინვესტორად, მათ შორის ურთიერთდამოკიდებულება ყალიბდება ხელშეკრულების საფუძველზე.

ინვესტიციური საქმიანობის სუბიექტს უფლება აქვს შეითავსოს ორი ან რამდენიმე მონაწილის ფუნქცია.

ინვესტიციური საქმიანობის ჩამოთვლილი მონაწილეები – ინვესტორები, დამკვეთები, მოიჯარეები და კაპიტალური დაბანდების ობიექტებით მოსარგებლეები ითვლებიან ინვესტიციური პროცესების ძირითად მონაწილეებად. მათ გარდა, ინვესტიციურ საქმიანობაში მონაწილეობას იღებენ სხვა სუბიექტები, რომლებიც ემსახურებიან კაპიტალური დაბანდების განხორციელების პროცესს. ასეთ მეორეხარისხოვან ორგანიზაციებს მიეკუთვნება კომერციული ბანკები, თუ ისინი არ წარმოადგენენ ინვესტორებს და კრედიტორებს, არამედ ახორციელებენ მხოლოდ დამკვეთის ან ინვესტორის, აგრეთვე სადაზღვევო, კონსალტინგური ფირმების, შუამავლების, მომწოდებლების და სხვ. დავალებების ანგარიშგებას.

ინვესტიციური საქმიანობა უნდა განხორციელდეს საქართველოს სახელმწიფოს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულების, საქართველოს კანონებისა და სამართლებრივი აქტების შესაბამისად, აგრეთვე, დამტკიცებული სტანდარტებით, ნორმებითა და წესებით; უნდა შეასრულონ ის მოთხოვნები, რომლებსაც იყენებენ სახელმწიფო ორგანოები და მათი თანამდებობის პირები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს საკანონმდებლო ნორმებს; გამოიყენონ საშუალებები, რომლებიც მიმართულია კაპიტალურ დაბანდებებზე, მიზნობრივი დანიშნულებით.

საინვესტიციო საქმიანობის ეფექტურად გამოყენების მიზნით, სახელმწიფო, კანონით დადგენილი შესაძლებლობის ფარგლებში, ერევა და წარმართვს ამ პროცესს. აქ მხედველობაში არ არის სა-

ხელმწიფო ინვესტირება, რომლის დროსაც სახელმწიფო გამოდის ინვესტორის როლში. კერძო და უცხოური ინვესტირების დროს ხდება საინვესტიციო საქმიანობის კორექტირება სახელმწიფოს მიერ. შესაძლებელია შეღავათიანი პირობების დაწესება იმ ინვესტორებისთვის, რომლებიც ახორციელებენ საინვესტიციო საქმიანობას საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მიმართულებით და, უპირველეს ყოვლისა, სოციალურ სფეროში, წარმოების ტექნიკურ სრულყოფაში, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში და ა.შ. ეს შესაძლებელია გადასახადების დიფერენცირებით, ლიბერალური საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებით და სხვ.

საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის შემუშავებასა და შესრულებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო შესაბამის უწყებებთან ერთად. სწორედ ამ სამინისტროსთანაა საქართველოს საინვესტიციო სააგენტო, რომლის ფუნქციებია: ინვესტორთა მომსახურება და მათ მიერ წამოწყებულ სამეწარმეო საქმიანობაში ხელის შეწყობა; საქართველოს, როგორც ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი ქვეყნის წარმოჩენა,საინვესტიციო გარემოს, საკანონმდებლო ბაზის, საგადასახადო სისტემასა ინვესტირებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება; საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ შესაძლო პარტნიორების გამოვლენა და ერთობლივ საინვესტიციო პროექტებში მონაწილეობისთვის მათთვის რეკომენდაციების მიცემა; საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდაციების მომზადება და მათი წარდგენა საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი; ინვესტიციების მოზიდვა, უცხო ქვეყნებისა და კომპანიების ინტეგრაცია და მათთან ინდივიდუალური კონტაქტების დამყარება. საინვესტიციო სააგენტოს ეფექტური მუშაობა მნიშვნელოვნად განაპირობებს წარმატებული საინვესტიციო საქმიანობის სტაბილურობას.

საქართველოში ყველანაირი ინვესტიცია მთლიანად და უპირობოდ არის დაცული მოქმედი კანონმდებლობით. საერთოდ, დაუშვებელია ინვესტიციების ჩამორთმევა. გამონაკლის შემთხვევებში, რაც კანონითაა გათვალისწინებული, ინვესტიციის ჩამორთმევა მხოლოდ სათანადო ანაზღაურებითაა დასაშვები. კომპენსაცია, რომელიც მიეცემა ინვესტორს, უნდა შეესაბამებოდეს ჩამორთმეული ინვესტიციის რეალურ საბაზრო ღირებულებას უშუალოდ იმ მომენტისთვის, როდესაც მოხდა ჩამორთმევა. ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, ჩამორთმევას ახორციელებს სასამართლო. გადაწყვეტილება ინვესტიციის ჩამორთმევის შესახებ, აგრეთვე კომპენსაციის პირობებში, შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სასამართლოში. იმ შემთხვევაში, როცა ინვესტორი უცხოელია, განსხვავებული წესი მოქმედებს. დავა უცხოელ ინვესტორსა და საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოს შორის წყდება მხარეთა შეთანხმებით დადგენილი წესით, ან საქართველოს სასამართლოში. უცხოელ ინვესტორსა და საქართველოს სახელმწიფო ორგანოს შორის წარმოშობილი დავა, თუ მისი გადაწყვეტის წესი მათი შეთანხმებით არ არის განსაზღვრული, გადაწყდება საქართველოს სასამართლოში, ან საინვესტიციო დავის საერთაშორისო ცენტრში. გარდა ამისა, უცხოელ ინვესტორს უფლება აქვს, დავის გადასაჭრელად მიმართოს ნებისმიერ საარბიტრაჟო ორგანოს, რომელიც დაარსებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო და მართვის კომისიის საარბიტრაჟო და საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი წესების შესაბამისად. საერთაშორისო საარბიტრაჟო ორგანოების გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. მის აღსრულებას უზრუნველყოფს სახელმწიფო.

საინვესტიციო საქმიანობის ფართოდ დანერგვა მეწარმეობის განვითარებასთან ერთად ეროვნული ეკონომიკის მყარ რელსებზე გადაყვანისა და საქართველოს საფინანსო საქმიანობის სრულყოფის რეალური საფუძველია.

ძირითად სამართლებრივ დოკუმენტად, რომელიც არეგულირებს საწარმოო-სამეურნეო და კაპიტალური დაბანდების სუბიექტებს შორის სხვა ურთიერთობებს, ითვლება საიჯარო ხელშეკრულება, სახელმწიფო კონტრაქტი. კანონმდებლობის ან ხელშეკრულების პირობის დარღვევის შემთხვევაში, ინვესტიციური საქმიანობის სუბიექტები პასუხისმგებელნი არიან საქართველოს კანონმდებლობის წინაშე.

თავი 3.უცხოური ინვესტიციები კაპიტალის მოძრაობის ძირითადი ფორმა გლობალიზაციის პირობებში

3.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ტრანსნაციონალური კორპორაციები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) კაპიტალის მოძრაობის ძირითადი ფორმაა გლობალიზაციის პირობებში. ის გლობალიზაციის მიზეზიც არის და შედეგიც. როგორც მიზეზი ხელს უწყობს ეკონომიკური და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკური, კულტურული და თვით სოციალური პროცესების განვითარებას, საერთოდ ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება-სრულყოფას; მეორე მხრივ, გვევლინება მსოფლიოში გლობალური მასშტაბით მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების შედეგად.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოიცავს: საზღვარგარეთის ქვეყნებში კაპიტალის დაბანდებას, იქ საკუთარი საწარმოების შესაქმნელად, რომელიც გულისხმობს როგორც ახალი საწარმოების მშენებლობას, ისე მოქმედი საწარმოების და არა საწარმო სფეროს ობიექტების რეკონსტრუქციას, გაფართოებას და ტექნიკურ გადაიარაღებას; შენობების, ნაგებობების, მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებების და სხვა ცალკეული ობიექტების შეძენას; მიწის ნაკვეთებისა და ბუნების გამოყენების ობიექტების, აგრეთვე არამატერიალური ხასიათის აქტივების შეძენას; მასში შედის, აგრეთვე დაბანდებები ფინანსურ ინსტრუმენტებში, ე.ი. დაბანდებები აქციებში, ობლიგაციებში და სხვა ფასიან ქაღალდებში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეიძლება, აგრეთვე, წარმოვიდგინოთ, როგორც საერთოდ ინვესტიციური დანახარჯები, განხორციელებული საზღვარგარეთ. პუი მოიცავს აგრეთვე სამამულო საწარმოს მიერ საკონტროლო პაკეტის შეძენას უცხოელი მფლობელების მიერ. პუი იმით განსხვავდება კაპიტალის უბრალო

გადინებისაგან, რომ წარმოების ისეთი ფაქტორების ერთობლიობა, როგორიცაა ტექნიკური ნოუ-ჰაუ, მარკეტინგი, მმართველობითი და ფინანსური გამოცდილებანი, ფინანსურ კაპიტალთან ერთად გადაცემა რეციპიენტ ქვეყანას.

პუი-ს მთავარ წარმომადგენელად, როგორც წესი, ყველგან გამოდის ტრანსნაციონალური მეწარმეობა (ტნმ). უნდა აღინიშნოს, რომ უცხოურ ინვესტიციებს ახორციელებენ არა მარტო მსხვილი ტრანსნაციონალური საწარმოები (კომპანიები, კორპორაციები), არამედ მრავალრიცხოვანი საშუალო ზომის საწარმოებიც. პუი-ების საქმიანობაში შედის ქარხანა-ფილიალების გახსნა უცხოურ სახელმწიფოში, უცხოური კორპორაციების მიერ ადგილობრივი (სამამულო) ფირმების შთანთქმა ან ურთიერთშერწყმა, ერთობლივი საწარმოების შექმნა (როგორც პრივატიზაციის პროგრამის ნაწილი) და ადგილობრივ ფირმებთან შეთანხმება უცხოური კომპანიის მიერ ბრენდის გამოშვებაზე. პუი-ს თავის ბუნებით აქვს ტენდენცია, თავის თავზე აიღოს უფრო სერიოზული და გრძელვადიანი ვალდებულებანი, ვიდრე უბრალოდ პორტფელური კაპიტალის გადადინებაა. მაშინ, როდესაც ფონდების მმართველები რეაგირებენ მოგების მოკლევადიან შესაძლებლობებზე, პირდაპირი ინვესტიციები პასუხს აგებენ მოსალოდნელი მოგების გრძელვადიან შეფასებებზე (მოლოდინების რეალურობაზე). ეს შეფასებები მხედველობაში იღებენ პასუხისმგებლობას: 1. კაპიტალის მიმღები ქვეყნის (რეციპიენტის) ეკონომიკურ ზრდაზე მომავალში; 2. საგადასახადო დაბეგრვის პოლიტიკაზე; 3. სავაჭრო და სავალუტო რეჟიმზე; 4. სამუშაო ძალის ფასზე; გარემოს უსაფრთხოების კანონმდებლობაზე; 6. პოლიტიკურ სტაბილურობაზე – მოკლედ რომ ვთქვათ, საქმიან კლიმატზე ზემომქმედი ცვლადების მთელ გამაზე.

პუი-ს აქვს პოტენციალი იმისა, რომ ქვეყნის განვითარებაში მთავარი ადგილი დაიკავოს, თუმცა, მას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი წარმოშობიდანვე ყოველთვის ეკავა როგორც ბაზრების, ისე რეციპიენტი სახელმწიფოების ეკონომიკურ განვითარებაში, პირველ რიგში, ბიზნესის თვალსაზრისით. რამდენადაც პირდაპირი

უცხოური ინვესტირება მოიცავს წარმოების ფაქტორების პაკეტს, რომელთაგან ზოგიერთი ფაქტორი შეიძლება დეფიციტური იყოს რეციპიენტ ქვეყანაში, სიძნელეების თავიდან აცილების მიზნით, მთავრობებმა შეიმუშავეს მკაფიო სქემები ასეთი ინვესტიციების მოსაზიდად, რომლებიც უშვებს საგადასახადო შეღავათებს, კაპიტალურ დოტაციებს და მუშების სწავლების პროგრამებს. ამ გამოცდილების გამოყენება აუცილებელია მეტ-ნაკლებად ყველა რეციპიენტ ქვეყნისთვის და, პირველ რიგში, ისეთი განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომელთა რიგს მიეკუთვნება საქართველო, ვინაიდან სხვანაირად, მათი ეკონომიკური განვითარება თითქმის შეუძლებელია, საკუთარი ფინანსური რესურსების მწვავე უკმარისობის გამო. მიუხედავად უცხოური ინვესტიციების დიდმნიშვნელოვანი როლისა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში, როგორც ნებისმიერი მოვლენა, თუ ფაქტი, არც პუი-ებია ნაკლოვანი და, რიგ შემთხვევაში, უარყოფით მხარეებისგან თავისუფალი. ამიტომ მას ჰყავს თავისი კრიტიკოსები. ტრანსნაციონალური ინვესტირება წლების განმავლობაში იყო დავისა და კამათის ობიექტი. ბევრი ამტკიცებდა, რომ პუი-ები განვითარებას აფერხებს და სამამულო, ე.ი. კაპიტალის გამტანი ქვეყნების, საწარმოებს შედარებით ნაკლები წვლილი შეაქვთ საკუთარი ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში, ვიდრე მათ შეეძლოთ შეეტანათ უცხოეთში გადადინებული კაპიტალის ქვეყნის შიგნით დაბანდების შემთხვევაში. მართალია, ამ აზრის მომხრეებს აქვთ საკუთარი არგუმენტები, მაგრამ არც საწინააღმდეგო არგუმენტებია (არგუმენტები, რომლებიც მხარს უჭერს პუი-ებს) ნაკლებად დამაჯერებელი და ფაქტებიც იმაზე მეტყველებს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სწრაფად ვითარდება. აქ უადგილო არ იქნება, მოვიგონოთ დიდი ჰეგელის ერთ-ერთი დებულება: „რაც არსებობს, ის გონიერია...“ ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში, პერიოდულად მაინც, წარმოიშვება ჭარბი კაპიტალი, ამას განაპირობებს თვით კვლავწარმოების პროცესის ციკლური ხასიათი – როგორც გარდუვალი რეალობა. ქვეყნის შიგნით წარმოქმნილი ჭარბი კაპიტალი

კი, ასევე ბუნებრივად ეძებს გზას მისი ეფექტიანიად გამოყენებისაკენ. ეს გზა მიდის იმ ქვეყნებში, რომლებიც განიცდიან კაპიტალის მწვავე უკმარისობას და რომელთათვის უცხოური კაპიტალის (ინვესტიციების) მოზიდვა სასიცოცხლოდ აუცილებელია. მაშასადამე, უცხოური ინვესტიციები (პირდაპირი თუ პორტფელური) ერთნაირად აუცილებელია როგორც მისი ბაზირების, ისე რეციპიენტი ქვეყნებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ (და არც შეიძლება არ ჰქონდეთ) უარყოფითი მხარეები, რომელთა შესახებ არაერთგზის მივუთითეთ და ამიტომ აქ არ გავიმეორებთ. მხოლოდ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ ჭეშმარიტებას, რომ ნებისმიერი მოვლენა, მით უმეტეს, ისეთი რთული ფენომენი, როგორიცაა საერთოდ კაპიტალდაბანდებანი, ინვესტიციები საერთოდ და, ჩვენს შემთხვევაში, უცხოური ინვესტიციები, შეუძლებელია ერთმნიშვნელოვნად შეფასდეს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეების, ნიშანთვისებების თვალსაზრისით. მაგრამ, ფაქტი და რეალობა ისაა, რომ მას დადებითი მხარეები გაცილებით მეტი აქვს. ამიტომაც ვითარდება და წარმატებითაც. შექმნილ მდგომარეობაში ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის, ბიზნესმენების ფუნქცია და მოწოდება ის არის, რომ პუი-ების უარყოფითი მხარეები მაქსიმალურად აღმოფხვრან, თავიანთი კვალიფიციური და ინტენსიური საქმიანობით, რაც მთავარია, მაქსიმალურად იღვაწონ უცხოური ინვესტიციების დადებითი მხარეების გასაძლიერებლად და გასამრავლებლად. ცხადია, შედეგებიც შესაბამისი იქნება.

3.2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განვითარების ტენდენციები

თანამედროვე ეტაპზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, ინოვაციური საქმიანობის გაფართოება, ნებისმიერი ქვეყნის, მით უფრო, გარდამავალი ეკონომიკისა და განვითარებადი ქვეყნების წინაშე მდგარი რთული სოციალურ-ეკონომიკური ამო-

ცანების წარმატებით გადაწყვეტა დღის წესრიგში აყენებს საერთოდ უცხოური ინვესტიციების, მათ შორის, პირდაპირი ინვესტიციების როლისა და მნიშვნელობის უფრო ღრმად შესწავლასა და მიღებული შედეგების რეალურ ცხოვრებაში გატარების აუცილებლობას. პრობლემა მთელი სიგრძე-სიგანით და მწვავედ დგას საქართველოს, როგორც პოსტსოციალისტური, განვითარებადი ქვეყნის წინაშე.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ინტეგრაციისა და გლობალიზაციის მიღწეულ დონეზე, ამ პროცესების შემდგომი განვითარებისთვის და ინტეგრირებულ და გლობალიზებულ მსოფლიოში თითოეული ქვეყნის მიერ შესაბამისი ადგილის მოპოვებისთვის აუცილებელია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ეს განსაკუთრებით აუცილებელია განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის. ამით არის განპირობებული აღნიშნული ქვეყნების სისხლხორცეული დაინტერესება უცხოური ინვესტიციებით. ბუნებრივია, რომ საფინანსო რესურსების უდიდესი ნაწილი ძირითადად განვითარებულ ქვეყნებშია თავმოყრილი. ამ ქვეყნების კომპანიები და კორპორაციები ფლობენ მსოფლიო საფინანსო რესურსების უმეტეს ნაწილს, რომელთა მოძრაობა ინვესტირების გზით ხორციელდება. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება მსოფლიოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. გასული საუკუნის ბოლო 30 წლის განმავლობაში იგი 100 მილიარდი აშშ დოლარიდან 6,8 ტრილიონ დოლარამდე ანუ 68-ჯერ გაიზარდა, რაც მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის გაღრმავებაზე მიუთითებს.[3]

უცხოური ინვესტიციების პრობლემებში სწორედ გარკვევისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი კრიტერიუმების სწორედ განსაზღვრასა და გამოყენებას. არსებობს პუი-ს გაზომვის ორი წესი. ერთია **გარკვეულ ვადაში კაპიტალის მარაგზე კონცენტრაცია.** თითოეულ ქვეყანას აქვს შინაგანი მარაგები, რომლებიც წარმოად-

[3] Н. Петраков и др., Об Инвестиционной Политике и Становлинии Рыночной Экономики, «Финансы», 2002, №12.

გენს უცხოელების კუთვნილ კაპიტალს და საგარეო მარაგები, ეს არის თანამემამულეების კუთვნილი კაპიტალი, დაბანდებული უცხოეთის სახელმწიფოებში.ალტერნატიულ მიდგომად გვევლინება საშინაო და საგარეო ინვესტიციების წლიური ნაკადების შესწავლა. აღსანიშნავია, რომ პუი-ს ნაკადები უფრო ცვალებადია, ვიდრე საბირჟო ინდექსები; უფრო მეტიც, წმინდა ნაკადების მიმართულება შეიძლება წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად იცვლებოდეს. ადგილობრივი და უცხოური კაპიტალების შერწყმისა და ურთიერთშთანთქმის პროცესების დაჩქარებამ და დიდმა მასშტაბებმა შეიძლება არაპროპორციული გავლენა მოახდინოს კაპიტალის წლიურ ნაკადებზე. მიუხედავად ამისა, მონაცემებმა კაპიტალის ნაკადების შესახებ პირველ პლანზე შეიძლება წამოსწიოს ცვლილებების აუცილებლობა ინვესტირების მოდელებში, ძირითადი კაპიტალის ინდექსებში, რომელთა გამოვლენა ძნელი იქნება. ინვესტირების პოზიციას როგორც კრიტერიუმს წარმატებით იყენებენ მთავარი მსოფლიო საგარეო ინვესტორები – ესენია ა.შ.შ, ევროკავშირის ქვეყნები და იაპონია (ცხრილი 2).

ცხრილი 3. საშინაო და საგარეო ძირითადი კაპიტალი, 2001 წელი ($ მილიარდი)

	1980	1990	2001
ევროპის კავშირი			
საშინაო კაპიტალი	217	733	2,649
საგარეო კაპიტალი	215	799	2,440
ა.შ.შ			
საშინაო კაპიტალი	83	395	1,321
საგარეო კაპიტალი	215	401	1,382
იაპონია			
საშინაო კაპიტალი	3	10	50
საგარეო კაპიტალი	20	201	300

ლათინური ამერიკა	50	117	693
საშინაო კაპიტალი	9	19	128
საგარეო კაპიტალი			
აღმოსავლეთი, სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია			
საშინაო კაპიტალი	161	284	1,243
საგარეო კაპიტალი	5	41	590
ჩინეთი			
საშინაო კაპიტალი	6	25	395
საგარეო კაპიტალი	–	2	28
ინდოეთი			
საშინაო კაპიტალი	1	2	22
საგარეო კაპიტალი	0.2	0.3	2

წყარო: UNCTD, World Investment Report 2002

ცხრილი 4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კაპიტალი (%-ით მშპ-ის მიმართ)

	საგარეო		საშინაო	
	1980	2000	1980	2000
ა.შ.შ	7.8	13.2	3.0	12.4
დიდი ბრიტანეთი	15.0	63.2	11.8	30.5
იაპონია	1.8	5.8	0.3	1.1
გერმანია	4.6	25.2	3.9	24.1
ნიდერლანდები	23.7	83.3	10.8	65.9
განვითარებადი ქვეყნები	1.3	11.9	10.2	30.9

წყარო: UNCTAD, World Investment Report 2002.

ცხრილი 5. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კაპიტალი (%-ით მშპ-ის მიმართ)

	2010	2011	2012	2013	2014 (მოსალოდნელი)
ა.შ.შ	18.394	18.545	19.170	19.348	19.754 (მოსალოდნელი)
დიდი ბრიტანეთი	15.016	14.934	14.746	14.492	15.049 (მოსალოდნელი)
გერმანია	17.336	18.251	17.262	16.997	17.701 (მოსალოდნელი)
ჰოლანდია	20.420	20.520	19.378	18.289	18.116 (მოსალოდნელი)
იაპონია	19.823	20.204	20.795	21.029	22.153 (მოსალოდნელი)

წყარო: International Monetary Fund

მოცემული ცხრილებიდან ნათლად ჩანს უცხოური კაპიტალის სწრაფი ზრდა. მე-3 ცხრილი გვიჩვენებს საშინაო და უცხოური კაპიტალის მოძრაობას აბსოლუტურ მაჩვენებლებში, ხოლო ცხრილი 4 – პირდაპირი უცხოური კაპიტალის (პუკ) მოძრაობას შეფარდებით მაჩვენებლებში (პუკ %-ით ქვეყნების მშპ-ის მიმართ). როგორც ცხრილებიდან ჩანს, ევროკავშირი, ხოლო კავშირის შიგნით – დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი და ნიდერლანდები არიან ყველაზე მსხვილი საგარეო ინვესტორები. 1980-2001 წლებში საზღვარგარეთ გატანილი ძირითადი კაპიტალის მოცულობა ღირებულებით გამოხატულებაში გაიზარდა მთლიანად ევროკავშირში 16-ჯერ, მათ შორის ყველაზე მეტად გაიზარდა დიდ ბრიტანეთში, გერმანიასა და ნიდერლანდებში, რაზეც მიუთითებს საზღვარგარეთ გატანილი

ძირითადი კაპიტალის შეფარდებითი მაჩვენებლები %-ით მშპ-ის მიმართ. ეს მაჩვენებელი გაიზარდა დიდ ბრიტანეთში 15-დან 63.2-მდე ან 4.1-ჯერ, გერმანიაში შესაბამისად მაჩვენებლებმა შეადგინა 4.6; 25.2; და 5.4; ნიდერლანდებში – 23.7; 83.3 და 3.5. ორ ათეულ წელიწადში ასეთი ზრდა, რა თქმა უნდა, კარგი მაჩვენებელია. იგულისხმება, რომ ზრდა აბსოლუტურ მაჩვენებლებში ბევრად მეტი იქნება. როგორც ამას ადასტურებს ევროკავშირის მონაცემები, შეფარდებითი მაჩვენებლის შედარებით დაბალი ზრდის ტემპი გამოწვეულია თანაფარდობაში მყოფი ორივე მაჩვენებლის ზრდით. ამ შემთხვევაში თანაფარდობის მაჩვენებელი შეიძლება ძალიან სწრაფად იზრდებოდეს, მაგრამ თუ ზრდის ტემპი ორივეგან თანაბარია, შეფარდებითი მაჩვენებელი უცვლელი დარჩება, ე.ი. ზრდის ტემპი არ იქნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია კარგად ვერკვეოდეთ აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლების ურთიერთდამოკიდებულების არსში (დიალექტიკაში).

მეოთხე ცხრილიდან ისიც ჩანს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მშპ-სთან შეფარდებამ 2000 წელს მიაღწია: ნიდერლანდებში 83.3%-ს, დიდ ბრიტანეთში 63.2%-ს, გერმანიაში 25%-ს.

ზემოთ განვითარებული აზრების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ა.შ.შ-ის მონაცემები. როგორც მე-4 ცხრილიდან ჩანს, პუი-ს მშპ-სთან შეფარდების მაჩვენებლები ა.შ.შ-ში მაღალი არ არის: 1980წ 7.8 % და 2000წ. 13.2% (როგორც დავინახეთ ეს მაჩვენებლები ნიდერლანდებში იყო შესაბამისად: 23.7% და 83,3%, დიდ ბრიტანეთში: 15% და 63.2% (იხ. ცხრილი 4). მაგრამ, თუ დავაკვირდებით აბსულუტურ მაჩვენებლებს, დავინახავთ, რომ ეს მაჩვენებლები ა.შ.შ-ში ბევრად მეტია, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. აქაც ჩანს აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლების თვისებრივად განსხვავებული თავისებურებანი, მით უმეტეს, რაოდენობრივ მაჩვენებლებში გამოხატული, რაც ყოველთვის უნდა გვქონდეს მხედველობაში.

განვითარებულ ქვეყნებს მნიშვნელოვანი რაოდენობის (როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი მაჩვენებლებით) საგარეო

ძირითადი კაპიტალის პირობებში შეუძლიათ ჰქონდეთ მსხვილი საშინაო ძირითადი კაპიტალი. ა.შ.შ-ს აქვს საგარეო ძირითადი კაპიტალი 1,382 მილიარდი აშშ დოლარის მოცულობით და საშინაო ძირითადი კაპიტალი 1,321 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით, მაშინ როდესაც ევროკავშირის საშინაო ძირითადი კაპიტალი შეადგენს მისი საგარეო კაპიტალის 3/4-ზე (75%-ზე) მეტს. მართალია, 2000-2010 წწ. არსებითი ცვლილებები მოხდა ინვესტიციების ზრდის თვალსაზრისით და ეს გასაგებია 10 წლიანი პერიოდისთვის, ხოლო რაც შეეხება 2010-2014 წლების მონაცემებს (ცხრილი 5) აქ ცვლილებები, როგორც წესი უმნიშვნელოა, მაგრამ ზრდის ტენდენციით ხასიათდება. იაპონია ამ წესიდან გამონაკლისია (ნაწილობრივ გერმანიაც). იაპონიის საგარეო კაპიტალი მნიშვნელოვანია, თანაც, სწრაფად გაიზარდა 80-90-იან წლებში, მაგრამ საშინაო კაპიტალი უმნიშვნელოა. იაპონური საგარეო ინვესტიციების სწრაფი ზრდა ლოგიკურად გამომდინარეობს მაღალი საექსპორტო მწარმოებლურობიდან. უფრო ადვილია იაპონიის საშინაო ინვესტიციების ნელი ზრდა. ისტორიულად იაპონელები უპირატესობას ანიჭებდნენ უცხოური ტექნოლოგიების ლიცენზირებას, სწამდათ რა, რომ ეს ეროვნული ეკონომიკის განვითარების უფრო გამართლებული გზაა, რადგან ახალი ტექნოლოგიების ლიცენზირება ბევრად უფრო ნაკლებ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ვიდრე ახალი ტექნოლოგიების, ახალი წარმოების საშუალებების წარმოება, მით უმეტეს, რომ იაპონია ღარიბია (გარდა ქვანახშირისა) ამისთვის აუცილებელი წიაღისეულით. ასეთი მიდგომა რეალიზებულია სამთავრობო შეზღუდვებით და საშინაო ინვესტიციებისთვის უწყებრივი ბარიერების შექმნით იაპონიაში.

შეიძლება დაიბადოს კითხვა – რატომ არის იაპონიის შიგნით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასე უმნიშვნელო? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა მხედველობაში მივიღოთ მრავალი გარემოება. იაპონია, მის ეკონომიკურ ძლიერებასა და გავლენასთან შედარებით, ძალიან მცირე ინვესტიციებს ღებულობს გარედან. 2001 წლის ბოლოსთვის იაპონიის მიერ საზღვარგარეთ დაგრო-

ვებულმა ძირითადმა კაპიტალმა (საგარეო კაპიტალი) იაპონიაში შემოსულ უცხოურ კაპიტალს (საშიანაო კაპიტალი) გადააჭარბა 5.3-ჯერ.როგროც ცხრილი 3-დან ჩანს, უცხოურმა კაპიტალმა (უცხოეთში გატანილმა კაპიტალმა) იაპონიაში 2000 წელს შეადგინა მისი მშპ-ს 5.8%, ხოლო საშინაო კაპიტალმა 1.1 % (5.8:1.1=5.3).სხვა ინდუსტრიული ქვეყნების უმრავლესობას ეს თანაფარდობა აქვთ 1 და 2-ს შუა, ე.ი. საგარეო და საშინაო კაპიტალები მოცულობით ან ტოლია (1:1) ან განსხვავება არაარსებითია (1:2). ინვესტიციური ნაკადების შესახებ მონაცემები დაახლოებით იგივე სურათს გვიჩვენებს. იაპონიამ 2001 წელს მსოფლიო პუი-ს მხოლოდ 0.8% მიიღო, მაშინ როდესაც,მსოფლიო პუი-ს გადინებაში მისმა წილმა 6.1% შეადგინა. აქ შეიძლება ისევ დაიბადოს კითხვა – აღნიშნული მდგომარეობა (ასეთი დაბალი წილი) საბაზრო მექანიზმების ფუნქციაა, თუ ის არის საშინაო ინვესტიციებისთვის იაპონიაში სპეციალურად (შეგნებულად) შექმნილი ფორმალური და არაფორმალური ბარიერები?

ისტორიულად იაპონიის მთავრობა პრიორიტეტს ანიჭებდა ადგილობრივი ტექნიკური და მმართველობითი ძალებისთვის ასპარეზის მიცემას. ის ამ მიზანს მისდევდა და, ამავე დროს, მხარს უჭერდა იაპონურ ფირმებს უცხოური ტექნოლოგიების ლიცენზირებაში. 1987-დან 1991 წლამდე პერიოდში იაპონური ტექნოლოგიური იმპორტის ე.ი. იაპონიაში შემოტანილი ტექნოლოგიების, ღირებულებამაც 10-ჯერ გადააჭარბა პუი-ს შემოდინებას.ტექნოლოგიური იმპორტის ღირებულება 2-3-ჯერ აღემატებოდა მის ღირებულებას სხვა განვითარებულ ქვეყნებში.მაგალითად, საფრანგეთში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში.

იაპონელები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლას მაქსიმალურად ზღუდავდნენ, იმ მიზეზით, რომ ფიქრობდნენ, ის უარყოფითად იმოქმედებდა სამამულო ინვესტიციების განვითარებაზე, ან იაპონიის ეკონომიკის წარმატებულ ფუნქციონირებაზე. უცხოური ფირმები სერიოზულ წინააღმდეგობებს აწყდებოდნენ იაპონიაში უცხოურ და ადგილობრივ საწარმოთა საქმიანობაზე, სა-

ქმიანობის ურთიერთშერწყმასა თუ ეფექტიან თანამშრომლობაზე იაპონიის სახელმწიფოს მიერ შემოღებული შეზღუდვების გამო. იაპონიის სახელმწიფო მხარს უჭერდა სამამულო კაპიტალს კორპორატიულ კაპიტალში მაღალი წილის მისაღებად, რომლის კაპიტალი ეკუთვნოდა სამამულო და უცხოური მრავალრიცხოვანი ფირმების უზარმაზარ კონგლომერატებს, სადაც მომუშავენი დასაქმებული იქნებოდნენ მთელი სიცოცხლის მანძილზე, როგორც ეს იაპონიაშია მიღებული, განაწილების მრავალდონიანი სისტემით.

მოკლედ რომ ვთქვათ, იაპონიამ მიიღო თავდაცვითი მდგომარეობა უცხოური ინვესტიციების მიმართ. ფაქტიურად, ეს იყო პროტექციონისტული პოლიტიკა, განხორციელებული სამამულო ბიზნესის ინტერესების დაცვის მიზნით. აღსანიშნავია, რომ შვეიცარიაც და ნორვეგიაც ფაქტიურად იგივე პოლიტიკას ატარებენ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით. აქაც ძნელია ეროვნულ ბაზრებში უცხოელი ინვესტორების შეღწევა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უცხოელი ინვესტორები ეძებენ სამამულო ფირმების, ბუნებრივი რესურსების, უძრავი ქონების აქციების შესყიდვის გზებს. ამ მხრივ, ზემოთ მითითებულ სამივე ქვეყანას გაუმართლა, რომ მათ შეძლეს მძლავრი ინდუსტრიული სექტორის აშენება. აღსანიშნავია, რომ უცხოური ინვესტიციებისადმი იაპონელების ზემოთ მითითებული დამოკიდებულებებისგან პრინციპულად განსხვავდება დამოკიდებულება საშინაო ინვესტიციებისადმი. ევროპული კომისიის ანგარიშის მიხედვით: „პუი-დან[4] და სხვა საქმიანობიდან მიღებული სარგებელი დაეხმარა იაპონიას, გამხდარიყო ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო მსოფლიოში." (European Commission, "Trade and Investment" Disscussion Paper, ბრიუსელი დეკემბერი 1994, გვ. 16).სანამ საშინაო ინვესტიციების იაპონური პოლიტიკა არ იქნა ლიბერალიზებული, იაპონიის ეკონომიკაში (მხედველობაშია იაპონიის მიერ საზრვარგარეთ განხორციელებული პუი.) შეღწევა იყო ძალიან ძნელი და ნელი ეკონომიკური განვითარება ინვესტორებს განიზიდავდა.

[4] მხედველობაშია იაპონიის მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული პუი.

უცხოური ინვესტიციებისადმი დამოკიდებულებაში იაპონურმა პოლიტიკამ წინ წამოსწია საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ იგებს უცხოური ინვესტიციებისგან. პუი-სადმი იაპონიის დამოკიდებულების შეცვლაზე ზეწოლა ხორციელდებოდა გარედან, ა.შ.შ-სა და ევროპის პოტენციური ინვესტორებიდან, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ მათი მოგება გაიზრდებოდა იაპონურ ბაზარში შესვლით. რა თქმა უნდა, ამ ზეწოლამ შედეგი გამოიღო. უცხოური კაპიტალი იაპონიაში, დოლარის ექვივალენტში 90-იან წლებში გაიზარდა დაახლოებით 5-ჯერ[5]. ეს იმას ნიშნავს,რომ იაპონიის ეკონომიკა მაშინაც კარგად ვითარდებოდა, როდესაც ატარებდა უცხოური ინვესტიციების შეზღუდვის პოლიტიკას. საფიქრებელია, რომ იაპონიის განვითარება მე-20 საუკუნის 70-იან 80-იან წლებში უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. მაგრამ იაპონიისთვის მთავარი იყო ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი აემაღლებინა საკუთარი ძალებით და, ამავე დროს, თავი დაეცვა საერთაშორისო მასშტაბით მიმდინარე ეკონომიკური რყევებისგან, რასაც მიაღწია კიდეც. იაპონურ გამოცდილებას ჩვენ სპეციალურად დავუთმეთ განსაკუთრებული ყურადღება, იმიტომ, რომ ვფიქრობთ, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს დიდი განსხვავება ჩვენი და იაპონიის ეკონომიკაში, როგორც განვითარების დონით, ისე ტრადიციების და ეროვნული ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, არსებითი განსხვავებაა ჩვენს სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის, მაინც უაღრესად სასარგებლო იქნება იაპონური მენეჯმენტისა და ეკონომიკის მშენებლობის გამოცდილების გათვალისწინება. თუმცა, ყოველგვარი თავისებურებების და გამოცდილების შესწავლის გარეშე, აპრიორი ცხადია, რომ კრიტიკული დამოკიდებულება ანალიზის და ყოველგვარი ეჭვის გარეშე შეუძლებელი და გაუმართლებელია ნებისმიერი მოვლენის, ეკონომიკური პრინციპების, მეთოდის, სისტემის მიღებისას. რა თქმა უნდა, ეს ეხება ნებისმიერ ეკონომიკურ მოვლენას, ფაქტს, მათ შორის, ცხადია, ინვესტიციებ-

[5] წყარო: United Nations, world Investment Report. New York, 2002. R.I. Lawrence, "Why is Foreign in Japan so Law?" Transnational Corporations. December, 1992.

საც, ინვესტირებას, ეს იქნება სამამულო თუ (მით უმეტეს) უცხოური. გარკვეული სიფრთხილისა და გონიერების გარეშე ყოვლად გაუმართლებელია ნებისმიერი ღონისძიების გატარება, ვინაიდან, ყველა მოვლენას, ღონისძიებას, სისტემას აქვს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, შესაძლებლობანი, მოულოდნელობანი და ასე შემდეგ. მარტო იმის ცოდნა და გათვალისწინება რამდენს ნიშნავს, რომ ყველას – შინაურს თუ გარეულს თავისი მიზნები აქვს და ეს მიზნები უფრო ხშირად ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ვიდრე ემთხვევა, როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტური მიზეზთა გავლენით. უცხოელი იმიტომ კი არ მოდის თავისი კაპიტალით, რომ მაინცდამაინც შენ გახეიროს, არც რომელიმე ქვეყანას შემოაქვს კაპიტალი, რომ უცხოელს სარგებლობა მოუტანოს. ყველას თავ-თავისი ინტერესები აქვს. ამიტომ, აუცილებელია მათი გათვალისწინება ორივე მხარისთვის და, ურთიერთ კომპრომისების გზით, ურთიერთსასარგებლო შეთანხმებამდე მისვლა. ეს კი მოითხოვს საკუთარი ინტერესების, მიზნების ღრმად ცოდნას, მათ დაცვას და, ამავე დროს, სხვისი ინტერესების გათვალისწინებას. ეს თანაბრად ეხება ორივე მხარეს.

განვითარებადი ქვეყნები არიან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წმინდა მიმღებები. როგორც ცხრილი 2 გვიჩვენებს, ჩინეთი გახდა უცხოური ინვესტიციების მიმღები მთავარი ქვეყანა განვითარებად ქვეყნებს შორის. ამჟამად ჩინეთი მსოფლიოში მესამე ქვეყანაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცემულობის მიღების მაჩვენებლით, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის შემდეგ.

ინდუსტრიული ქვეყნები გვევლინებიან უმნიშვნელოვანეს საგარეო ინვესტორებად. მათი კაპიტალის საგარეო გადინება ბევრად ჭარბობს შემოდინებას და აღწევს კაპიტალის გლობალური გადინების საერთო მაჩვენებლის 93.5% (ცხრილი 6).

ცხრილი 6. პუი-ის შემოდინებისა და გადინების რეგიონული განაწილება (%მთლიანი მსოფლიოდან)

	შემოდინება		გადინება	
	1995	2001	1995	2001
განვითარებული ქვეყნები მათ შორის:	63.4	68.4	85.3	93.5
ა.შ.შ	17.9	16.9	25.7	18.4
იაპონია	-	0.8	6.3	6.1
ევროკავშირი	35.1	43.9	44.7	58.8
სხვები	10.4	6.8	8.6	10.4
განვითარებადი ქვეყნები	32.3	27.9	14.4	5.9
აზია	20.7	13.9	12.3	5.1
ლათინური ამერიკა	10.0	11.6	2.1	
სხვები	1.5	2.4	0.1	-0.4
დანარჩენი	4.3	3.7	0.2	0.6
სულ	100	100	100	100

* პუი-ს საერთო შემოდინება 2001 წელს $735 მილიარდს მიაღწია.

წყარო: UNCTAD, World Investment Report 2002.

ცხრილში ნაჩვენები კაპიტალის მოძრაობის მაჩვენებლები ასახავს რეალური სურათის მხოლოდ ნაწილს, აქ არ ჩანს კაპიტალის ის დიდი ნაწილი, რომლის მობილიზაცია ხდებოდა სესხების მეშვეობით და კაპიტალის მიმღები ქვეყნების მესაკუთრე მეწარმე პარტნიორების მიერ. კაპიტალის საერთო ნაკადები, რომელიც ასოცირებულია შესაძლებელია ბევრად აღემატებოდეს ზემოთ მოტანილ ცხრილში ასახული ნაკადების მოცულობას.

აქ მოტანილი სტატისტიკური მონაცემების საფუძველს და კაპიტალის მოძრაობაზე მიმდინარე უზარმაზარი ცვლილებების გამოხატულებას წარმოადგენს კაპიტალის მიმღებ ქვეყნებში პოლიტიკის ორიენტირება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე. აღსანიშნავია, რომ რეციპიენტ ქვეყნებში შემოსულ უცხოურ ინვესტიციებზე ამ ქვეყნის კონტროლი თანდათანობით სუსტდება და, ბევრ შემთხვევაში, მთლიანად უქმდება. უცხოური ინვესტორები ამჟამად მიესალმებიან რეციპიენტ ქვეყნებს, რომლებიც ადრე ეჭვის თვალით უყურებდნენ უცხოელ ინვესტორებს და შიშს გამოთქვამდნენ, წუხდნენ ავტონომიურობის დაკარგვაზე და უცხოელებისთვის გადაწყვეტილებების მიღების უფლების გადაცემაზე.ევროპელი მთავრობები უკვე შეშფოთებულები არ არიან ევროპული და ამერიკული ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენით, არამედ, პირიქით, ეძებენ მეთოდებს ინვესტიციების წასახალისებლად, იმისგან დამოუკიდებლად, საიდან მოდის ეს ინვესტიციები. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის მთავრობა გულუხვ სტიმულს სთავაზობს კორეელ და იაპონელ ინვესტორებს და კმაყოფილია იმით, რომ მათ ლიდერის პოზიცია უკავიათ დიდი ბრიტანეთის ინვესტიციებში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მზარდი ნაკადები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომსახურების სფეროში. მომსახურების სფეროში პუი-ების ხვედრითი წილი საშინაო ინვესტიციებში 64% შეადგენს და გლობალური საშინაო კაპიტალის დაახლოებით ნახევარს უდრის.[6] მაგალითები მოიცავენ საბანკო სისტემას და დაზღვევას, ავიაციასა და ტურიზმს, განაწილებასა და ტელეკომუნიკაციებს. მომსახურების სფეროში ახალი მომსახურების ბაზრები გამოჩნდა ქსელური ტელეფონებისთვის, სათანამგზავრო ტელეხედვისთვის, მონაცემთა გაცვლისა და გლობალური ქსელებისთვის, რომლებიც მიმზიდველ შესაძლებლობებს სთავაზობენ ტრანსნაციონალურ საწარმოებს თავიანთი კონკურენტუნარიანი ტექნოლო-

[6] European Commission, Europpean Union Direct Investment 2000. European Commission "Trade and Investment." Discussion Paper (ბრიუსელი, დეკემბერი 1995 გვ. 6).

გიების გამოყენებაში. მოსალოდნელია, რომ მომსახურების სფეროში პუი-ის ზრდა მომავალშიც გაიზრდება, ამ სფეროს სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით, რომელიც იმავდროულად მაღალელასტიურია შემოსავლებით, სავაჭრო ლიბერალიზაციით და უზარმაზარი შესაძლებლობებით, იაფად მიაწოდოს უცხოელებს მაღალი მოგების უზრუნველმყოფელი მომსახურება.

ცხრილი 7. პუი-ის შემოდინებისა და გადინების რეგიონული განაწილება (მლრდ დოლაროობით და %მთლიანი მსოფლიოდან)

რეგიონები	პუი-ს შემოდინება					
	2011		2012		2013	
	აბს. მაჩვ.	%	აბს. მაჩვ.	%	აბს. მაჩვ.	%
მსოფლიო	1 700		1 330		1 452	
განვითარებული ქვეყნები	880	51.8	517	38.8	566	39
ევროკავშირი	490	28.8	216	16.2	246	17
ჩრდილოეთ ამერიკა	263	15.5	204	15.3	250	17.2
განვითარებადი ქვეყნები	725	42.6	729	54.8	778	53.6
აფრიკა	48	2.8	55	4.1	57	3.9
აზია	431	25.3	415	31.2	426	29.4
სამხრეთ აზია	44	2.6	32	2.4	36	2.4
ჩრდილოეთ აზია	53	3.1	48	3.6	44	3
ლათინური ამერიკა	244	14.3	256	19.2	292	20.1
გარდამავალი ეკონომიკები	95	5.6	84	6.3	108	7.4

რეგიონები	პუი-ს გადინება					
	2011		2012		2013	
	აბს. მაჩვ.	%	აბს. მაჩვ.	%	აბს. მაჩვ.	%
მსოფლიო	1 712		1 347		1 411	
განვითარებული ქვეყნები	1 216	71	853	63.3	857	60.8
ევროკავშირი	585	34.2	238	17.7	250	17.8
ჩრდილოეთ ამერიკა	439	25.6	422	31.4	381	27
განვითარებადი ქვეყნები	423	24.7	440	32.7	454	32.2
აფრიკა	7	0.4	12	0.9	12	0.9
აზია	304	17.8	302	22.4	326	23.1
სამხრეთ აზია	13	0.8	9	0.7	2	0.2
ჩრდილოეთ აზია	22	1.3	19	1.4	31	2.2
ლათინური ამერიკა	111	6.5	124	9.2	11	8.1
გარდამავალი ეკონომიკები	73	4.3	54	4	99	7

ნყარო: UNCTAD World Investment Report 2014

ცხრილისთვის თვალის ერთი გადავლებითაც საინტერესო სურათი ჩანს: ჯერ ერთი, განვითარებულ ქვეყნებში პუი-ის შემოდინება 2011-2013 წწ. მკვეთრად ეცემა, როგორც აბსოლუტურ, ისე შეფარდებით მაჩვენებლებში, პირველის მიხედვით – 880 მლრდ-დან 566 მლრდ-მდე, ე.ი. 314 მლრდ-ით, ხოლო მეორის (შეფარდებითის) მიხედვით – 71%-დან 60%-მდე, ე.ი. 10,2 პროცენტული პუნქტით. მეორე, განვითარებადი ქვეყნების ხვედრითი წილი მსოფლიო პუიში კი იზრდება, როგორც აბსოლუტურ, ისე შეფარდებით მაჩვენებლებში, პირველით – 725 მლრდ-დან 778 მლრდ-მდე, ხოლო პროცენტებში – 42,0%-დან 53,6%-მდე, ანუ 7,5%-ით.

უნდა აღინიშნოს, რომ პუი-ს შემოდინების ასეთი რეგიონული განაწილება გამართლებულად უნდა ჩაითვალოს, იქედან გამომდინარე, რომ განვითარებულმა ქვეყნებმა მაღალ დონეს მიაღწიეს და საკუთარი კაპიტალიც დიდი აქვთ, ამიტომ არის აუცილებელი ინვესტიციების გატანის გაზრდა, ხოლო განვითარებად ქვეყნებში, პირიქით, როგორც ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში, აუცილებელია უცხოური ინვესტიციების შემოდინების ზრდა.

რაც შეეხება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს, მათი წილი, მართალია, უმნიშვნელოდ, მაგრამ იზრდება ინვესტირების შემოდინებაში და ეს გამართლებულია. უფრო მეტიც, ამ ქვეყნებში პუიების შემოდინების ზრდა გაცილებით მეტი უნდა იყოს, რომ ეკონომიკურ ჩამორჩენილობას თავი დააღწიონ.

პუი-ის გადინებაში პარადოქსულ მოვლენასთან გვაქვს საქმე, რაც იმაში გამოიხატება, რომ განვითარებულ ქვეყნებში პუი-ის გადინება შემცირების ტენდენციით ხასიათდება, განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში კი, პირიქით, ინვესტიციების გადინება იზრდება. სხვა თანაბარ პირობებში შებრუნებულ მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე. ამიტომ, ამ პარადოქსის ახსნა სპეციალურ კვლევას საჭიროებს.

3.3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის გამომწვევი მიზეზები და შედეგები

ამჟამად ძალიან ბევრი ფირმა, კომპანია თუ კორპორაცია ჩართულია საერთაშორისო ეკონომიკურ საქმიანობაში და ჩართულობის თუ მონაწილეობის ხარისხი, ინტენსიობა განუწყვეტლივ ძლიერდება. ცნობილია, რომ წამყვანი კომპანიების მიერ განხორციელებული გაყიდვების 30-40% მიმდინარეობს ეროვნულ საზღვრებს გარეთ[7]. ტრანსნაციონალური საწარმოების მიერ წარმოებისა და ბაზრის გლობალიზაციას ხელი შეუწყო 3 ძირითადმა ფაქტორმა: მსოფლიო ვაჭრობის ზრდამ, კაპიტალის ბაზრის ინტეგრაციამ და ტექნოლოგიურმა პროგრესმა, მართვის ტექნოლოგიასა და სტრუქტურაში ინოვაციის ჩათვლით. ბიზნესი ინტერნაციონალურად უნდა განვითარდეს მრავალი გზით:

- ექსპორტი სამამულო ქვეყნიდან;
- უცხოური ბიზნესის იურიდიული უფლება საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე;
- მონაწილეობა უცხოურ წარმოებაში.

როდესაც ბიზნესი ირჩევს მესამე გზას, ის შედის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკაში. ამ შემთხვევაში მომავალი გადაწყვეტილებანი მიღებული უნდა იქნეს უცხოურ წარმოებაზე კონტროლის მეთოდის გათვალისწინებით. მაგალითად, ტრანსნაციონალურმა კომპანიამ შეიძლება გადაწყვიტოს საქმიანობის დაწყება ახალი ქარხნის აშენებით. ე.ი., როგორც იტყვიან, დაიწყოს „სუფთა ფურცლიდან". ალტერნატივის სახით მას შეუძლია შეიძინოს ადგილობრივი კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტი ან შექმნას ერთობლივი საწარმო ადგილობრივ კომპანიასთან, ან კიდევ, ადგილობრივ კომპანიას შეერწყას.

როგორც წესი, მეწარმეობა ირჩევს პირდაპირი ინვესტიციების გზას, იმიტომ რომ უფრო მეტ მოგებას ელოდება თავისი უპირატე-

[7] J.H. Duning, The Globalisation Of Business (London: Routledge, 1993, p.107.).

სობების გამოყენებით, ვიდრე თავისი „ნოუ-ჰაუ"-ს მიყიდვით ადგილობრივი კომპანიებისთვის. ადგილობრივ კომპანიებს ის უპირატესობა აქვთ, რომ უფრო ღრმად და კარგად იცნობენ ადგილობრივ პირობებს, ადათ-წესებს, კულტურასა და საქმიანობას. თუმცა, არის საწინააღმდეგო პრობლემებიც, რომლებიც ექმნება (შეიძლება შეექმნას) ფირმას, რომელიც თავის „ნოუ-ჰაუ"-ს ყიდის.იმისათვის, რომ უცხოურ ნარმოებაში ფირმის მონაწილეობა უფრო ხელსაყრელი გავხადოთ, ცნობილმა ეკონომისტმა დანინგმა დაადგინა პირობების სამი ჯგუფი, რომლებიც უნდა იქნეს დაკმაყოფილებული. დანინგი ამტკიცებს, რომ საზღვარგარეთ ინვესტირებისთვის გადაწყვეტილების მისაღებად სამი პირობა არის განმსაზღვრელი.

• საკუთრების უპირატესობა: ფირმა უნდა ფლობდეს სპეციალურ საკუთრებრივ ცოდნას, სავაჭრო მარკას ან მოქნილ მენეჯმენტს და ადამიანურ კაპიტალს.

• დანახარჯები გადაადგილებაზე: ფირმებისთვის უნდა იყოს არსებითი ფასობრივი პრივილეგიები, რაც საკმარისი იქნებოდა დიდი სასტარტო დანახარჯების საკომპენსაციოდ.

• ინტერნალიზაცია: „საბაზრო რეგულირების დეფექტი" უნდა იყოს ისეთი, რომ საზღვარგარეთ საქმიანობა ხელსაყრელი გახდეს შვილობილი საზოგადოების სრული ფლობის მეშვეობით და არა წარმოების უფლების მიყიდვით დამოუკიდებელი ფირმისთვის.

თანამედროვე მიდგომები იყენებენ იმავე ცვლადებს, რასაც დანინგის მოდელი, მაგრამ მათ უფრო მკაცრ თეორიულ ჩარჩოებში აერთიანებენ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იყოფა ორ ძირითად კატეგორიად:

პირველი კატეგორია – ეს არის ჰორიზონტალური პუი-ბი. აქ მოტივაციად გამოდის ადგილობრივი ბაზრისთვის უფრო ეფექტური მომსახურება რეციპიენტ ქვეყანაში ახალი საწარმოს შექმნის გზით.შვილობილი საზოგადოება ეწევა ხარჯების ეკონომიას სატრანსპორტო დანახარჯების შემცირებით, იმპორტული შეზღუდვების (სატარიფო ნახტომები) თავიდან აცილებით და, ზოგიერთ შემთხვევაში, უფრო დაბალი ხელფასებით.საბაზრო მონაწილეობას

შეიძლება ჰქონდეს სტრატეგიული მოტივაცია, მით უმეტეს მაშინ, თუ რეციპიენტი ქვეყნის ბაზარი მსხვილი და სწრაფად განვითარებადია. ასეთ ქვეყნებში ევროპელი და ამერიკელი ტრანსნაციონალური საწარმოები მსხვილ ინვესტიციებს აბანდებენ. ეს ქვეყნები დიდ ინვესტიციებს აბანდებენ. ეს ქვეყნები დიდ ინვესტიციებს ახორციელებენ ერთმანეთშიც. ამ შემთხვევაში, ეფექტი შეიძლება მიღწეულ იქნეს წარმოების მასშტაბების გადიდებით. განვითარებული ქვეყნების ბევრი პუი-ები წარმოადგენენ ჰორიზონტალურს. ჩინეთში ინვესტიციების დიდი წილი მიღწეულ იქნა სურვილით, მტკიცედ დაფუძნებულიყვნენ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დინამიურ ბაზარზე.

ცნობილია, რომ გლობალურ ეკონომიკაში კონკურენტული უპირატესობა მნიშვნელოვანწილად მიიღწევა ლოკალური ფაქტორების ანგარიშზე, რაც მიუღწეველია შორეული კონკურენტებისთვის. ადრე, „ძველ დროში" ეს „ლოკალური ფაქტორები" იყო იაფი მუშახელი, მსხვილი ადგილობრივი ბაზარი და ნედლეულის ადვილად „შოვნა". ამჟამად ამათ უნდა დაემატოს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ცოდნა, საქმიანი ქსელი, გარემომცველი გარემო და მთავრობის მოტივაცია.

ვერტიკალური პუი-ები ეს არის პუი-ების მეორე ტიპი. ტრანსნაციონალური საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი თანამედროვე პირობებში იღებს საწარმოს ფორმას, რომელმაც ერთი ან რამდენიმე სტადია შექმნა თავის საწარმოო ციკლის შემადგენელ ნაწილად, სტადიად, ისეთ რეგიონში, სადაც წარმოების დანახარჯები დაბალია და მიზნად ისახავენ სწორედ იქიდან მოემსახურონ გლობალურ ბაზარს. ვერტიკალური პუი-ების მოზიდვის წინაპირობაა კონკურენტული ფასის სტრუქტურა რეციპიენტ ქვეყანაში და შეღწევა საშინაო ბაზარში და მესამე ქვეყნების ბაზრებში. წარმოების პროცესის სხვადასხვა სტადიებს განსხვავებული მოთხოვნები აქვთ რესურსებზე და, რამდენადაც რესურსების ღირებულება ქვეყნების მიხედვით განსხვავდება, ხელსაყრელი ხდება წარმოების დანაწევრება ისე, რომ შედარებით ნაკლებად კვალიფიციური სა-

ქმიანობა ორგანიზებულ იქნეს უფრო იაფ, ნაკლებად განვითარებულ რეციპიენტ ქვეყნებზე და მაღალკვალიფიციური საქმიანობის ნაწილი დაიტოვონ შინ ინვესტიციების ბაზრების ქვეყნებმა.

ასეთი მეთოდებითა და მიდგომებით და, რაც მნიშვნელოვანია, შვილობილი საწარმოების გადაადგილების სტრატეგიით ტრანსნაციონალური კორპორაციები სულ უფრო ადიდებენ მოგებას და ძლიერ გავლენას ახდენენ გლობალურ წარმოებასა და სავაჭრო კავშირებზე. პატარა ქვეყნები, მაგალითად, სინგაპური და ირლანდია, იღებენ პუი-ების არაპროპორციულ მოცულობას, თავიანთი ეკონომიკის მასშტაბებთან შედარებით, მაშინ როდესაც, დიდი ეკონომიკის ქვეყნები, მაგალითად, იაპონია და ინდოეთი – პირიქით. თუმცა, ამას სხვადასხვა ახსნა აქვს. როცა ქვეყანა ხდება უფრო სწრაფად განვითარებადი, აყვავებადი და სამუშაო ძალა – უფრო ძვირი, ეკონომიკური ლოგიკა უბიძგებს, ზოგჯერ აიძულებს კიდეც, ტრანსნაციონალურ საწარმოებს, თავისი კაპიტალი გადაიტანონ უფრო იაფ რეგიონებში, როგორც წესი, განვითარებად ქვეყნებში.

ისმება კითხვა: რატომ ახორციელებენ ფირმები ინვესტიციებს საზღვარგარეთ? სპეციალისტები ფიქრობენ, რომ საზღვარგარეთ ინვესტირებისთვის გადაწყვეტილების მიღების განმსაზღვრელია სამი პირობა[8]:

1. საკუთრების უპირატესობანი: ფირმა უნდა ფლობდეს სპეციალურ მონოპოლისტურ უპირატესობებს – ისეთებს, როგორიცაა, საკუთრების უფლებების ცოდნა, სავაჭრო მარკა ან ბრენდის სახელი, პატენტი, უფრო იაფი წყლის რესურსები, ან წარმოების მასშტაბის ეფექტი და ფართო პროფილის ეფექტი, რომლებიც სხვა ფირმებს არ ექნებათ, ან მცირე მასშტაბით ექნებათ. თუ ეს პირობა არ არის დაკმაყოფილებული, ადგილობრივ კომპანიას შეუძლია დამოუკიდებლად დაიწყოს მუშაობა

[8] წყარო: John Duning Explaining International Production (London. Unwin Hyman, 1988); J. Markusen and A. Venables, "Foreign Direct Investments as a Catalyst for Industrial Development", European Economic Review, 43 (1999); UNCTAD, World Investment Report 2001, Geneva.

და ადგილზე აწარმოოს ანალოგიური საქონელი. საკუთრების უპირატესობანი მოიცავს ფირმის ყველა კონკურენტულ უპირატესობას.

2. განწყობის უპირატესობანი: რომ ავხსნათ, რატომ ფუძნდება ინვესტორი საზღვარგარეთ და არა საკუთარ ქვეყანაში, არჩეულმა მიმღებმა-რეციპიენტმა ქვეყანამ ინვესტორს უნდა შესთავაზოს კაპიტალის გადაადგილების მნიშვნელოვანი ცვლადების სია, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ მაჩვენებლებს: სამუშაო ძალის ფასი, კვალიფიციური სამუშაო ძალის პოვნის შესაძლებლობა, კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციების საშუალებები, კვლევების ჩატარების შესაძლებლობები, ადგილობრივი ბაზრის მოცულობა, მთავრობის სტიმულირება (დაინტერესება) და საგადასახადო დაბეგვრის პოლიტიკა – მოკლედ რომ ვთქვათ, „ინვესტირების კლიმატს“. ამ ცვლადების მნიშვნელობის რაც შეიძლება ზუსტი განსაზღვრა არის ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს მთავარი ამოცანა, ხელისუფლებისა, რომელიც დაინტერესებულია ეკონომიკის სტიმულირებით. მოძღვრება პუი-ს დეტერმინანტების (განსაზღვრების) შესახებ გვთავაზობს, რომ რეციპიენტ ქვეყანაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია: კორპორატიული საგადასახადო განაკვეთები, პროფკავშირების საქმიანობა და გამოკვლევების და დამუშავებების ჩატარების შესაძლებლობა. სამუშაო ძალის რეგიონული ღირებულება, უმუშევრობა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანია იმის განსასაზღვრად, თუ რომელი ქვეყანა უნდა იქნეს არჩეული ინვესტირებისთვის.

3. ინტერნალიზაციის უპირატესობანი. აუცილებელია არსებობდეს, მეწარმეს სახელმწიფოს გააჩნდეს, „საბაზრო რეგულირების დეფექტის“ გამანეიტრალებელი, აღმოსაფხვრელი წყარო, რომელიც ხელს შეუშლის, წინააღმდეგობას გაუწევს საკუთრების უპირატესობით მოპოვებულ უპირატესობას. ასეთი უპირატესობანი ხშირად აღმოცენდება მეცნიერებატევად ინდუსტრიებში.

ხშირად ფირმა ახერხებს გამოიყენოს წარმოების მასშტაბის ეფექტი და ფართო პროფილის ეფექტი, ან კიდევ თავისი რეპუტაცია, რომ თვით აწარმოოს პროდუქტი. საავტომობილო კომპანიები ხშირად ამ მიზეზით ცდილობენ შექმნან ადგილობრივ მეწარმეებთან ერთობლივი საწარმოები და არა მოიპოვონ, აწარმოონ უცხოელი ინვესტორების სახელით. წარმოებაზე უფლების გაყიდვით საწარმო კარგავს კონტროლის უფლებას, ან მის ნაწილს და საშიშროების ქვეშ დააყენებს თავის რეპუტაციას. ხალხი ყიდულობს მერსედესს იმიტომ, რომ ის წარმოებულია ფირმა მერსედესის მიერ. შეიძლება გადაიფიქრონ მერსედესის ყიდვა, თუ გაიგებენ რომ ის წარმოებულია ადგილობრივი საწარმოს მიერ. ინტერნალიზაციის მეორე მიზეზი შეიძლება გახდეს სამართლებრივი სისტემის სისუსტე, არასრულყოფილება ინვესტიციების მიმღებ ქვეყანაში. დანინგის მიერ შემოთავაზებული და ჩვენს მიერ ზემოთ განხილული სამივე პირობის დაცვა აუცილებელია საზღვარგარეთ წარმოების პროცესში სამამულო ფირმის მომგებიანი მონაწილეობისთვის. დანინგმა გულდასმით შეადგინა სქემა, რომ ეჩვენებინა სამივე პირობის შესრულების აუცილებლობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მომგებიანობისთვის. წარმატებისთვის საჭიროა კომპანია ფლობდეს რაიმე, სხვებისგან განსხვავებულ უპირატესობას, ფასეულობას, რომლის აუნაზღაურებლად კოპირება, სარგებლობა სხვებისთვის შეუძლებელი იქნებოდა. საბაზრო რეგულირების დეფექტი, რომელიც ბუნებრივად ახასიათებს ამ სისტემას, კარნახობს, რომ ეს უპირატესობა ინტერნალიზებულ იქნეს და არა მიეყიდოს სხვას ექსპლუატაციისთვის. რეციპიენტმა ქვეყანამ ნათლად უნდა წარმოიდგინოს კომპანიის გაადვილების უპირატესობა იმისთვის, რომ ის დაინტერესდეს უცხოეთში ბიზნესის მოწყობაში, დაფუძნებაში.

3.4 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედეგები და მიზანშეწონილობა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები თავის თავში მოიცავს პოტენციური ატრიბუტების პაკეტს, რომელთა ამოქმედება და გამოყენება შესაძლებელს ხდის ახალი ტექნოლოგიების, მმართველობითი და ტექნიკური „ნოუ-ჰაუ"-ს განვითარებას, საერთაშორისო ბაზრებში შეღწევას.

მართალია, თითქმის ყველა ქვეყანა ცდილობს საშინაო ინვესტიციების განხორციელებას, ის ქვეყნებიც კი, რომლებიც ამას ადრე ეჭვის თვალით უყურებდნენ, შესაბამისი შესაძლებლობის უქონლობის გამო. ამით აიხსნება ის ფაქტი რომ ყველა თანამედროვე კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ მიმართულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეჟიმის ლიბერალიზაციისათვის.[9] მთავრობების უმრავლესობას სწამთ, რომ საგარეო ინვესტიციები მნიშვნელოვან მოგებას მოუტანს მათ ეკონომიკას. მაგრამ არსებობს ორჭოფული მოსაზრებებიც. ინვესტიციების მიმღები ქვეყნების ნაწილის მთავრობები იმაზე ღელავენ, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში უცხოურმა ინვესტიციებმა შეიძლება ზიანი მოუტანოს სამამულო ეკონომიკას, ქვეყნის შიგნით იმაზეც წუხან, რომ წარმოების ინტერნაციონალიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს სამუშაო ადგილების ექსპორტი.

ინტერნაციონალიზაციის ზემოთ განხილული ფაქტორებისაგან განსხვავებით, არსებობს პრაქტიკული პრობლემა: როგორც კი ფირმები ფართოვდებიან, საშინაო ბაზარი მათთვის არასაკმარისი ხდება. ამ შემთხვევაში, მეურნეობრიობის ინტერნაციონალიზაცია გვევლინება ფირმის ოპერაციების გაფართოებისა და ახალ ბაზრებთან და ახალ იდეებთან კავშირების დამყარების საშუალებად.

[9] მსოფლიო ინვესტიციების 2009 წლის ანგარიშის თანახმად, კანონში პუი-ს შესახებ 71 ქვეყნის მიერ შეტანილ იქნა 208 ცვლილება, რომელიც 90% მიმართულია უფრო ხელსაყრელი კლიმატის შესაქმნელად საშინაო პუი-სთვის.

გლობალიზაციის საქმიანი სტრატეგია მუშაობს ფირმის უპირატესობაზე. სტატიკური მოგება უცხოური ინვესტიციებიდან ისეთივეა, როგორც კაპიტალის გადინებით მიღებული მოგება. უცხოური ინვესტიციების გზით კაპიტალი და მასთან დაკავშირებული რესურსები განთავსდება იქ, სადაც მისი მწარმოებლურობა ყველაზე მაღალია. ამას სარგებლობა მოაქვს როგორც კაპიტალის გამტანი, ისე შემომტანი ქვეყნისთვის. გარდა ამისა, დამატებით არის მნიშვნელოვანი დინამიური მოგება, რომელიც სპეციფიურია პუი-სთვის და ცალკე ანალიზს მოითხოვს. ევროპის კომისიის მოხსენება პუი-ს აღწერს, როგორც დინამიურ პროცესს, რომელიც მასში მონაწილე ყველა სუბიექტის საერთო სიმდიდრეს ზრდის სრულყოფამდე.[10] ამ დინამიურმა პროცესმა დიდი მოტივაცია მისცა ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა, სინგაპური, პოლონეთი, მექსიკა, ირლანდია და რეგიონები – შოტლანდია და ჩრდილოეთი კაროლინა, რომ ძირითადად საშინაო ინვესტიციებს დაყრდნობოდნენ თავიანთ ეკონომიკურ განვითარებაში.

უცხოურ ინვესტიციებს ეძებენ მრავალ მიზეზთა გამო. კერძოდ, ეს მიზეზებია:

1) **ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოშობენ და ანვითარებენ გარე ეფექტებს.** პუი მოიცავს წარმოების ისეთი ფაქტორების იმპორტს, როგორიცაა, სავაჭრო „ნოუ ჰაუ", პერსონალის მომზადების სახსრები და ტექნოლოგიური კომპეტენტურობა. მაგალითად, ტრანსნაციონალური კორპორაციები პასუხს აგებენ გამოკვლევებსა და დამუშავებებზე გაწეული მსოფლიო კერძო დანახარჯების თითქმის 80%-ზე.[11] რეციპიენტი ქვეყნები (კაპიტალის მიმღები) იგებენ ასეთი საქმიანობით გამოწვეული გადადინებადი ეფექტისგან. ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობით მიღებული კაპიტალის გადადინება და გარე ეფექტები ასახავენ უცხოური ინვესტიციებით მიღებულ დინამიურ მოგებას. ტიპიური გადადინებები მოიცავს სამუშაო ძალის მომზადებას საწარმოო

[10] European Commission, op. cit., p.14.

[11] Dunning, op. cit., p287.

ჩვევების ამაღლებას და ადგილობრივი მომწოდებლების მოტივაციას, კონკურენციის სტიმულირებას და მმართველობითი ჩვევების განვითარება-სრულყოფას, ცოდნას უცხოური ბაზრებისა და სხვა თვალსაჩინო ეფექტებისა[12].

2) **ტრანსნაციონალური კორპორაციები მეტ სამუშაო ადგილებს ქმნიან**. მაშინაც კი, როდესაც ტნკ-ები ჩაყლაპავენ სამამულო ფირმებს, რომლებიც კრახის ზღვარზე იმყოფებიან, ისინი „გადაარჩენენ" სამუშაო ადგილებს, რომლებიც სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა დაკარგულიყო. ეს არგუმენტი გონივრულად ჟღერს, მაგრამ, ეკონომიკური თვალსაზრისით, ის არაა სათანადოდ დამუშავებული. ის ფაქტი, რომ საქმიანობა სამუშაო ადგილებს „ქმნის", არ არის მისი ღირსების ავტომატური მაჩვენებელი. თუ აქტიურობა არ არის, სამუშაო ადგილები შეიძლება წარმოიქმნას სადმე სხვაგანაც ეკონომიკაში, ის სათანადოდ არ,ან ვერ იქნეს გამოყენებული (ათვისებული). ახალმა საქმიანობამ შეიძლება გამოიწვიოს სამუშაო ადგილების შექმნა ეკონომიკის სხვა სექტორებში. სამუშაო ადგილის შექმნა, თავისთავად, არ არის და არც შეიძლება იყოს საკმარისი მიზანი. მთავარია, რას ქმნის იქ დასაქმებული და რამდენად სასარგებლო და კონკურენტუნარიანია შექმნილი პროდუქცია. ამ შემთხვევაში კარგი იქნება გავაკეთოთ შედარება იმისა, რა იწარმოება უცხოური ინვესტიციებით და რა შეიძლება წარმოებულიყო მისი არარსებობის პირობებში. თუ უცხოური ინვესტიციების არარსებობის დროს სამუშაო ძალა დაუსაქმებელი დარჩებოდა, მაშინ დადგებოდა სამუშაო ძალის ბაზრის საკითხი. თუ რეციპიენტ ქვეყანაში უმუშევრობა წარმოიშვება სამუშაო ძალის ბაზრის მოუქნელობის მიზეზით, მაშინ უკეთესი იქნებოდა, პირველ რიგში, სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტა, ვიდრე გვებრძოლა მისი სიმპტომების წინააღმდეგ, ვინაიდან სიმპტომები უფრო გამოვლინებაა,

[12] T. Orawa, "Foreign Direct Investment and Economic Development", Trans-National Corporations, (Feb. 1992;) S. Young, N. Hood and E. Peters, "Multinational Enterprises and Regional Economic Development:, Regional Studies, 28 (7) (1994).

ვიდრე მიზეზი, წარმატებებისთვის სწორედ მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლაა მთავარი და სასურველი შედეგის მომტანი.

3) უცხოური ინვესტიციები უზრუნველყოფენ საგადასახადო შემოსულობებს. უცხოური შვილობილი საწარმოები კორპორატიულ გადასახადებს უხდიან რეციპიენტი ქვეყნის მთავრობას, ხოლო მუშები იხდიან საშემოსავლოს და ირიბ გადასახადს. ყველა ამ გადასახადის ჯამს შეუძლია მნიშვნელოვანი შემოსავალი მოუტანოს შემნახველ სალაროებს, რომლებსაც შეეძლებათ უცხოურ ფირმებს აუნაზღაურონ ნებისმიერი სუბსიდია და გადასახადები. ასეთი ტიპის ღონისძიებები მაღალ შეფასებას იმსახურებენ სახალხო დებატებში და საერთოდ საზოგადოებაში, მაგრამ, ამავე დროს, ასეთი ღონისძიებები ხასიათდება ალტერნატიული ღონისძიებების უგულებელყოფით. მაშასადამე, უცხოური ფირმების ასეთ ალტერნატიულ საქმიანობას ასევე შეეძლო მოეტანა საგადასახადო შემოსულობანი. მეორე თვალსაზრისი, რომელიც უნდა გვახსოვდეს, არის ის, რომ საგადასახადო შემოსულობანი შეიძლება ხელოვნურად გაიზარდოს „ტრანსფერტული ფასწარმოქმნის" დახმარებით.[13] ამ შემთხვევაში, ერთი ხაზინის მოგება მეორეს ნაგებაა, რომელიც, გლობალური თვალსაზრისით, შეიძლება ნაწილობრივ ოპტიმიზირებული იქნეს ხაზინებს შორის მოგება-ნაგების გადანაწილებით.

4) უცხოური ინვესტიციები წარმოშობენ უცხოურ გაცვლას. საწყისმა ინვესტირებამ შეიძლება მიიღოს სესხის ფორმა მეთაური კომპანიიდან ან უცხოური ბანკიდან. თუ შვილობილი საწარმო მუშაობს, მას შეუძლია აწარმოოს ექსპორტი ან ჩაანაცვლოს იმპორტი. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა გათვლილ იქნეს ხარჯები დივიდენდების გადასახდელად და კრედიტის დასაფარავად. თუ

13 ტრანსფერტული ფასწარმოქმნა – ეს არის ბუღალტრული ანგარიშგების წესი, რომელსაც ტრანსნაციონალური საწარმოები იყენებენ საერთო საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებისთვის. ის წარმოიშვება განსხვავებული ნაციონალური საგადასახადო რეჟიმის არსებობის შედეგად. მოგება, რომელსაც იღებენ საგადასახადო შემოსულობების მაღალი დონის ქვეყნებში, „გადაეცემა" დაბალი საგადასახადო შემოსავლების მქონე ქვეყნებს.

წმინდა შედეგი გადასახდელების ბალანსში შენატანების დადებითი მაჩვენებელია, მაშინ ასეთი სახის პროექტი მხარდაჭერილი იქნება. თუმცა, ასეთ ბალანსსაც შეიძლება ჰქონდეს ნაკლი. **ჯერ-ერთი**, აქ იგნორირებულია რესურსების ალტერნატიული გზით მიღებული უცხოური ვალუტის შემოსულობანი. **მეორე**, მაშინაც კი, როდესაც უცხოელი ინვესტორები დადებით შენატანს აკეთებენ უცხოური ვალუტის შემოსულობებში, რომელიც ახლოსაა ალტერნატიულ ინვესტიციებთან, ესეც არ იქნება ერთადერთი ეკონომიკური კრიტერიუმი, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა მსჯელობა უცხოური ინვესტიციების მიღების გამართლებულობაზე თუ მიზანშეწონილობაზე. უფრო გამართლებულ არგუმენტად შეიძლება მივიჩნიოთ, და რეალურადაც ასე იყოს, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკაში და იქ, ძირითადად, ადგილობრივი სამუშაო ძალის დასაქმება. სწორედ ეს უნდა იყოს უცხოური ვალუტის ბალანსში დადებითი შედეგების მიღწევის ეფექტური გზა. თუ პრობლემა უცხოური ვალუტის უკმარისობაა, მაშინ ვალუტის კურსის კორექტირება, ადგილობრივი და უცხოური ვალუტების კურსის ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევა, შეიძლება აღმოჩნდეს უცხოური ვალუტის გამოყენების უკეთესი გზა, ვიდრე უცხოელი ინვესტორებისთვის სტიმულირების შეთავაზება.ყოველივე ზემოთ თქმული იმაზე მიუთითებს, რომ არ არსებობს, და არც შეიძლება არსებობდეს, ერთმნიშვნელოვანი და ცალსახა პასუხი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გამართლებულობა-გაუმართლებლობის შესახებ. აქ აუცილებელია სერიოზული დაფიქრება, ეკონომიკური ანალიზი და შეფასება, რამდენადაც ყველას – უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორებს, შესაბამის მთავრობებს და მოსახლეობას თავ-თავისი ინტერესები აქვთ, სწორედ ამ ინტერესების გათვალისწინება და მათი ოპტიმალური შეხამება არის სამეურნეო პრაქტიკისა და ეკონომიკური თეორიის, შესაბამისად, ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა.

იმისათვის, რომ რეალურად შევაფასოთ უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული ან მისაღები წმინდა მატება, აუცილებელია დანახარ-

ჯებისა და მოგების ეკონომიკური ანალიზი. პუი-ებიდან მიღებული მოგება უნდა შედარდეს ისეთ დანახარჯებს, როგორიცაა, დოტაციები ძირითად საშუალებებსა და სწავლებაზე, გადასახადების სტიმულაცია, დათმობები საარენდო გადასახადზე, საპროცენტო განაკვეთი, სუბსიდიები და აშკარა და ფარული დახმარების სხვა ფორმები. ეკონომიკური თეორია ჩვენ გვეხმარება დავსვათ სწორი კითხვები ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე და, ასევე, შევძლოთ მათზე სწორი პასუხების გაცემა და ამით თავიდან ავიცილოთ ძირითადი კონცეპტუალური შეცდომები მოგებისა და დანახარჯების განსაზღვრებაში, მათ მეთოდურად სწორად გაანგარიშებაში.

მრავალი გამოკვლევა და სამეურნეო პრაქტიკა ადასტურებს, რომ პუი-ები გვევლინებიან ახალი ტექნოლოგიებისა და მართვის თანამედროვე მეთოდების გადაცემის უმნიშვნელოვანეს საშუალებად და რომ მათ შეუძლიათ უზრუნველყონ მნიშვნელოვანი ზრდა ინვესტიციების მიმღებ ქვეყნებში, რომელთაც აქვთ აუცილებელი გამოცდილება და უნარი ახალი ტექნოლოგიებისა და წარმოების ორგანიზაციის პროგრესული ფორმების გამოყენება-ათვისებისა.[14] აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ, თავისთავად, უცხოური ინვესტიციები არ არის მდგომარეობიდან გამოსავალი, არამედ მთავარია მათი გონივრულად და მიზანშეწონილად გამოყენება, რაც გარკვეულ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს. ყოველივე ზემოთ აღნიშნული იმას გვეუბნება, რომ არც უცხოური ინვესტიციები და, საერთოდ, არცერთი წარმოების ფაქტორი, თუ ნებისმიერი თეორია, თუ მეთოდიკა არ არის და არც შეიძლება იყოს პანაცეა. მთავარია ყველაფრისადმი შემოქმედებითი მიდგომა და მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც თავიდან შეიძლება არ გვქონდეს, მაგრამ უნდა შევიძინოთ და გამოვიყენოთ, სხვანაირად წარმატების მიღწევა ბიზნესში, და საერთოდაც, შეუძლებელია.

ყურადღება კონცენტრირებული უნდა იყოს ტრანსნაციონალური საწარმოების წვლილზე ინვესტიციების მიმღები ქვეყნების

[14] E. Borzenstein, J. de Gregorio and J. Lee, "How Does Foreign Direct Investment Affect Economic Growth?", Journal of International Economics, 4, 1998.

ინოვაციური შესაძლებლობების განვითარებაში და იმ მეთოდებზე, რომელთა გამოყენებით მთავრობები შეძლებენ მაქსიმალურად გაზარდონ ეს წვლილი. იმისათვის, რომ აღნიშნული განხორციელდეს, ინვესტიციების მიმღებმა ქვეყანამ უნდა განავითაროს შემდეგი:

1. **ინტეგრირებული პოლიტიკით მიდგომა:** პუი-ების მოზიდვისთვის ძალისხმევა უნდა გაძლიერდეს სტაბილური მაკროეკონომიკური და მხარდამჭერი მიკროეკონომიკური პოლიტიკით, საერთაშორისო შეთანხმებების, ინდუსტრიული ჯგუფების, განათლებისა და სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების საფუძველზე. ინვესტიციების მიმღებ ქვეყანაში საკვალიფიკაციო განათლების მაღალი დონე აძლიერებს პუი-ების მეშვეობით მაღალი ტექნოლოგიების შემოდინებას და, იმავდროულად, ამაღლებს მომხმარებლურ შესაძლებლობებს რეციპიენტ ქვეყანაში.

2. **ექსპორტზე ორიენტირებული პუი-ებს** უპირატესობა უნდა მიენიჭოს მთლიანად უცხოური ინვესტიციების წინაშე, (რომელიც გარდა პუი-სა მოიცავს აგრეთვე პორტფელურ ინვესტიციებს და საგარეო სესხებს), რომლებიც საშინაო ბაზარზეა ორიენტირებული. მოსამსახურეები და ადგილობრივი მენეჯერები სწავლობენ, როგორ შეაღწიონ საექსპორტო ბაზრებში და როგორ მოიქცნენ გლობალიზებულ გარემოში.

3. **კონკურენციის პოლიტიკა** საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას, თუ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს სტიმულებს შესთავაზებენ საშინაო ბაზრისთვის საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე. ამან შეიძლება ინვესტიციების მიმღები ქვეყნისთვის ზარალი გამოიწვიოს, თუ მათ მოუწევთ ოპერირება მონოპოლისტურ გარემოში, მაგრამ სახელმწიფოს ამოცანა ის არის, რომ არ დაუშვას მონოპოლიზმი. ამ მიზნით აუცილებელია სახელმწიფომ ქვეყანაში შექმნას პირობები თავისუფალი კონკურენციის, მათ შორის, გახსნას ბაზარი უცხოური კონკურენციისთვისაც.

4. **მიზნობრივი შეღავათები:** პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშემწყობი სააგენტოები იმ სექტორებზე უნდა იყვნენ ორიენტირებული, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის შედარებითი

უპირატესობების მაქსიმალურად გამოყენებას, სწორედ ამ სექტორებს და ასეთ პოლიტიკას გაუწიოს მიზნობრივი შეღავათები. ასეთი შეღავათები დიდი უკუგებით ანაზღაურდება, რასაც ყოველმხრივი მიმართულება ექნება. ამ პრინციპებიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს შეღავათების პაკეტის ფორმირება, რომლითაც მოზიდული იქნება რეციპიენტ ქვეყნისთვის სასურველი და ხელსაყრელი უცხოური ინვესტიციები. ინვესტიციების პროექტებისთვის კონკურენცია იმას ნიშნავს, რომ ქვეყნები და რეგიონები, რომლებიც პუი-ს სთავაზობენ „საბაზროზე" დაბალ შეღავათებს, პროექტებს დაკარგავენ.ამასთან, საბაზრო მაჩვენებელზე უფრო მაღალი შეღავათები ძვირი ჯდება. ამიტომ, რეციპიენტები ხშირად თავს იკავებენ ასეთი შეღავათების შეთავაზებისგან, რადგან გადიდებული შეღავათები გამოიწვევს ინვესტიციების შედეგად მოსალოდნელი მოგების შემცირებას. ამიტომ, აუცილებელია ხარჯებისა (რომელშიც შედის შეღავათებიც) და მოგების ანალიზი, რის შედეგადაც შესაძლებელია ღირებული რეკომენდაციების შეთავაზება. მთავრობამ უნდა იფიქროს სხვა საინტერესო და მიმზიდველ მომენტებზეც, გარდა ფინანსური შეღავათებისა. სახელდობრ, მიმზიდველ სასიამოვნო გარემომცველ ბუნებაზე (გარემოზე), მაღაზიებთან სიახლოვეზე, ადგილობრივ ხელისუბლებასთან ურთიერთობაზე, მასთან გაუგებრობის თავიდან აცილებაზე.

ცნობილია, რომ უცხოელ ინვესტორებზე ძლიერ მოქმედებს საინვესტიციო სტიმულები. თუმცა, ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ პროექტებზე უფლება, რომელთა პოტენციური მოგება ემყარება რეციპიენტ ქვეყნების სტიმულებს. უცხოური ინვესტიციების კრიტერიუმების ანალიზი უჩვენებს, რომ, თუმცა, სტიმულებს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს კორპორაციების სტრატეგიის დაგეგმვაში, მაგრამ სტიმულირების მიმზიდველ პაკეტს შეუძლია გავლენა მოახდინოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე – თუ სად უნდა მოხდეს ინვესტირება.

ბევრი განვითარებადი ქვეყანა და რეგიონი ინვესტორებს სთავაზობს ძალიან გულუხვ პაკეტებს. მთავრობებს შორის სტიმუ-

ლირების კონკურენცია ძვირადღირებული სიამოვნებაა და მან შეიძლება წარმოშვას არაეფექტური ინვესტიციები გამაწბილებელი შედეგებით გამარჯვებულისთვის. თუ ყველა უარს იტყვის შეღავათების შეთავაზებაზე, ე.ი. ინვესტორებს არავითარ შეღავათს არ შესთავაზებენ, უცხოელი ინვესტორები, ასე თუ ისე, მაინც გააგრძელებენ ინვესტირებას, რომ უკვე გაღებული ინვესტიციები არ დაეკარგოთ. ეს გამოწვეული იქნება აგრეთვე ადგილობრივ ბაზარში შეღწევის აუცილებლობით.

5. თანამშრომლობის მხარდამჭერი პოლიტიკა: ხელისუფლების ორგანოებმა მხარი უნდა დაუჭირონ უცხოელ ფერმერებთან კავშირებს, განიხილონ მათი გეგმები და ნიადაგი მოამზადონ ადგილობრივ ეკონომიკასთან და სტრუქტურულ ცვლილებებთან კავშირების გასაფართოებლად და გასაღრმავებლად. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინება აუცილებელია ეკონომიკური და ფიზიკური ინფრასტრუქტურის სრულყოფისთვის, იმისთვის, რომ რეციპიენტი ქვეყანა მიმზიდველი იყოს საერთაშორისო ბიზნესისთვის.

6. ადგილობრივი ნარმოებისთვის მხარდაჭერა: როგორი მნიშვნელოვანი და აუცილებელიც არ უნდა იყოს უცხოური ინვესტიციები, მის მოსაზიდად განხორციელებულმა მეცადინეობამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს ადგილობრივი წარმოების ადგილობრივი ფირმების საქმიანობის იგნორირება, მათთვის მეორეხარისხოვანი როლის მინიჭება.პირიქით, პირველი რიგის ამოცანა ნებისმიერი დამოუკიდებელი და ღირსების მქონე ქვეყნისთვის უნდა იყოს სამამულო წარმოების განვითარება და უცხოური ინვესტიციების მოზიდვაც. ამ მიმართულებით გაწეული საქმიანობა სწორედ სამამულო წარმოების აღმავლობას უნდა ემსახურებოდეს. ცნობილია, რომ ინოვაციური და კონკურენტული ეკონომიკა საჭიროებს დიდი რაოდენობით წვრილ და საშუალო საწარმოებს (წსს); ტრანსნაციონალური კორპორაციების საგარეო საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს სწორედ სამამულო ფირმების შუამავლობითა და მათი ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებით. ისიც მხედ-

ველობაშია მისაღები, რომ უცხოური ინვესტიციები თითქმის ყოველთვის იწვევს მოუსვენრობისა და ეჭვის გრძნობებს და ეს არ არის საფუძველს მოკლებული.ობიექტურად და რეალურად თუ ვიმსჯელებთ, უეჭველად არსებობს გარემოებანი, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ ეჭვებს განაპირობებს და, არცთუ იშვიათად, ეს ეჭვები მართლდება კიდეც. ტრანსნაციონალური კორპორაციები, ცხადია, უარს არ ამბობენ,თავიანთი ინტერესები მოახვიონ რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურ სუბიექტებს და სამამულო ეკონომიკას, მისთვის არასასურველი ხარჯები გააწევინონ. აღნიშნული ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია რეციპიენტი ქვეყნის ხელმძღვანელობა და ეკონომიკური სუბიექტები მოწოდების სიმაღლეზე იმყოფებოდნენ. სწორედ ამ შემთხვევაშია უცხოური ინვესტიციები სიკეთის მომტანი და, ამდენად, აუცილებელი ინვესტიციების მიმღები ქვეყნისთვისაც და უცხოელი ინვესტორებისთვისაც.

თავი 4. უცხოური ინვესტიციებისთვის გარემოს სრულყოფის პრობლემები საქართველოში


4.1. საქართველოში უცხოური ინვესტიციების რეგულირებისთვის საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გამოყენების აუცილებლობა და შესაძლებლობა.

მსოფლიო ეკონომიკაში ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის ტენდენციების გაძლიერებასთან და ეროვნულ მეურნეობათა განვითარებაში უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობის მატებასთან ერთად სულ უფრო ფართოვდება უცხოური ინვესტიციების ფუნქციები (ნახაზი №1) და მათი რეგულირების ბერკეტების წრე. ეს ეხება როგორც მათ სტიმულირებას, ისე ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მეტისმეტად ჭარბი შემოსავლისგან „დაცვას". ეს იმას ნიშნავს, – მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ინვესტიციების გარეშე, ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება შესაძლებელია, აქაც აუცილებელია ზომიერების დაცვა, რომ რეციპიენტი ქვეყანა არ აღმოჩნდეს დონორი ქვეყნის ეკონომიკური „მძევლის" როლში.

მსოფლიო ეკონომიკაში ამა თუ იმ ქვეყნის ჩართვის ხარისხიდან და იმ როლიდან გამომდინარე, რომელსაც უცხოურ კაპიტალს ანიჭებენ შიდა ეკონომიკის განვითარებაში, შესაძლებელია გამოვყოთ: ა) ამკრძალავი რეჟიმი; ბ) ეროვნული რეჟიმი; გ) უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმი. ბ) და გ) რეჟიმებს აერთიანებენ საერთო სახელით – ლიბერალური რეჟიმი.

ამკრძალავი რეჟიმის დროს აკრძალულია ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც საგანგებოდ არაა ნებადართული. ამ რეჟიმს საფუძვლად უდევს მკაცრი ლიცენზირება, მაღალი ტარიფები და არასატარიფო ბარიერების კომპლექსი, რომლებიც აძლიერებენ

სახელმწიფოს კონტროლს და საინვესტიციო საქმიანობას უზღუდავენ უცხოეთის კომპანიებს. ამის საპირისპირო ლიბერალური რეჟიმი აღიარებს პრინციპს: „ნებადართულია ყველაფერი, რაც საგანგებოდ არაა აკრძალული“. ამ რეჟიმს ახასიათებს ღია კანონმდებლობა და სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მიკროეკონომიკური მართვა.



ნახ. 1. უცხოური ინვესტიციების ფუნქციები

უცხოური კაპიტალის შემოსავლის რეგულირების ზემოაღნიშნული ტიპები ავსებენ ერთმანეთს. განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყველა არსებული რეჟიმის გამოყენება საუკეთესოდ პასუხობს ეროვნული ეკონომიკის მაღალი კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების და მსოფლიო ბაზარზე მისი პოზიციების განმტკიცების ინტერესებს. თუმცა, უმრავლესი ქვეყნები ლიბერალურ რეჟიმებს ანიჭებს უპირატესობას.

მრავალი ქვეყნის მთავრობა იცავს რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთობლივად შემუშავებულ პრინციპებს, რომლებიც მოიცავს[15]: ეროვნულ რეჟიმს; საკუთრების დაცვას და ადეკვატურ კომპენსაციას ექსპროპრიაციის შემთხვევაში; მოგების თავისუფლად გატანას; დეზინვესტირების შესაძლებლობას; მიწის და სხვა უძრავი ქონების ფლობის უფლებას; პატიოსან კონკურენციას და ანტისტრესულ კანონმდებლობას; მომხმარებელთა დაცვის ეფექტიან მექანიზმებს; გარემოს დაცვას.

უცხოური ინვესტიციების ყველა რეჟიმს მთლიანობაში ორ შემადგენელ ნაწილად ყოფენ:

1. უცხოელი ინვესტორების მონაწილეობის შეზღუდვა, როგორც ეკონომიკის ცალკეულ დარგებში, ისე ეროვნული კომპანიების კაპიტალში;
2. ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების სტიმულირების ღონისძიებები.

იმ კანონების მიუხედავად, რომლებიც საინვესტიციო რეჟიმის ლიბერალიზებას ითვალისწინებენ, უმრავლესი ქვეყნების პრაქტიკაში შენარჩუნებულია უცხოელი ინვესტორების საქმიანობის შეზღუდვა. კერძოდ, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში მთლიანადაა აკრძალული უცხოური კაპიტალის მონაწილე-

[15] Фишер П. Прямые Иностранные Инвестиции для России: Стратегия Возрождения Промышленности. Пер. с англ.-го. «Финансы и Статистика», 1999, стр. 411.

ობა შემდეგ სფეროებში[16]: სათამაშო ბიზნესი (პოლონეთი, უნგრეთი); ავტოსაგზაო ტრანსპორტი (უნგრეთი); ასპროცენტიანი სააქციო კაპიტალი ბანკებსა და სადაზღვევო კომპანიებში (ბელორუსი, პოლონეთი, რუმინეთი, უნგრეთი); ნამლების წარმოება (ლიტვა, უკრაინა); საფოსტო მარკების გამოშვება, ნადირობა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება (ლატვია).

ამგვარი შეზღუდვები ყველა ქვეყანაშია. ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში უცხოური კაპიტალის მონაწილეობის სრულად შეზღუდვის გარდა ზოგიერთი (განსაკუთრებით – განვითარებადი) ქვეყნის მთავრობა ცდილობს უზრუნველყოს ეროვნული წარმოების ინტერესები და გარკვეული საზღვრებით ზღუდავს უცხოური კაპიტალის მონაწილეობას, ან მხოლოდ ადგილობრივ მეწარმეებთან ერთად საქმიანობის ნებას რთავს მას.

მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა თანდათანობით აუქმებს ეროვნულ ბაზრებზე უცხოური ინვესტიციების დაშვების შეზღუდვას. კერძოდ, ფილიპინებზე 2001 წელს მიიღეს ახალი კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ქვეყანაში უცხოური კაპიტალის შემოსვლის ლიბერალიზაციას.

იმ შეღავათებს შორის, რომლებიც მოგების გადასახადის განაკვეთის შემცირებას იწვევს, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია „საგადასახადო არდადეგები", ანუ მოგების გადასახადისგან ფირმების მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლება ინვესტიციების განთავსებიდან გარკვეულ დრომდე. კერძოდ, ერთ-ერთი ყველაზე უფრო წარმატებულია 1949 წელს პუერტო-რიკოში დაწყებული „საგადასახადო არდადეგების" პროგრამა. 10-15 წლიან საგადასახადო არდადეგებს იყენებენ სინგაპურის ე.წ. „პიონერულ" კორპორაციებში, რომლებიც პირველად აწარმოებენ მაღალტექნოლოგიურ პროდუქციას. იტალიაში 1986 წლიდან იყენებენ „საგადასახადო არდადეგებს" მის სამხრეთში შექმნილი

[16] Вендарска Е. Прямые Иностранные Инвестиции в Развитых и Развивающихся Странах (по материалам доклада «Иностранные Инвестиции в Польше»). Варшава, 1995, стр. 29.

კომპანიებისათვის, სადაც ეს შეღავათი რეგიონული სტიმულირების როლს ასრულებს.

უცხოური ინვესტიციების სტიმულირების პროგრამა არ შემოიფარგლება საგადასახადო შეღავათებით. მაგალითად, სინგაპურის მთავრობა უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ერთმანეთს უხამებს საგადასახადო სტიმულებს და გრანტებს. წახალისების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ღონისძიებებია:

- „პიონერის" სტატუსის მქონე კომპანიების განთავისუფლება საშემოსავლო გადასახადისგან 10 წლით;
- დაწეული 10%-იანი საშემოსავლო გადასახადი ოფშორული კომპანიებისთვის, ან იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ოფიციალურადაა აღიარებული „მთავარი შტაბ-ბინის საოპერაციო კომპანიებად", ან რომლებიც ეწევიან მომსახურების ექსპორტს;
- ძირითად კაპიტალში განხორციელებული ახალი ინვესტიციების გარკვეული წილის (50%-მდე) ტოლი თანხის გამორიცხვა დასაბეგრი შემოსავლიდან (ზოგიერთი სახეობის საქმიანობისათვის).

გათვალისწინებულია იმ გრანტებისა და კრედიტების ფართოდ გამოყენება დაბალი პროცენტებით, რომლებსაც სინგაპურის მთავრობასთან არსებული დაწესებულებების მეშვეობით გასცემენ. განსაკუთრებით მიმზიდველია ფინანსური დახმარების გაწევის პროგრამები იმ მცირე და საშუალო საწარმოების წასახალისებლად, რომლებიც ინიციატივას იჩენენ კვლევებსა და დამუშავებებში, აგრეთვე, ის პროგრამები, რომლებითაც ნაწილობრივი მონაწილეობაა გათვალისწინებული. ხშირ შემთხვევებში პროექტს მაშინ ექნება ხელშეწყობა, თუ იგი 30%-ით მაინც ეკუთვნის სინგაპურის მოქალაქეებს.

ინვესტიციების მოზიდვისთვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს უცხოელი ინვესტორებისთვის იმ სამართლებრივი გარანტიების მიცემას, რომლებიც უკავშირდება მათ ხელშეუხებლობას, კაპიტალის დაბანდებას და მოგებისა და დივიდენდების მიცემის საკითხი დეტალურად აქვს შესწავლილი ეკონომიკური თანამშრომლობისა და

განვითარების ორგანიზაციას (ეთგო). საგარანტიო სქემები, რომლებიც ერთმანეთისგან მოცულობით განსხვავდება, განვითარებული მრეწველობის მქონე ყველა ქვეყანაში არსებობს.

განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა ცდილობს შექმნას თითქმის ისეთივე გარანტიები, როგორიც ეთგო-ს წევრ ქვეყნებს აქვთ. მაგალითად, ეგვიპტეში იმ უცხოელ ინვესტორებს, რომლებსაც მიწა აქვთ მიღებული წარმოების გაფართოებისა და მშენებლობისთვის, მიწის ექსპროპრიაციის შემთხვევაში მიეცემათ მისი ტოლფასი კომპენსაცია. ბრაზილიის კანონმდებლობით ნებადართულია საინვესტიციო კაპიტალისა და მოგების შეუფერხებლად რეპატრიაცია. ამასთან, კაპიტალის რეპატრიაცია თავისუფალია საშემოსავლო გადასახადისგან და ავტომატურად ხორციელდება.

ამჟამად სულ უფრო მზარდ ინტერესს იწვევს ჩინეთში, ინდოეთსა და მექსიკაში შემუშავებული უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკა, რადგან, სპეციალისტთა აზრით, სწორედ ეს ქვეყნებია უდიდესი კონკურენტები უცხოური ინვესტიციების ბაზარზე.

ჩინეთი უცხოური ინვესტიციების მეშვეობით ქვეყნის ეკონომიკური გაჯანსაღების ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნათელი მაგალითია.ჩინეთის გამოცდილება უნიკალურია, კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ, ერთი მხრივ, შეინარჩუნა ძველი პოლიტიკური სქემა და მბრძანებლური მექანიზმები, მეორე მხრივ კი – მასშტაბიანი ეკონომიკური რეფორმები გაატარა. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან ჩინეთი მსოფლიოს მეორე უდიდეს რეციპიენტ ქვეყნად გადაიქცა აშშ-ის შემდეგ. ეკონომიკის ზრდის და უცხოური ინვესტიციების მოდინების ტემპებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჩინეთი ტოლს არ დაუდებს აშშ-ს საზღვარგარეთიდან მოზიდული კაპიტალდაბანდებების მოცულობის მხრივ. ჩინეთი თავისი ამ პოლიტიკით კვალში მიჰყვება აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნებს – იაპონიას, ტაივანსა და სამხრეთ კორეას, რომლებმაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს საკუთარი საწარმოო ბაზის განვითარებაში ერთობლივი საწარმოების შექმნის გზით. ჩინეთის მთავრობა აგრძელებს უცხოელი ინვესტორებისთვის პი-

რობების გაუმჯობესებას და ხშირად უპირატესობებს უქმნის მათ ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების წინაშე, რაც აქციების განთავსების დროს ადგილობრივი და უცხოელი მყიდველებისათვის განსხვავებული ფასების დაწესებაშიც გამოიხატება.

უცხოელმა ინვესტორებმა გაზარდეს კაპიტალდაბანდებათა საერთო დონე და ეს განსაკუთრებულად გამოვლინდა სანაპირო რაიონებში, სადაც პირველად გაუხსნეს კარი უცხოურ ინვესტიციებს.

მთლიანობაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ XX საუკუნის 90-იან წლებში უმრავლეს ქვეყნებში უცხოელი ინვესტორებისთვის რეჟიმის რეგულირების გამოცდილების განზოგადება ასეთი დასკვნის გამოტანის უფლებას გვაძლევს: ეს ქვეყნები აღიარებენ, რომ უცხოურ კაპიტალს მოაქვს ახალი ტექნოლოგიები, მართვის თანამედროვე ხერხები, სხვა ბაზრებზე გასვლის შესაძლებლობა და, რაც ყველაზე უფრო მთავარია, თვით ფინანსური სახსრები; მეორე მხრივ, ის ქვეყნები, რომლებიც ეკონომიკურ გარდაქმნებს ატარებენ, განსხვავებულად უდგებიან ეროვნულ ეკონომიკაში უცხოელი ბიზნესმენების აქტიურად „დანერგვას“. ამის მიუხედავად, შეგვიძლია გამოვყოთ ის ზოგადი კანონზომიერებები, რომლებიც, ჩვენი აზრით, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ საქართველოში უცხოური კაპიტალის ინვესტირების განვითარების სტრატეგიის შემუშავების დროს. ესაა: ყველა ქვეყანა იცავს ეროვნული რეჟიმის პირობებს; ყველა ქვეყანა ითხოვს უცხოური კაპიტალის რეგისტრაციას; ყველა ქვეყანაში არის ეკონომიკის ისეთი დარგები, სადაც ითხოვენ სპეციალურ ნებართვას ინვესტირებისთვის; ყველა ქვეყანაში არის ისეთი დარგები, რომლებიც ჩაკეტილია უცხოური კაპიტალისთვის.

ამასთან, დღევანდელ საქართველოში უცხოური ინვესტირების მიმართ პოლიტიკის გატარების დროს არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის, რომ უმრავლეს ქვეყნებში შეიმჩნევა უცხოური ინვესტირების რეჟიმების თანდათანობით ლიბერალიზაცია. ეს უცხოური ინვესტიციების მიერ ზემოაღნიშნული პოზიტიური

ფუნქციების შესრულებითაა განპირობებული და შემდეგი მიმართულებებით უნდა განხორციელდეს:

- შემცირდეს იმ დარგების რაოდენობა, რომლებშიც უცხოელი ინვესტორების საქმიანობა იკრძალება;
- გამარტივდეს ის მოთხოვნები, რომლებიც ზღუდავენ კომპანიის კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობის წილს;
- უცხოელ ინვესტორებს მიეცეს საწარმოთა შექმნის უფლება 100%-იანი მონაწილეობით;
- შესაძლებელი იყოს საზღვარგარეთ მოგებისა და დივიდენდების გატანა;
- გამარტივდეს და მოწესრიგდეს უცხოური ინვესტიციების რეგისტრაციის პროცედურა;
- სულ უფრო მეტი რაოდენობით გატარდეს უცხოური ინვესტიციების სტიმულირების ღონისძიებები.

4.2. ჩინეთის გამოცდილების გამოყენების მიზანშეწონილობა და მნიშვნელობა

შეფარდებითი უპირატესობის ინდექსი, (RCA) ჩინეთის სავაჭრო მომსახურეობის სფეროში ქვევით იწევს. ზოგადად, როდესაც შეფარდებითი უპირატესობის ინდექსი, (RCA) 2.5-ზე მეტია იგი მიუთითებს, რომ ქვეყანა ან რეგიონი საერთაშორისო სავაჭრო მომსახურების სფეროში არის მაღალ კონკურენტუნარიანი. თუ აღნიშნული მაჩვენებელი 1.25-დან 2.5-მდე მერყეობს ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა ან რეგიონი კონკურენტუნარიანია საერთაშორისო მომსახურების ბაზრებზე, ხოლო თუ აღნიშნული მაჩვენებელი 0.8-დან 1.25-მდეა, ეს მიუთითებს, რომ ქვეყანა ან რეგიონი სავაჭრო მომსახურების სფეროში კონკურენტუნარიანად რჩება. და, ბოლოს, თუ მაჩვენებელი 0.8-ზე ნაკლებია, ნიშნავს რომ ქვეყნის ან რეგიონის კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო მასშტაბით დაბალია.

2002-დან 2010 წ-მდე ჩინეთი ამ მაჩვენებლით 0.8-ის ქვემოთ იმყოფებოდა. მართალია, თანდათან ძლიერდება ქვეყნის კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზრებზე, მაგრამ იგი კვლავ საკმაოდ დაბალ დონეზე რჩება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩინური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისთვის იაპონია წარმოადგენს უდიდეს ბაზარს, რომელიც ფარავს ჩინეთის ექსპორტის 1/3-ს, მაგრამ ამ ბოლო პერიოდში შეინიშნება ჩინეთიდან იაპონიაში ექსპორტის მცირე ვარდნა. ეს განაპირობა იაპონიის მიერ მოულოდნელად გატარებულმა ღონისძიებებმა, რომლის მიზანი იყო საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის დაცვა ჩინური საქონლის ექსპანსიისგან. აღნიშნულს ხელი შეუწყო, აგრეთვე, იაპონიის მიერ ჩინეთიდან ექსპორტირებული საქონლისთვის ხარისხის მაღალი სტანდარტების დაწესებამ. ყოველივე აღნიშნულის მიუხედავად, იაპონია, დღემდე რჩება სტაბილურ და უდიდეს ბაზრად ჩინური სასოფლო სამეურნეო პროდუქციისთვის.

ჰონგ-კონგის რეგიონული წილი, ჩინეთიდან ექსპორტირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაში მნიშვნელოვნად შემცირდა. 1995 წელს ჰონგ-კონგში ექსპორტირებულ იქნა კონტინენტის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 22%, ხოლო 2011 წელს იგივე მაჩვენებელი 15.19%-მდე დაეცა და ეს დაცემა იყო მნიშვნელოვნად ნაკლები, ვიდრე იაპონიასა და აშშ-ში.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წილი ჩინეთიდან სამხრეთ კორეაში მთლიანად ექსპორტირებულ პროდუქციაში 1995 წელს შეადგენდა 5%-ს, ხოლო 2011-ში – 11.67%-ს.

აშშ-ის წილმა ჩინეთის ექსპორტში ასევე განიცადა მკვეთრი ზრდა 1995 წლის 5%-დან 10%-მდე ბოლო წლების განმავლობაში.

ჩინეთის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2003 წლიდან 2010 წლამდე ნაჩვენებია ქვემოთ მოტანილ ცხრილში.

ცხრილი 8

ინდუსტრია	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
ეკოლოგიური-ეკონომიკა	3	5.3	-	0.9	1.1	0.3	0.6	0.78
მოპოვებითი ინდუსტრია	48	32.7	13.7	40.4	15.3	10.4	23.6	8.3
წარმოება	21	13.8	18.6	4.3	8.0	5.5	4.0	6.8
მეორადი ინდუსტრიის ჯამი	69	46.5	32.3	44.7	23.3	15.9	27.6	15.1
ბიზნეს მომსახურება	10	13.6	40.3	21.4	21.2	38.8	36.2	44.0
საბითუმო და საცალო ვაჭრობა	13	14.5	18.4	5.2	24.9	11.7	10.8	9.8
ტრანსპორტირება და დასაწყობება	3	15.1	4.7	6.5	15.4	4.8	3.7	8.2
მშენებლობა და უძრავი ქონება	1	-	-	1.8	4.6	1.9	2.2	2.3
ფინანსური ინდუსტრია	-	-	-	16.7	6.3	25.1	15.5	12.5
სხვა მომსახურების ინდუსტრია	1	5.0	4.3	2.8	3.3	1.5	3.4	7.32
უმაღლესი ინდუსტრია	28	48.2	48.2	54.4	75.7	83.8	71.8	84.12

ცხრილიდან ჩანს, რომ:

ჩინეთის სოფლის მეურნეობაში 3 ძირითადი მარცვლეულია: ბრინჯი, ხორბალი და სიმინდი, რომელ პროდუქტებზეც თავის მოთხოვნილებას თითქმის საკუთარი წარმოებით იკმაყოფილებს, ე.ი. ესენი ძირითადად თვითკმარი პროდუქტებია. ჩინეთს ესაჭი-

როება დაახლოებით 5%-ის ოდენობით სანელებლების იმპორტირება, გარდა ამისა, ჩინეთი დიდად არის დამოკიდებული საერთაშორისო ბაზრებზე, სოფლის მეურნეობის ისეთი პროდუქტებით, როგორებიცაა სოიო, ბამბა და შაქარი. ამ ეტაპზე დაახლოებით 80%-ს შეადგენს ჩინეთის დამოკიდებულება საერთაშორისო ბაზრებზე სოიოს ზეთის, 40% ბოსტნეულის და 36% ბამბის მოხმარებაში. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ის გარემოება, რომ 2010 წელს ჩინეთის მიერ 5.5 მლნ ტონა სოიოს ზეთი იქნა იმპორტირებული, როდესაც ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილმა აწარმოა 15მლნ ტონა აღნიშნული პროდუქტი.

ჩინეთს ესაჭიროება კოქსვადი ქვანახშირი. ამრიგად, აუცილებელია იმპორტის გაზრდა და სავაჭრო ბალანსის სრულყოფა. იმპორტის გაზრდა, ხალხში იწვევს აზრთა სხვადასხვაობას, რადგან ნეტო იმპორტი იწვევს სამუშაო ადგილების დაკარგვას და ეროვნული შემოსავლების შემცირებას, მაკროეკონომიკური გადმოსახედიდან. ფაქტიურად, თუ ჩვენ შევხედავთ საგარეო ვაჭრობის სავალუტო რეზერვის მოცულობას, რაც 3.3 ტრილიონსშეადგენს, იბადება კითხვა რაში უნდა გამოიყენოს ეს ფული ჩინეთმა? თავის დაზღვევის მიზნით მათ უნდა შეიძინონ სამთავრობო ობლიგაციები, როგორც ა.შ.შ-სა და იაპონიაში, ისე სხვაგან, თუ შეიძენენ ა.შ.შ-ს მთავრობის ობლიგაციებს, ამან შეიძლება გამოიწვიოს სავალუტო რეზერვის მოცულობის შემცირება. მეტი ფული, კი თავის მხრივ, გამოიწვევს ჩინური ობლიგაციების დევალვაციას. იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთი შეიძენს იაპონურ ობლიგაციებს, მაშინ იაპონია კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ჩინეთის მოტივაციას, ხოლო თუ შეიძენენ ევროპულ ობლიგაციებს, მაშინ შეიძლება დიდი რისკის წინაშე დადგნენ, რადგან ევროპაში ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესებულია და უფრო და უფრო უარესდება, განსაკუთრებით საბერძნეთში, ესპანეთსა და პორტუგალიაში, რაც, თავის მხრივ, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ამ უკანასკნელთა ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების შესაძლებლობას. ასეთ ვითარებაში, ჯობია ინვესტიციების განხორ-

ციელება ქვეყნის შიგნით. როგორ უნდა მოხდეს ეს? და რა სიდიდის რისკები არსებობს? საჭიროა იმპორტის გაზრდა და, შესაბამისად, ზეწოლის შეჩერება საგარეო ვაჭრობის სავალუტო რეზერვებზე. მეორე, აუცილებელია ვაჭრობის დაბალანსება, მაგრამ დაბალანსება შეიძლება სხადასხვა დონეზე. წინსვლისთვის აუცილებელია დაბალანსების მიღწევა მაღალ დონეზე, როდესაც იზრდება როგორც ექსპორტი, ისე იმპორტი, ჩამოჩენილი მხარის წინსწრებით, რაც უზრუნველყოფს საგარეო ბრუნვის რაოდენობრივ ზრდასა და სტრუქტურულ სრულყოფას, ე.ი. საჭიროა, როგორც იმპორტის, ასევე ექსპორტის გაზრდა. ამასთან, საჭიროა იმპორტირებულ იქნას მაღალტექნოლოგიური პროდუქტები, მოწინავე ტექნოლოგიური აღჭურვილობა, მნიშვნელოვანი დაუმუშავებელი პროდუქტი და ყოველდღიური მოხმარების საგნები. აგრეთვე, საჭიროა იმპორტირებულ საქონელზე, კერძოდ, დეფიციტურ პროდუქტებსა და ყველაზე ძვირად ღირებულებზე ტარიფების დაწევა.

ჩინეთს აქვს შეფარდებითი უპირატესობა სამუშაო ძალისა და მიწის რესურსებში და სწორედ ამის ხარჯზე მას გააჩნია მზარდი ექსპორტის შესაძლებლობა. საგარეო ვაჭრობაში ჩინეთი ხელმძღვანელობს დევიდ რიკარდოს მიერ შემუშავებული და შემდგომში ჰაქსტერ-ოჰლიმის მიერ განვითარებული შეფარდებითი უპირატესობის თეორიით. იგი აგრეთვე იყენებს ე.წ. გამოვლენილი შეფარდებითი უპირატესობის ინდექსს (RCA), რომელსაც ასევე უწოდებენ ექსპორტის სპეციალიზაციის ინდექსს, ეს წარმოადგენს მეთოდს, რომელიც გამოიყენა ამერიკელმა ეკონომისტმა ბელა ბალასამ, რათა გამოეანგარიშებინა გარკვეული ქვეყნების ვაჭრობებში შეფარდებითი უპირატესობა და ეჩვენებინა ინდუსტრიის, თუ ქვეყნის ან რეგიონის ვაჭრობაში შეფარდებითი უპირატესობა. ფორმულა მდგომარეობს შემდეგში:

$RCA_{ij}=X_{ij}$

RCA_{ij} – აჩვენებს ქვეყანას. j არის გამოვლინებული შეფარდებითი უპირატესობა პრუდუქტზე, I არის ქვეყნის სასაქონლო ექსპორტის ანგარიში მთლიანად ქვეყნის ექსპორტიდან, და შემდგომ უკვე

მთლიანად მსოფლიოს ექსპორტიდან და ასახავს ქვეყნის ექსპორტის სტატუსს საერთაშორისო ბაზარზე. მათ შორის X_{ij} წარმოადგენს ექსპორტის ღირებულებას საექსპორტო საქონლის სტრუქტურიდან I ქვეყნის j, X_{ij} წარმოადგენს j ქვეყნის მთლიან საექსპორტო ღირებულებას, მნიშვნელი X_{iw} წარმოადგენს ექსპორტის ღირებულებას I ქვეყნის საექსპორტო საქონლის მთლიანად მსოფლიოში, ხოლო X_{tw} წარმოადგენს მსოფლიოს მთლიან საექსპორტო ღირებულებას.

ჩინეთისთვის და ჩინური ეკონომიკისთვის აუცილებელია ბრენდის სტრატეგიის დანერგვა და საწარმო ექსპორტის გაზრდა. ამ მიზნით:

1) მან უნდა გააუმჯობესოს ექსპორტირებული პროდუქტების ხარისხი, რაც, თავის მხრივ, თანდათან მაღლა იწევს კიდეც, ეს უნდა მოხდეს მთავარი პროდუქტების წარმოების განვითარებით, მათი მაღალ ტექნოლოგიურად დამზადებით და მაღალი ღირებულების მინიჭებით.
2) საწარმოებს, რომლებიც კაპიტალით ძლიერები არიან, შეუძლიათ ბრენდები პირდაპირ შეიძინონ.
3) თანამედროვე ბიზნესის მართვის პირობებში,შეიქმნას ჩინური ბრენდები საერთაშორისო მასშტაბით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველაზე ხშირად ჩინური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიმართულია ა.შ.შ-ს ბაზრებისკენ, რადგან გაცვლითი კურსი მომგებიანია ფასიანი ქაღალდების აქტივების შეძენისას. ამასთან, მოთხოვნაც არის ამერიკის ბაზრებზე, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ამერიკაში. მოსალოდნელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემდგომი ზრდა, თანაც სწრაფი ტემპით ზრდა, რადგან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა უცხოურ მომპოვებელ მრეწველობებში, დააკმაყოფილებს ჩინეთის დიდ მოთხოვნას ბუნებრივ რესურსებზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გადინება დეტერმინანტების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

1) ბაზრის მაძიებელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები;
2) ბუნებრივი რესურსების წილი უცხოურ ინვესტიციებში;

3) აქტივების მაძიებელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები;
4) პოლიტიკური რისკი;
5) კულტურული სიახლოვე;
6) პოლიტიკის ლიბერალიზაცია;
7) გაცვლითი კურსი;
8) ინფლაციის დონის მდგომარეობა;
9) ექსპორტი და იმპორტი;
10) გეოგრაფიული მანძილი ჩინეთიდან;
11) გახსნილობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის

ჩინეთმა 1979 წელს დაიწყო ე.წ. გახსნილი პოლიტიკის წარმოება ეკონომიკაში, ქვემოთ შეგიძლიათ იხილოთ მაჩვენებლები იქამდე და 30 წლის შემდეგ.

ცხრილი 9

	1978	2010
მშპ (მილიარდ იუანებში)	364,5	40,326
ერთ სულ მოსახლეზე განსაკარგავი შემოსავალი ქალაქში	343	19,109
ერთ სულ მოსახლეზე განსაკარგავი შემოსავალი ქალაქ გარეთ	133	5,919
ცალკეულ საქონლის ჯგუფის/ და მოხმარებაზე გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის დამოკიდებულება ქალაქის მკვიდრებთან მიმართებაში	57.5	35.7
ცალკეულ საქონლის ჯგუფის/ და მოხმარებაზე გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის დამოკიდებულება ქალაქის გარეთ მცხოვრებ მკვიდრებთან მიმართებაში	67.7	41.1

ქალაქის მკვიდრზე ერთ დასახლებულ პუნქტთან მიმართებაში (მ²)	6.7	31.6
ქალაქ გარეთ მცხოვრებ მკვიდრზე ერთ დასახლებულ პუნქტთან მიმართებაში (მ²)	8.1	34.1
ქალაქსა და ქალაქ გარეთ მკვიდრთა დანაზოგები (მილიარდ იუანებში)	21	30,330.2
ურბანიზაციის დონე (%)	17.92	50
მარცვლეულის მწარმოებლურობა	304,760,000	546,470,000
ენერგეტიკის მწარმოებლურობა (სტანდარტული ტონა ქვანახშირი)	627,7000,000	2,969,160,000
ენერგეტიკული სიმძლავრე (მილიარდ კილოვატ საათებში)	256.6	4,141.3
რკინიგზა (კმ)	51,700	91,200
გზატკეცილი (კმ)	890,200	4,008,200
ჩქაროსუნლი ავტოსტრადები (კმ)	0	74,100
სამოქალაქო ავიაციის მარშრუტები (კმ)	148,900	2,765,100

მთლიანი ჩარიცხულობის დონე უმაღლეს განათლებაში (%)	1.4	25
სკოლის ასაკის ბავშვების ჩარიცხულობის დონე (%)	93.4	99
ტექნიკური პერსონალი ჯანდაცვის დარგში თითო 1,000 ადამიანზე	2.85	4.37
ლოგინები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო და ჯანდაცვის ინსტიტუტებში	2,041,700	4,786,800

მთლიანი მოცულობა ექსპორტისა და იმპორტის (მილიარდ დოლარებში)	20.64	2,974
სავალუტო რეზერვი საგარეო ვაჭრობისთვის (მილიარდ დოლარებში)	0.167	2,847.3

ცხრილის მონაცემები ადასტურებს საანალიზო პერიოდში (1978-2010წწ.) ჩინეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მომხდარ არსებითი ხასიათის ცვლილებებს, ნატურალურ გამოხატულებაში. მართალია, ცხრილში ღირებულებით მაჩვენებლებშიც არის ცვლილებები გამოხატული, მაგრამ, რადგან ეს მონაცემები მიმდინარე (ცვალებად) და არა მუდმივ (უცვლელ) ფასებშია მოცემული, ამიტომ ამ მაჩვენებლებით შეუძლებელია რეალური ცვლილებების შეფასება, მით უმეტეს, რომ საანალიზო წლებში მოხდა ფულის რეფორმა და მისი კურსის, მასშტაბების არსებითი ცვლილებები. რეალური სურათის შესაქმნელად აუცილებელია დინამიკის მუდმივ (უცვლელ) ფასებში გამოხატვა. ნატურალური მაჩვენებლები კი დიდმნიშვნელოვან ცვლილებებზე მიუთითებს. სახელდობრ, 2010 წ. 1978 წელთან შედარებით განვითარების მაჩვენებლები იმდენად შთამბეჭდავი და დიდია, რომ მათი გამოხატვა მიზანშეწონილია ჯერადობით და არა პროცენტობით. კერძოდ, აღნიშნულ პერიოდში ცალკეული მაჩვენებლები გაიზარდა: საშუალოდ 4-4ჯერ, ხოლო ზოგიერთი მაჩვენებელი ძნელად წარმოსადგენი ტემპითაც კი. მაგალითად, ენერგეტიკული სიმძლავრე (მლრდ. კილოვატ საათებში) გაიზარდა 16,1-ჯერ, მთლიანი ჩარიცხულობის დონე უმაღლეს სასწავლებლებში – 17,8-ჯერ.

ყოველივე აღნიშნული ნათლად მიუთითებს, ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ჩინეთის რესპუბლიკის მიერ მიღწეულ განსაკუთრებულ შედეგებზე, რაც „ჩინურ სასწაულად" მოინათლა კიდეც.[17]

[17] Reference Book of Human Recourse Development Cooperation Programs in the Framework of China Aid. China, 2012.

თავი 5. საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის განმაპირობებელი ფაქტორები.

5.1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, ბუნებრივი პირობები, მოსახლეობა და შრომითი რესურსები.

მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირების თანამედროვე ეტაპზე, ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წარმატებების მიღწევა დაკავშირებულია შესაბამისი საინვესტიციო სახსრების არსებობასთან და მის გონივრულ, ეფექტიან გამოყენებასთან.

დღეს მსოფლიოს არცერთ ქვეყანას, როგორი განვითარებულიც არ უნდა იყოს, საკუთარი საწარმოო და სამომხმარებლო მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილება არ შეუძლია მხოლოდ საკუთარი რესურსებით. უფრო მეტიც, როგორც ეკონომიკის მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, ქვეყანა რაც უფრო განვითარებულია, მით უფრო ძლიერი და მასშტაბურია მისი საგარეო ეკონომიკური კავშირები, მით უფრო დიდი და მრავალფეროვანია ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონლისა და მომსახურების მოცულობა, ასორტიმენტი და სტრუქტურა, ეს მათი ეკონომიკის სრულყოფილების ხარისხის მაჩვენებელია. რაც შეეხება ჩამორჩენილ და განვითარებად ქვეყნებს, მათი ჩამორჩენილობის დაძლევისა და განვითარების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი გზაა საგარეო-ეკონომიკური კავშირების სრულყოფა, სადაც, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტ როლს უცხოური ინვესტიციები ასრულებს. აღნიშნული გარემოებანი აპირობებს ეროვნულ ეკონომიკათა ინტეგრაციის პროცესის გაღრმავების საფუძველზე ქვეყნებს შორის საინვესტიციო ურთიერთობების სულ უფრო და უფრო გაფართოებას.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და ინოვაციური საქმიანობის სრულყოფა-გაფართოება სულ უფრო აუცილე-

ბელს ხდის უცხოური ინვესტიციების მასშტაბების გადიდებას, მათი როლისა და მნიშვნელობის კიდევ უფრო გაძლიერებას. ამაზე ნათლად მიუთითებს შემდეგი ფაქტორები: თუ პირველი მსოფლიო ომის დროს უცხოური ინვესტიციები მთელი კაპიტალ-დაბანდებების მხოლოდ 10%-ს შეადგენდა, 2000 წლისათვის მათი წილი 3-ჯერ გაიზარდა.[18]

საქართველო, ისევე როგორც ნებისმიერი განვითარებადი ქვეყანა, სისხლ-ხორცეულად არის დაინტერესებული უცხოური ინვესტიციების გაფართოებით.

როგორც ცნობილია და ჩვენც თემის წინა ნაწილში აღვნიშნეთ, საფინანსო რესურსების უდიდესი ნაწილი განვითარებულ ქვეყნებშია თავმოყრილი. ამ ქვეყნების კორპორაციები და ორგანიზაციები ფლობენ მსოფლიო საფინანსო რესურსების უმეტეს ნაწილს, რომელთა მოძრაობა ინვესტირების გზით ხორციელდება. გასული საუკუნის უკანასკნელი მესამედის მანძილზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 100 მლრდ. აშშ დოლარიდან 6.8 ტრილიონ დოლარამდე, ანუ 68-ჯერ გაიზარდა. ეს ინვესტიციების და საერთოდ ეკონომიკური მაჩვენებლების არნახული ზრდაა. ეს, იმავდროულად, მსოფლიო ეკონომიკის სწრაფ განვითარებასა და გაღრმავებაზე მიუთითებს.[19] ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობა ნაკარნახევია, როგორც გარდამავალ პერიოდში ქვეყანაში შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობით – ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე და, იმავდროულად, მისი უკიდურესად დაბალი ტემპებით მთელი ათწლეულის განმავლობაში (1995-2004 წწ.). რაც შეეხება გარდამავალი პერიოდის პირველ 5 წელს (1991-1999 წწ.), ქვეყანაში კაპიტალდაბანდებები კატასტროფულად იყო შემცირე-


[18] თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის (თეუსუ) სამეცნიერო შრომების კრებული, 2009, გამომც. „უნივერსალი", თბილისი, 2009, გვ. 237.

[19] Н. Петраков и др. – Об Инвестиционной Политике и Становлении Рыночной Экономики, «Финансы», 2002, №12, стр.300.

ბული – დაახლოებით 40-ჯერ, ანუ 1990 წლის დონის მიახლოებით 2.5% შეადგინა. ინვესტიციების მოზიდვის მიზანშეწონილობა ასევე გამოწვეულია უმუშევრობის მაღალი და ხალხის ცხოვრების დაბალი დონით, მათი დაძლევის აუცილებლობით; ეკონომიკის ცალკეული დარგების ასამოქმედებლად, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის შესაქმნელად, საჭირო სახსრების მწვავე უკმარისობით ქვეყანაში.

აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად ეკონომიკური რეფორმის განვლილ პერიოდში (2004-2010 წწ.) საქართველოში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, მათი წახალისებისა და დაცვისთვის აუცილებელი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზისა და საინვესტიციო გარემოს, პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. შედეგად, უცხოური ინვესტიციების შემოდინება მთლიანობაში სწრაფი ტემპებით იზრდებოდა, რაც კარგად ჩანს ქვემოთ მოტანილი გრაფიკიდან[20]

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2000-2008 წწ (ათასი აშშ დოლარი)



[20] საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები. Берзон – Формирование Инвестиционного Климата в Экономике, «Вопросы Экономики», 2001, №7.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოსვლა პირდაპირ დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკის რეფორმირებასთან. სახელმწიფო ქონების პრივატიზების საწყის ეტაპზე (1995-1996 წწ) საქართველოში უცხოური ინვესტიციები ფაქტობრივად არ შემოსულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უმნიშვნელო მოცულობის (3,753 ათასი აშშ დოლარი) უკრაინულ ინვესტიციებს, რასაც, ცხადია, რაიმე მნიშვნელოვანი როლის შესრულება არ შეეძლო უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ქვეყნისთვის. 1997-1998წწ. საქართველოში უცხოური ინვესტიციები უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც, მატულობდა, თუმცა, მომდევნო წლებში – 1999-2002წწ. აღნიშნულმა მაჩვენებელმა კვლავ კლების ტენდენციის ხასიათი მიიღო, რაც, ძირითადად, განპირობებული იყო უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სათანადო საკანონმდებლო ბაზის არარსებობით ან მისი არასრულყოფილებით, კორუფციის მაღალი დონით, ქვეყნის არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობით და ინვესტიციებისთვის სხვა აუცილებელი პირობების არარსებობით.

2004 წლიდან საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინება მაღალი მატების ტენდენციით ხასიათდება, მან 2007 წელს 2 მლრდ. აშშ დოლარს გადააჭარბა (იხ. ნახ. 2), რაც 1995-1996 წწ. მაჩვენებელს 536.6-ჯერ აღემატებოდა (2,041,000,000 : 3,753,000). უცხოური ინვესტიციების ასეთი ასტრონომიული ზრდა, მართალია, შედეგი იყო არა მხოლოდ უცხოური ინვესტიციების არნახული მოცულობებით გადიდების, არამედ საბაზისო პერიოდში მისი უკიდურესად მცირე ოდენობით (3,753,000), რაც რეალურად არაფერს ნიშნავდა. მაგრამ, აღნიშნულის მიუხედავად, 2004-2007 წლებში საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინების ტემპი და, შედეგად, დონეც უაღრესად შთამბეჭდავი იყო, რაც ნათლად ჩანს ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან. 2008 წელს საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინება წინა წელთან შედარებით თითქმის ნახევარი მილიარდი აშშ დოლარით შემცირდა. ეს განპირობებული იყო საყოველთაოდ ცნობილი მოვლენებით, 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიით, რამაც

მნიშვნელოვნად გააუარესა ქვეყნის საინვესტიციო იმიჯი და, შედეგად, შეამცირა ინვესტიციების შემოსვლის მოცულობა. მაგალითად, ყველაზე კრიტიკულ პერიოდში, 2008 წლის III კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, შემოსული უცხოური ინვესტიციების მოცულობა 605.4 მლნ. აშშ დოლარიდან 134.7 მლნ. აშშ დოლარამდე[21], ანუ 78%-ით შემცირდა, ე.ი. შეადგინა მხოლო 22%.

საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის შედეგად, უკვე 2008 წლის IV კვარტალში მიღწეულ იქნა ინვესტიციების ზრდა. 2009-2010 წწ.უცხოური ინვესტიციების შემოდინება (ცალკეულ კვარტლებში ზიგზაგისებრი ცვალებადობის მიუხედავად) მთლიანობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა.2000-2009 წწ.საქართველოში შემოსული უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 7 მლრდ.აშშ დოლარს გადააჭარბა.

პუი-ის მოცულობის ზრდასთან ერთად, ყოველწლიურად იზრდებოდა ინვესტორი ქვეყნების რაოდენობა. რუსეთ-საქართველოს ომამდე საქართველოში ყველაზე დიდი ინვესტორი ქვეყნები იყვნენ: ნიდერლანდები (299.371 მლნ. აშშ დოლარი), ჩეხეთი (227.9), ბრიტანეთი ვირჯინიის კუნძულები (187.8), დანია (158.10, კვიპროსი (148.7), გაერთიანებული სამეფო (145.5), არაბეთის გაერთიანებული ემირატები (130.90, იაპონია (93.8), რუსეთი (89.0). ერთ წელიწადში სურათი არსებითად შეიცვალა როგორც ინვესტორ სახელმწიფოთა თანმიმდევრობის, ისე ინვესტიციების მოცულობების მიხედვით. კერძოდ, 2008 წელს საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით პირველ ადგილზე იყო არაბეთის გაერთიანებული ემირატები (306.8 მლნ. აშშ დოლარი), მომდევნო ადგილებზე რიგის მიხედვით მოდიოდა: აშშ (167.9 მლნ. აშშ დოლარი), თურქეთი (164.5), ვირჯინიის კუნძულები (156.8), გაერთიანებული სამეფო (148.9), ნიდერლანდები (135.9), შვეიცარია (89.9), ყაზახეთი (65.9) და ა.შ. სულ 63 ქვეყნიდან საქართვე-

[21] საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი, სტატისტიკური წელიწდეული 2009. გვ. 288.

ლოში შემოსულმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეადგინა 1,563,963 ათასის ნაცვლად 2,014,842 ათასი აშშ დოლარი[22].

უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის დეპარტამენტი 2009 წლამდე არ აქვეყნებდა. ამ წელს გამოცემულ წელიწდეულში აღნიშნული ინფორმაცია არის 2005 წლიდან, საიდანაც ჩანს, რომ 2005 წელს პუი-ებმა შეადგინა 449.8 მლნ. აშშ დოლარი[23], ხოლო 2 წლის შემდეგ (2007) ამ მაჩვენებელმა 2,014.8 მლნ.-ს მიაღწია, ანუ გაიზარდა 4.5-ჯერ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად არასწორი აზრი ვრცელდება იმის შესახებ, რომ საქართველოს ეკონომიკა თითქოს მთლიანად დამოკიდებულია უცხოურ ინვესტიციებზე, რადგან მას „საკუთარი ინვესტიციური რესურსები არ გააჩნია“, რაც სინამდვილეს სრულებითაც არ შეესაბამება. ამაზე ნათლად მეტყველებს შემდეგი მონაცემები: ინვესტიციებმა ძირითად კაპიტალში შეადგინა – 2004 წელის 2,697.3 მლნ. ლარი, 2008 წელს – 4,295.7 მლნ. ლარი, ანუ აშშ დოლარებში შესაბამისად: 1,404.8 მლნ. აშშ დოლარი და 2,883 მლნ. დოლარი. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა კი შეადგენდა 2005 წელს – 449.8 მლნ. აშშ დოლარს, 2008 წელს – 1,563.9 მლნ. აშშ დოლარს[24]. უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხმარდება ძირითადი კაპიტალის შექმნას. როგორც მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს ეკონომიკაში საკუთარი ინვესტიციები მაინც უფრო მეტ როლს თამაშობს, ვიდრე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

საქართველო ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარეობს. მას უკავია სამხრეთ კავკასიის დასავლეთი და ცენტრალური რაიონები. მისი ფართობი 69,7 ათას კმ2-ია. ტერიტორიის სიდიდით იგი მსოფლიოს 209 სახელმწიფოს შორის 113 ადგილზეა.

[22] საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი. სტატისტიკური წელიწდეული, 2009, გვ. 190-191.
[23] მითითებული წყარო, გვ. 288.
ჟურნალი სოციალური ეკონომიკა, №5 (5), 2009, გვ. 54.
[24] მითითებული წყარო, გვ. 288.

საქართველოს ესაზღვრება: ჩრდილოეთით – კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეები, ყარაჩაი-ჩერქეზეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ჩრდილოეთ ოსეთი (ალანია), ინგუშეთი, ჩეჩნეთი (იჩქერია)და დაღესტანი; აღმოსავლეთით – აზერბაიჯანი; სამხრეთით – სომხეთი და თურქეთი; დასავლეთით მის ტერიტორიას მდინარე ფსოუს შესართავსა და სოფელ სარფს შორის 308,4 კმ-ზე შავი ზღვა აკრავს. საზღვრების საერთო სიგრძე 1968,8 კმ-ა, აქედან სახმელეთო საზღვრებისა – 1660,4 კმ.

ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მონაცემებით საქართველოს შემადგენლობაში შედის: ორი ავტონომიური რესპუბლიკა. (აფხაზეთი, აჭარა), 65 ადმინისტრაციული რაიონი (შიდა საქალაქო რაიონების ჩათვლით), 100 საქალაქო დასახლება (მათ შორის, 62 ქალაქი, 33 დაბა), 896 სოფლის (თემის) საკრებულო, 3668 სოფელი. 5 ქალაქი – თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი – განსაკუთრებული სტატუსის მქონეა.

ქვეყნის ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა, მისი გადაქცევა დამოუკიდებელ ერთიან სახალხომეურნეობრივ კომპლექსად, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეკონომიკისა, სულ სხვა დატვირთვას აძლევს "საქართველოს ეკონომიკას", როგორც სასწავლო დისციპლინას და წარმოადგენს მას საქართველოს ეკონომიკის ერთიან მეცნიერულ ცოდნად. მან უნდა ახსნას ცოცხალი და განვითებული შრომის მწარმოებლური ფუნქცია მთელ სახალხო მეურნეობაში და მისი შესაბამისი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმა. ამავე დროს, ის გარკვეული აზრით, აინტეგრირებს დარგობრივ და ფუნქციურ ეკონომიკურ მეცნიერებათა დასკვნებს.

ეროვნული პროდუქტის ზრდა დიდადაა დამოკიდებული დაგროვილი რესურსების, ძირითადი და საბრუნავი ფონდების, სამუშაო ძალის, დაზვერილი წიაღისეული სიმდიდრის რაოდენობასა და გამოყენების ეფექტიანობაზე. საზოგადოებისათვის სულ ერთი არაა თუ რამდენი რესურსი დაიხარჯება ყოველი ლარის ეროვნული შემოსავლისა და საბოლოო პროდუქტის წარმოების ზრდის

ტემპების, ხოლო მეორე მხრივ, რესურსების ხარჯვის ნორმების თანაფარდობაში. ამ მიზნით მიზანშეწონილია წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებელთა სისტემაში ისეთი მაჩვენებელი, რომლითაც შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს დაგროვილი რესურსების სიდიდე, მათი პოტენციური შესაძლებლობების გამოყენების ხარისხი და შექმნილი ეროვნული პროდუქტის, ეროვნული შემოსავლის, საბოლოო პროდუქტის მოცულობანი. ასეთ მაჩვენებლად გვევლინება ეკონომიკური პოტენციალი, რაც წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების მთავარ მაჩვენებელს და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების უმნიშვნელოვანეს პირობას.

ეკონომიკური პოტენციალი თავისი შინაარსით იღებს როგორც ნატურალურ-ნივთობრივ, ისე ღირებულებით ფორმას. ნატურალურ-ნივთობრივი ფორმით ეპ გამოდის როგორც წარმოებრივი ძირითადი ფონდების, საბრუნავი საშუალებების, შრომითი და ბუნებრივი რესურსების ერთობლიობა.

ღირებულების მიხედვით, ეკონომიკური პოტენციალი შეიძლება განვიხილოთ როგორც წარმოებრივი ძირითადი ფონდების (წფ) და სხვა მატერიალური დანახარჯების (მ), ეროვნული შემოსავლის (ეშ), აგრეთვე ბუნებრივი რესურსების (ბრ) ერთობლივი ღირებულება. მაშასადამე, ღირებულების მიხედვით ეკონომიკური პოტენციალი შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:

ეპ=წფ+მ+ეშ+ბრ

პერსპექტიულ-ეკონომიკურ პოტენციალის და (პეპ) და მთლიანი ეროვნული პროდუქტის (მეპ) სიდიდე შეიძლება განვსაზღვროთ როგორც მთლიანი ეროვნული პროდუქტისა (მეპ) და წარმოების გამოყენებული რეზერვების (რ) ჯამი:

პეპ=მეპ+რ

პერსპექტიული ეკონომიკური პოტენციალისა და წარმოების გამოუყენებელი რეზერვების სიდიდის გაანგარიშება საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ, თუ რა დროში შეიძლება იქნეს ლიკვიდირებული სხვაობა რესურსების გამოყენების ფაქტობრივად მიღწეულ და პოტენციურ დონეებს შორის. გარდა ამისა, შესაძლებელი ხდე-

ბა განისაზღვროს ეკონომიკის დარგებისა და საწარმოების პოტენციალი ზემოთ აღნიშნული სხვაობის ლიკვიდაციისთვის, აგრეთვე, ამისათვის საჭირო რესურსები, ორგანიზაციულ-ტექნიკური გარდაქმნები, მათი რეალიზაციის საშუალებები და მეთოდები.

ტყისა და წყლის რესურსები

საქართველო ფრიად მდიდარია ტყისა და წყლის რესურსებით. მისი ტერიტორიის დაახლოებით 38,6 პროცენტი უკავია ამ რესურსებს. (ბუჩქნარების ჩათვლით 43%-მდე). ტყით დაფარულია 2,69 მლნ ჰა, აქედან 95 პროცენტზე მეტი ნიადაგდამცველი და წყალმარეგულირებელი დანიშნულებისაა, ამიტომ, როგორც წესი, ექსპლუატაციას არ ექვემდებარება. ტყე 470 ათას ჰექტარზე ძალზე გამეჩხერებული და დეგრადირებულია. 1,027 მლნ ჰა წიფლის ტყეა, 0,41 მლნ ჰა წიწვოვანი (ნაძვი, სოჭი, ფიჭვი), დანარჩენი ტერიტორია ფოთლოვნებს უჭირავს. განსაკუთრებით მდიდარი და სხვადასხვაგვარია დასავლეთ საქართველოს ტყეები.

დასავლეთ საქართველოში კოლხეთის ტიპის ტყეების გავრცელების სარტყლის ზევით გაჭიმულია შერეული ტყეები, სადაც შეხამებულია წიფლნარი და ნაძვნარ-სოჭნარი, იშვიათად ფიჭვნარი, კორომები.

აღმოსავლეთ დაბლობებსა და მთისწინეთში ტყეები გავრცელებულია მხოლოდ მტკვრის, ივრის, ალაზნის, ქციის ქვემო წელის გასწვრივ, მათში ჭარბობს მუხა, ტირიფის სახეობები, ზოგან თუთა, თელა, ქაცვი და სხვ. ალაზნის დაბლობის ტყეებისთვის დამახასიათებელია, აგრეთვე, ლაფანი.

ტყეების დანიშნულება არ შემოიფარგლება ხის მერქნის მრავალფეროვანი გამოყენებით. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ იგი მთებში ასუსტებს თოვლის ზვავებისა და წვიმის ნაკადების დამანგრეველ მოქმედებას, ხელს უწყობს მდინარეთა რეჟიმის რეგულირებას, ნიადაგებს იცავს ეროზიისაგან და სხვ. ე.ი. საქართველოს ტყეებს აქვს ძირითადად ნიადაგდაცვითი და წყალდაცვითი მნიშვნელობა.

საქართველოს სამართლიანად განიხილავენ, როგორც „ფაუნისტურ კვანძს“, სადაც ბინადრობს როგორც ადგილობრივი წარმოშობის, ისე სხვა ქვეყნებიდან შემოსული ცხოველები. ამჟამად აქ ჭარბობს ცხოველთა ევროპული, შუა აზიური და ირანული სახეობები.

ჩვენს ქვეყანაში ცნობილია ძუძუმწოვრების 100-მდე სახეობა, ფრინველების – 330-ზე მეტი სახეობა, ქვეწარმავლების – 48, ამფიბიების – 11 და თევზების 160-მდე სახეობა. გვხვდება უხერხემლო ცხოველების ათასობით სახეობა.

წყალი

საქართველოს ბუნებრივ პირობებს მნიშვნელოვან ელფერს აძლევს მდინარეებისა და ტბების სიხშირე. შიდა წყლების (მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, მყინვარები, მინისქვეშა წყლები, ჭაობები) მიხედვით მას ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. აქ სულ 26 ათასამდე მდინარეა, რომელთა საერთო სიგრძე 54,7 ათ.კმ-ს აღემატება. მდინარეთა უმეტესობას (99%) 25 კმ-ზე ნაკლები სიგრძე აქვს, 121 მდინარეს – 25-100, 16-ს – 100-500 კმ. საქართველოს მდინარეები ეკუთვნის შავი და კასპიის ზღვის აუზებს. შავი ზღვის აუზის მდინარეებია: რიონი შენაკადებით – ყვირილით, ცხენისწყლითა და ტეხურით, აგრეთვე ენგური, ჭოროხი აჭარისწყლით, კოდორი, ბზიფი, ხობი, სუფსა. კასპიის ზღვის აუზის მდინარეა მტკვარი, რომელიც სათავეს იღებს თურქეთში, რესპუბლიკის ტერიტორიაზე მისი მხოლოდ შუა წელია (400 კმ ფარგლებში). მტკვრის მთავარი შენაკადებია ფოცხოვის წყალი, ლიახვი, ქსანი, არაგვი, ფარავანი, ალგეთი, ქცია-ხრამი. მინგეჩაურის წყალსაცავის შექმნამდე მტკვრის უდიდესი შენაკადი იყო ალაზანი ივრით, რომლებიც ამჟამად მინგეჩაურის (ახალი სახელწოდებაა მინგეჩევირი) წყალსაცავს დამოუკიდებლად ერთვიან. კასპიის ზღვის აუზს ეკუთვნის ასევე მდინარეები თერგი (საქართველოს ფარგლებში 85 კმ-ზე მიედინება), პირიქითა ალაზანი და თუშეთის ალაზანი. საქართველოს მდინარეები საზრდოობს მყინვარის, თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით.

ჰიდროენერგეტიკული რესურსები, ანუ ეგრეთ წოდებული „თეთრი ნახშირი“, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნებრივი სიმდიდრეა (ქვეყნის ენერგეტიკულ რესურსებს შორის მას პირველი ადგილი უკავია). 26 ათასი დიდი, საშუალო და მცირე მდინარიდან თუ გამოვყოფთ 320-მდე ძირითად მდინარეს, მათი თეორიული ენერგეტიკული პოტენციალი 137 მლრდ კილოვატსაათს შეადგენს (ყველა მდინარის სრული პოტენციალი 194 მლრდ კილოვატსაათია). ტერიტორიის ერთეულზე ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის მიხედვით საქართველო პირველ ადგილზეა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის და ჭარბობს “თეთრი ნახშირით” მდიდარ საზღვარგარეთის ისეთ ქვეყნებს შორის, როგორიცაა საფრანგეთი, იტალია, შვეიცარია, ესპანეთი, რუმინეთი და სხვ. მაგრამ დღეისთვის გამოყენებულია ამ რესურსების უმნიშვნელო ნაწილი – დაახლოებით 12 პროცენტი.

საქართველოში 860-მდე ტბაა. მათი უმეტესობა ძალიან პატარაა, ამიტომაც ტბების საერთო ფართობი 170 კმ²-ს (რესპუბლიკის ტერიტორიის 0,24%) არ აღემატება. ტბები განსაკუთრებით ბევრია (დაახლოებით 50-მდე) ჯავახეთის მთიანეთში. აქ 1800-2000 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს ქვეყნის ყველაზე დიდი ტბები – ფარავანი, ტაბაწყური, ხანჩალი, საღამოს, კარწახის და სხვ. ზოგიერთი მათგანი მდიდარია თევზით.

კოლხეთის დაბლობის ტბებს შორის გამოირჩევა პალიასტომის ტბა (17,3 კმ²), რომელიც მდ. რიონის შესართავის ახლოს მდებარეობს და ნაწილობრივ საზრდოობს მისი წყლით. მრავალი პატარა ტბა გვხვდება კავკასიის მთებში. აქ არის ტბები, რომლებიც დაკავშირებულია მყინვარების მოქმედებასთან, ვულკანურ და კარსტულ მოვლენებთან, ზვავებთან და სხვ. საკმაოდ ცნობილი და პოპულარული ტბებია: დიდი რიწის, ყელის, ერწოს, ამტყელის, ბაზალეთის და ა.შ. საქართველოში ყველაზე დიდი ტბებია: სარკის ფართობით – ფარავნის (37,5 კმ²), წყლის მოცულობით – ტაბაწყურის (221 მლნ მ³) და სიღრმით (101 მ) – რიწისა. ამ ნიშნით იგი გამოირჩევა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ სამხრეთ კავკასიაშიც.

საქართველოს ტერიტორიაზე 12 წყალსაცავია. წყალსაცავების ჯამური ფართობია 107 კმ², ხოლო წყლის მოცულობა – 2.4 კმ³. წყალსაცავების ჯამური მოცულობა საქართველოს მდინარეთა წლიური ჩამონადენის 5.1%-ს შეადგენს. წყალსაცავების წყალი ძირითადად გამოყენებულია ჰიდროელექტროსადგურების ასამუშავებლად და სარწყავად.

ენერგიის არატრადიციული სახეები (მზის, ქარის)

თბო და ელექტროენერგიის წყაროდ მზის ენერგიის გამოყენების ერთგვარი გამოცდილება აქვთ ა.შ.შ-ს, იაპონიას, იტალიას, საფრანგეთსა და ესპანეთს, სადაც აშენებულია ან შენდება 30-მდე მზის ელექტროსადგური (რამდენიმე ათეული ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრით). მომავალში ჩვენმა ქვეყანამაც უნდა იზრუნოს ამის თაობაზე, რამეთუ იგი საკმაოდ მდიდარია აღნიშნული რესურსით. როგორც სპეციალისტთა მიერ ჩატარებული ანალიზი ცხადყოფს, მზის ენერგიის ხვედრითი მაჩვენებელი საქართველოს ტერიტორიის 1 კვადრატულ მეტრზე წელიწადში თეორიულად შეადგენს 1300-1800 კილოვატსაათს, ხოლო შეჯამებული ჰელიოენერგეტიკული პოტენციალი ქვეყნის მთელ ფართობზე გაანგარიშებით აღწევს 10 მლრდ კილოვატსაათს, რაც 30 მლრდ ტონა პირობითი საწვავის ეკვივალენტურია. მზის სითბური კოლექტორების დახმარებით ანდა ფოტოელექტრობატარეებით წელიწადში შეიძლება მივიღოთ 7 მლნ ტონა პირობითი საწვავის ეკვივალენტური ენერგია, რაც შეადგენს თითქმის ნახევარს იმ ორგანული საწვავისას, რომელიც იხარჯება ქვეყანაში ენერგეტიკული მიზნებისთვის. ბუნებრივი რესურსების შესაბამისად, მზის ენერგია შეიძლება შედარებით უფრო ეფექტურად იქნეს გამოყენებული სამხრეთ საქართველოს მთიანეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს ბარში (ნინოწმინდის, თელავის, საგარეჯოს, გარდაბნის, მარნეულის, მცხეთის რაიონები), აგრეთვე კოლხეთში, აფხაზეთისა და აჭარის სანაპირო ზოლში.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მზის ენერგიის თბო- და ელექტროენერგიის წყაროდ გამოყენების უკიდურესად დაბალი მაჩვე-

ნებლები აქვს არა თუ საქართველოს, არამედ მთელ მსოფლიოს. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, დედამიწაზე არსებული მზის ენერგიის პოტენციალი, რომლის გამოყენება შეიძლება, 10-ჯერ მეტია მსოფლიოში მოხმარებულ ენერგიაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მზის ენერგია დღეისთვის 0,1 პროცენტითაც არაა გამოყენებული. რაც შეეხება ქარის ელექტროსადგურებს, იგი ატომურ და ორგანულ სათბობზე მომუშავე ელექტროსადგურების კონკურენტად ითვლება.

საქართველოს ტერიტორიაზე ქარის ენერგიის გამომუშავების თეორიული რესურსები შეიძლება შეფასდეს 1012 კილოვატსაათის ოდენობით. რეალურად ქარის ენერგეტიკის წილით შეიძლება მივიღოდ 2-3 მლრდ კილოვატსაათი ელექტროენერგია.

ქარის ენერგეტიკის განვითარებისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობებია ხაშურის, გორის, გარდაბნის, ნინოწმინდის, ახალქალაქის, ქობულეთის რაიონებში, აგრეთვე თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის მიდამოებში, ღია უღელტეხილებზე და ცალკეული ქედების თხემებზე, სადაც წლის მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში (2000-4000 საათი) ქარის ენერგეტიკული სიჩქარე 4-5 მეტრზე მეტია წამში.

დემოგრაფია

უარყოფითი დემოგრაფიული პროცესები საქართველოში განსაკუთრებით ინტენსიურად განვითარდა მე-20 საუკუნის 90-იანი წლებში. მოსახლეობის ბუნებრივი მატება 1990 წლის 8,6 პრომილედან 2000 წელს დაეცა 0,1 პრომილემდე. ანუ შემცირდა 86-ჯერ; იმავე პერიოდში ქორწინების მაჩვენებლები აბსოლიტურ გამოხატულებაში შემდეგ სურათს გვაძლევს. 1990 წელს საქართველოში შეიქმნა 36812 ოჯახი, 2000 წელს – 13845, ე.ი. შემცირდა 2,7-ჯერ; მკვეთრად გაუარესდა ქორწინება-განქორწინების თანაფარდობა, სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში (2005 წლის მდგომარეობით) ფერტილური ასაკის 25% ქორწინებაში არ იმყოფება.

ცხრილი 10

	1897 წ.	1926 წ.	1959 წ.	1990 წ.	2004 წ.	2008 წ.
მამაკაცები	53,4	50,5	46,1	47,0	47,3	47,4
ქალები	46,6	49,5	53,9	53,0	52,7	52,6

მეტალურგიული მრეწველობის შემდგომი განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მანგანუმიანი შენადნობების მიღებისა და რაფინირების, თერმოდინამიკური და კინეტიკური მოდელების და მათ საფუძველზე პროგრესული ტექნოლოგიების დამუშავების, არსებული მადანალსადგენი ღუმელების კონსტრუქციების გაუმჯობესების, ფერადი ლითონების ახალი სადნობი და საჩამოსხმო აგრეგატების, ფოლადისა და თუჯის უწყვეტი ჩამოსხმის მანქანების ორიგინალური კონსტრუქციების შექმნის სამუშაოებს.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საბოლოო შედეგების უმაღლესი და ერთადერთი კრიტერიუმია (საზომია) მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია ეკონომიკური განვითარების დონეზე. მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება არის ეკონომიკური განვითარების მიზანი, ხოლო თვით ეკონომიკური განვითარება არის ამ მიზნის მიღწევის საშუალება.

ეკონომიკური განვითარების და მოსახლეობის კეთილდღეობის დონეები არსებითად ერთი და იგივე მაჩვენებლებით იზომება. ასეთი მაჩვენებლები ბევრია:

1. ეროვნული სიმდიდრე (ეს); მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ); მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ); ეროვნული შემოსავალი (ეშ); მატერიალური დოვლათი (მდ); აბსოლუტური მოცულობანი და მათი წარმოების ოდენობა მოსახლეობის ერთ სულზე;
2. საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურა, რაც ნიშნავს ცალკეულ დარგთა ხვედრით წილს მთელს ეკონომიკაში;
3. მოსახლეობის დასაქმება ეკონომიკასა და მის ცალკეულ დარგებში;
4. ბუნებრივი რესურსების გამოყენების დონე – ბუნებრივი და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების, მიწის ფონდის, წიალი-

სეული სიმდიდრეების ჩართვა სახალხომეურნეობრივ ბრუნვაში;

5. წარმოების ორგანიზაცია და ეფექტიანობა – შრომის მწარმოებლურობის დონე, ანუ ცოცხალი შრომის გამოყენების ეფექტიანობა, ფონდ-უკუგება, ანუ ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობა, მასალატევადობა, ანუ მასალების გამოყენების ეფექტიანობა, პროდუქციის ხარისხი და ა.შ.

ეკონომიკური განვითარების დონის მთავარი განმსაზღვრელი მაჩვენებელია პროდუქციის მოსახლეობის ერთ სულზე წარმოების მოცულობა და არა მისი საერთო მოცულობა (მასშტაბი). მაგალითად, ჩინეთი დანიასთან შედარებით 45-ჯერ მეტ მთლიან ეროვნულ პროდუქტს (მეპ) აწარმოებს, მაგრამ დანიის ეკონომიკური განვითარების დონე დაახლოებით 30-ჯერ აჭარბებს ჩინეთისას. ეს იმიტომ, რომ დანიასთან შედარებით, ჩინეთის 45-ჯერ მეტი პროდუქციის მოცულობა იყოფა მის 260-ჯერ მეტ მოსახლეობაზე.

ანსხვავებენ ნომინალურ და რეალურ მეპ-ს. პირველი იანგარიშება მიმდინარე წლის საბაზრო ფასებით, ხოლო მეორე – უცვლელი, ანუ ე.წ. მუდმივი ფასებით. მეპ, როგორც ყველაზე განმაზოგადებელი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, სხვა მაჩვენებელთა გაანგარიშების საფუძვლადაც გვევლინება. კერძოდ, მეპ-ის საფუძველზე იანგარიშება: მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), რაც უდრის მეპ-ს გამოკლებული ჩვენი მოქალაქეების მიერ უცხოეთის ქვეყნებში მიღებული შემოსავლებისა და უცხოეთის მოქალაქეების მიერ ჩვენს ქვეყანაში მიღებული შემოსავლების სალდო (სხვაობა); წმინდა ეროვნული პროდუქტი (წეპ) უდრის მეპ-ს გამოკლებული ამორტიზაციის ანარიცხები; ეროვნული შემოსავალი უდრის წეპ-ს მინუს არაპირდაპირი გადასახადები; პირადი შემოსავალი უდრის ეროვნულ შემოსავალს გამოკლებული სოციალური დაზღვევის შენატანები, გაუნაწილებელი მოგება, ტრანსფერული გადასახადები; შემოსავალი გადასახადების გადახდის შემდეგ უდრის პირად შემოსავალს გამოკლებული გადასახადები პირად შემოსავალზე.[25]

[25] ყუფუნია გ. საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, 2010.

5.2. საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა და საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა

ფინანსური კრიზისი ორი სახისაა, ციკლური ფინანსური კრიზისი და სპეციფიკური ფინანსური კრიზისი. ფინანსური კრიზისის თანამედროვე გაგება მოიცავს როგორც ფულად საკრედიტო, ასევე მონეტარული და სახელმწიფო ფინანსური სისტემების კრიზისს. შესაბამისად, იგი თავს ავლენს ინფლაციაში, საკრედიტო სფეროს შეზღუდვებში, ბიუჯეტების დეფიციტურობაში, საგადასახადო სისტემის დაბალეფექტურობაში, საბანკო სადეპოზიტო ბაზის მოშლაში და ა.შ.

2006 წლიდან საქართველოში რამდენიმე ექსპერტი ბეჭდური მედიიდან აფრთხილებდა ხელისუფლებას, რომ ნავთობზე ფასების ზრდამ გამოიწვია სასურსათო კრიზისი ბევრ ქვეყანაში. რუსეთმა ხორბლის ექსპორტზე შემოიღო საბაჟო მოსაკრებლები, რამაც გამოიწვია პურზე და პურეულ პროდუქციაზე ფასების ზრდა ქვეყნის შიგნით. ფილიპინებმა უარი მიიღეს ბრინჯის შესყიდვაზე ტრადიციული პარტნიორი ინდონეზიისგან, იმ მოტივით, რომ უპირველესად სახელმწიფო მარაგები უნდა შევსებულიყო. ბანგლადეშში, ჩინეთში, ბირმაში შეინიშნებოდა სურსათის მაღალი დეფიციტი. საქართველოში ამ საკითხზე ქმედითი ღონისძიებები არ დასახულა. ხორბლის ნათესების რაოდენობა კიდეც შემცირდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეაქცია მსოფლიოში მიმდინარე აგრარული სექტორის რეცესიაზე იყო გაუგებარი და მოკლებული კომპეტენტურობას. ხელისუფლება მოსალოდნელი კრიზისისადმი ნეგატიურად იყო განწყობილი. ბეჭდურ მედიაში ისევ ჩნდებოდა ნაცადი „ხერხი", თითქოს საქართველო მსოფლიოს პროცესებში არ არის საკმარისად ინტეგრირებული და ეს კრიზისი სრულიად უსაფრთხოა. ამას წერდნენ ხელისუფლების პასუხისმგებელი პირებიც, მაშინ როდესაც საქართველოს მთავრობის პოლიტიკური მემორანდუმის მიხედვით ქვეყანაში დოლარიზაციის დონე 66,5 პროცენტს

შეადგენს, როდესაც ოფიციალური სამსახურების მონაცემებით ქვეყნიდან მიგრირებულია 1,2 მილნ ადამიანი, რომლებიც საქმიანობენ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, როდესაც ქვეყნის ფულადი ერთეულის ბაზა განთავსებულია დოლარებში და შეადგენდა 1,7 მლრდ აშშ დოლარს, როდესაც ქვეყნის საგარეო ვალი 2 მლრდ. აშშ დოლარია და ა.შ. ასეთი მაკროეკონომიკური პარამეტრებისა და უაღრესად დეფიციტური საგადამხდელო ბალანსის მქონე ქვეყანა არ იყოს ინტეგრირებული მსოფლიო ბაზარზე, წარმოუდგენელია. ქვეყანა, როგორც ნაფოტი ზღვაში, ისეა მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში. სახელდობრ, ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჩვენ მსოფლიო დინამიზმის დესტაბილური ტენდენციები არ შეგვეხება, არა მარტო შეცდომაა, არამედ დანაშაულიცაა.

მანამ, სანამ საქართველოს ხელისუფლებისთვის ცხადი გახდა მსოფლიო კრიზისის გარდაუვალობა, მან იგრძნო კრიზისი, სულ სხვა ხასიათის, არა მხოლოდ ეკონომიკური, რომელიც წარმოიშვა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა. ქვეყნის პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ანტიკრიზისული საბჭო ძალიან კომპეტენტური შემადგენლობით (საბჭოს წევრად შევიდნენ პარლამენტის თავმჯდომარე, ქალაქ თბილისის მერი, ოპოზიციურ პარტიათა ლიდერები და ა.შ.), მაგრამ შეკვეცილი ფუნქციური შესაძლებლობებით, რადგან პირველ ანტიკრიზისულ საბჭოს არ გააჩნია მუშა ორგანოები და არ ყოფილა გამოყოფილი არც ერთი თეთრი მის დასაფინანსებლად, და მეორე, საბჭოს არ განესაზღვრა მკაფიოდ და კონკრეტულად ფუნქციონირების სტრატეგიული, მიმდინარე და უშუალო მიზნები. შესაბამისად, საბჭოს საქმიანობა მიმართულია როგორც საომარი მოქმედებებით დაზარალებული მოსახლეობის პრობლემების გადასაწყვეტად, ასევე ჰუმანიტარული დახმარებების კოორდინაციისადმი. ჩნდება სამართლიანი ეჭვი, რომ პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილი ანტიკრიზისული საბჭოს წინაშე სრულიადაც არ დგას მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგების საქართველოზე გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებათა შემუშავება და

განხორციელება. საქართველო აღმოჩნდა ყოველგვარი დამცავი მექანიზმის გარეშე მსოფლიო კრიზისის წინაშე.

თანამედროვე ცხოვრებაში განსაკუთრებით აქტუალური გახდა ფიზიკის ზოგიერთი ზოგადი კანონის გამოყენება ეკონომიკურ გამოკვლევებში. შესაძლებელი გახდა „ფიზიკური ეკონომიკის" ცალკეული ვარიანტების შემოთავაზებაც. ამიტომ, სავსებით კორექტულად მიგვაჩნია თერმული ფიზიკის ზოგიერთი აღმოჩენის გამოყენება ეკონომიკურ კვლევებში. თერმოდინამიკის მეორე კანონიდან გამომდინარე, მდგრადი სისტემები არ არსებობენ, სისტემურ შეშფოთებათა შემდეგ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა სრულებითაც არ მეტყველებს მის მდგრადობაზე. ნებისმიერი „გადასვლა" წონასწორული მდგომარეობიდან არანონასწორულში და პირუკუ, სისტემას ანიჭებს სირთულის ახალ დონეს. შესაბამისად, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ პროგრესი (განვითარება გარკვეული შერჩეული კრიტერიუმების მიხედვით) სისტემის სირთულის ზრდის პირობებში არის გამოვლენა სისტემის შინაგანი პოტენციალისა.

პურის საკმარისი წარმოებისათვის საქართველოს ესაჭიროება წელიწადში 460 ათასი ტონა მაღალი ხარისხის საკვები ხორბალი. ხორბლის ამ რაოდენობის წარმოებისთვის ჩვენი დაბალი საშუალო საჰექტრო მოსავლიანობის პირობებში კი გვესაჭიროება არაუმეტეს 150-200 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული. ამჟამად ჩვენთან ყოველწლიურად იხვნება 600 ათასი ჰა სავარგული, 1951 წელს საქართველოში დაიხნა მილიონზე მეტი ჰექტარი მიწა. ქვეყანას შესაძლებლობა აქვს გაზარდოს ნათესი ფართობები და გამოდის, რომ მთავარ სასურსათო პროდუქტზე, პურზე, შეგვიძლია მოთხოვნები ჩვენივე რესურსებით დავიკმაყოფილოთ. მაშინ, რაშია საქმე? რატომ ვერ ვხნავთ სრულყოფილად შირაქის ველებს, ელდარის ტარიბანასა და ზალიჩას სახნავ მასივებს, რატომ გვრჩება დაუხნავი ივრის პირებსა, ქართლში და მესხეთ-ჯავახეთში ათასობით ჰექტარი მიწა? იმიტომ, რომ ბოლომდე არ იქნა მიყვანილი მიწის რეფორმა, არ ვიყენებთ ფინანსურ რესუსრებს მეხორბლეობის ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდისთვის. არ

ხდება შესაძლებლობების რეალიზაცია. სახელმწიფოებრივ დონეზე რაციონალური გადაწყვეტის პირობებში, ეს შესაძლებლობები გამოყენებული გვექნებოდა – ისევე, როგორც მეკარტოფილეობაში გადაიჭრა პრობლემები 1996 წელს, როდესაც საქართველოს ბაზრიდან გაძევებულ იქნა თურქული კარტოფილი. სახელმწიფოებრივი მიდგომით შეიძლება გადაწყდეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა „გამასივების" საკითხი, საჭირო სერვისისა და მარკეტინგის ორგანიზაცია.

საჭიროა გაუქმდეს ფარული საბიუჯეტო პრეფერენციები, რომლებიც შენიღბულია აქციზის გადასახადში ალკოჰოლიან სასმელებზე და ეს გადასახადი „მიებას" სასმელში ალკოჰოლის შემცველობას. ალკოჰოლური სასმელის აქციზით დაბეგვრის საკითხი არის ძალზედ მნიშვნელოვანი. არ არის მიღებული გადაწყვეტილებები მათი განაკვეთების ზომის შესახებ. ასეთი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება საშუალებას მოგვცემს გავამრავალფეროვნოთ ალკოჰოლიან სასმელთა ასორტიმენტი და გამოვავლინოთ ჩვენი საწარმოო პოტენციალი ხილის და კენკროვანთა წარმოება-შეგროვება-გადამუშავების საქმეში, რაც გაზრდის დასაქმებას სოფლად და ხელს შეუწყობს საექსპორტო პროდუქციის გადიდებას.

სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მიზნით მიზანშეწონილია გადაისინჯოს აქციზები ნავთობპროდუქტებზე. გლეხებისადმი ნავთობპროდუქტების უფასოდ მიწოდების ნაცვლად შეიქმნას მათზე ხელმისაწვდომობის მექანიზმი. აქციზისგან განთავისუფლებული დიზელი ხელმისაწვდომი იქნება ყველა მხვნელ-მთესველისათვის. ეს ღონისძიება შეიძლება გატარდეს ისე, რომ ბიუჯეტმა არცერთი თეთრი არ დაკარგოს. საჭიროა მხოლოდ ფინანსთა სამინისტროსა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლობის მექანიზმების დახვეწა.

საბანკო სექტორი/ეროვნული ბანკი

ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების ზედამხედველობის შესუსტება არსებითად უკონტროლოს ხდის მიმოქცევაში საჭირო ფულის რაოდენობას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ბანკების მიერ კლიენტებთან ურთიერთობის ეგრეთ წოდებული ოვერდრაფტების სისტემა. ოვერდრაფტი კლასიკური გაგებით არის კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე სახსრების ბანკის მიერ შევსება. ხოლო საქართველოში ბანკები საკუთარ თანამშრომლებსაც ხელფასებს ოვერდრაფტით უსწორებენ, აგრეთვე ოვერდრაფტის პრაქტიკას ეწევიან პლასტიკურ ბარათებზე რიცხული თანხების შესავსებად.

ეს სერიოზული პრობლემაა, რადგანაც ფულადი აგრეგატების განსაზღვრის დროს ლარში გახსნილ პლასტიკურ ბარათებზე რიცხული თანხები სალაროს ნაშთია, შესაბამისად, მ1-ის შემადგენელი ნაწილია. როგორ ანგარიშობენ მას? ამ აგრეგატის გათვლებში არსებული უზუსტობის გამო ხომ არ იყენებენ ოვერდრაფტებს? აშშ-ში, მაგალითად, ასეთი ფული ცალკე იანგარიშება და მას მ1 პრიმით აღნიშნავენ. ვიცით, რომ ამერიკამდე ბევრი გვაკლია, მაგრამ არც ისე ბევრი, რომ საკუთარი ნაღდი ფული ვერ აღვრიცხოთ და შევქმნათ ინფლაციის საფრთხე. თანაც, ინფლაციის საფრთხეს ქმნიდეს ის ორგანო, რომელიც მოწოდებულია მასთან საბრძოლველად. რახან ინფლაცია ვახსენეთ, ერთ საკითხსაც გვინდა შევეხოთ. ინფლაციასთან ბრძოლის ყველაზე სწორ საშუალებად ითვლება ბანკის საპროცენტო განაკვეთის რეგულირება და არა მიმდინარე ინტერესები (ტარგეტირება). საქართველოს ეროვნული ბანკი თავის ამ უაღრესად მნიშვნელოვან კოზირს იშვიათად იყენებს და როცა იყენებს, ყოველგვარი საჯაროობის გარეშე აკეთებს ამას, ისე, რომ ქვეყნის მოქალაქეები, ანუ ბანკის კლიენტები, საქმის კურსში არ არიან.

როგორც ცნობილია, წინა მთავრობის პერიოდში გაყიდულია ბათუმის მეთევზეთა კუთვნილი ნავმისადგომი და გაურკვეველია უკრაინაში, ქალაქ ქერჩში ამ კოოპერატივის კუთვნილი სანაპი-

რო-სამეურნეო ზონის საკუთრებითი სტატუსი და განვითარების პერსპექტივები.

გასხვისდა ფოთის პორტის მიმდებარე ტერიტორიები. ასევე, გაიყიდა მაღალრენტაბელური, ევროპული ტიპის მენეჯმენტის საზღვაო სანაოსნო, თავის გემებიანად. გარდა ამისა, შავი ზღვის თევზის უნიკალური რესურსები, რომელთა მოპოვება-გადამუშავებაზე მთელი ფლოტი (60-მდე სეინერი იყო მობილიზებული) იყიდება და ქართველ მეთევზეებს საკუთარი წყლებიდან დევნიან თურქი და უკრაინელი ზღვაოსნები.

ნეოლიბერალი მაიკლ პორტერის აზრით, სახელმწიფო თუ ხელს არ უწყობს მეწარმეებს, ბიზნესმენებს, მაშინ იგი ხელს უშლის, რადგან მესამე გზა არ არსებობს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფოთის ნავსადგურსა და საქართველოს სანაოსნოს ქვეყნის შიგნით კონკურენტები არ ყავდა, მათი კონკურენტები იყვნენ სხვა ქვეყნების პროფილური საწარმოები. მაგალითად, 1996 წელს ფოთის პორტიდან ევროპულ ბაზრებზე დაიწყო გასვლა უზბეკურმა ბამბამ, ნავსადგურში გაჩნდა ე.წ. „სტივიდორული" მომსახურების ახალი სახეობების განვითარების პერსპექტივა. სამწუხაროდ, დაიკარგა ეს ბიზნესი, რადგან ფოთის ნავსადგურის ადგილი ბამბის გადამუშავებაში დაიკავა რიგის ნავსადგურმა. მან ეს მოახერხა თავისი ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერის ხარჯზე. ანალოგიური შემთხვევა იყო საქართველოს სანაოსნოსთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებამ ჩართო „ბრიტიშ პეტროლიუმი", გერმანულ საზღვაო ბიზნესზე სპეციალიზებულ საბანკო და სადაზღვევო კომპანიები, ქვეყანამ შეიძინა მნიშვნელოვანი და მაღალორგანიზებული ბიზნესერთეული. ნაცვლად იმისა, რომ ასეთი მხარდაჭერა გაძლიერებულიყო, ისიც შეეწირა ლიბერალიზმის ვულგარულად გაგებულ მსოფლმხედველობას. იგივე მოხდა დაახლოებით ჭიათურის მანგანუმის და ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხნებთან დაკავშირებით. მთავრობა კვლავ სტატისტის როლში მოგვევლინა.[26]

[26] იაკობიძე დ. საქართველო და მსოფლიო კრიზისი. თბილისი, 2009.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი მის „რეციპიენტ" წევრ ქვეყანას „მწვანე შუქს" აუნთებს, მსოფლიო ბანკი მასთან შეთანხმებული ეკონომიკის სტრუქტურული რეფორმების პროგრამის რეალიზებისთვის ამ ქვეყნის მთავრობას ასევე შეღავათიან, მრავალწლიან კრედიტს აძლევს. საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკში 1992 წელს გაწევრიანდა, მაშინ როცა მათი წევრ სახელმწიფოთა რიცხვი 170 იყო. საქართველოს წილი, კვოტა (ანუ გადაწყვეტილების მისაღები ხმა) ამ ორგანიზაციებში 0,08 პროცენტია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდს გააჩნია თავისი კრიტიკოსები მსოფლიო მასშტაბით. ერთერთი მათგანი, ამერიკელი მარქსისტი ეკონომისტი ვიქტორ პელო თვლის, რომ ფონდი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სუპერკარტელი, რომელიც სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის მოქმედების მექანიზმია.

ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი მიქაელ პ. ტოდარო აღნიშნავს, რომ "მესამე სამყაროს" ქვეყნებთან მიმართებაში საერთაშორისო სავალუტო ფონდი საფინანსო პოლიტიკის მოძველებულ ღონისძიებებს იყენებს. რობერტ ქათერი, მიუთითებს აღნიშნულ საკითხზე საკმაოდ დიდი ლიტერატურის არსებობის შესახებ. სსფ-ს ბევრი ექსპერტი თავიანთ კვლევებში დადებითად აფასებს ამ მოვლენას. კრიტიკის მთავარი არგუმენტი კი გახლავთ სსფ-ს მიერ „მესამე სამყაროს" ქვეყნებში გატარებული პროგრამის არსებით ნაკლად მიჩნეული, საგადასახდელო ბალანსის გასაუმჯობესებლად, ექსპორტის სტიმულირებისათვის ეროვნული ვალუტის დევალვაციის გამოყენება: მართალია, ამ ღონისძიებას ექსპორტი უნდა გაეიაფებინა, მაგრამ ამ ქვეყნების ეკონომიკის სუსტი განვითარების გამო, ძირითადი საექსპორტო პროდუქცია (მაგალითად, ყავა) არა ელასტიურია, რამაც ექსპორტიდან შემოსავალი პრაქტიკულად არ გაზარდა, იმპორტი (კონკრეტულად ტექნოლოგიების იმპორტი) კი გააძვირა, რამაც, თავის მხრივ, შეაფერხა ამ ქვეყნებში მრეწველობის განვითარება. ფინანსისტ, ჯორჯ სორო-

სის შეფასებით, მსოფლიო საფინანსო კრიზისის აზიური ტალღის ჩასაქრობად საერთაშორისო სავალუტო ფონდი მოუმზადებელი აღმოჩნდა, რადგანაც ამ შემთხვევაში ისეთ ფენომენთან მოუწია დაპირისპირება, რომლის გამოცდილებაც მას არ ჰქონდა; კრიზისი ჩაისახა კერძო სექტორში, როცა სახელმწიფო სექტორი შედარებით კარგ მდგომარეობაში იყო, ამიტომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტრადიციულმა მიდგომამ ვალუტის სტაბილურობის მისაღწევად საპროცენტო განაკვეთების აწევითა და სახელმწიფო ხარჯების შემცირებით არ გაამართლა.

იაპონიის პრემიერ მინისტრმა მიაზავამ 1999 წლის მარტში ჩამოაყალიბა საკმაოდ საინტერესო პოზიცია, რომლის თანახმადაც საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, ჯერ ერთი, აღმასრულებელ დირექტორთა სხდომაზე გადამრჩენი პროგრამის განხილვაში კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების ოფიციალურ პირთა მოწვევის პრაქტიკა უნდა შემოიღოს, და მეორე, – დირექტორთა საბჭოს ფარგლებში შექმნას პროგრამული კომიტეტები, სადაც წინასწარ განიხილება სამომავლო პროგრამები და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება ფონდის მისიათა მოლაპარაკება საფინანსო დახმარებების მიმღები ქვეყნის წარმომადგენლებთან (დე გრეგორიო, ეიჩენგრინი, ვიპლოსი 1999)

ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის 1999 წლის ლაურეატის, ევროს ერთ-ერთი „მამის", კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის რობერტ ა. მანდელის შეფასებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდი სტატისტიკური და საკონსულტაციო დიდი სააგენტოა, რომელიც ხან კარგ რჩევებს იძლევა, ხან – ცუდს, თანაც, ამ რჩევების ხარისხი ძალზედ დაბალია, რისი უმთავრესი მიზეზიც თავად საერთაშორისო ფულად-საკრედიტო სისტემაში ძევს.

ადამიანთა სოციალური მდგომარეობის გაუარესება წარმოების დაცემით, მსყიდველობითუნარიანი მოთხოვნის შეკვეცითაა განპირობებული, რაც, ხშირ შემთხვევაში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემოთავაზებული „სტრუქტურული გარდაქმნის პროგრამათა" შედეგად აღიქმება. თუმცა, ძნელია არ დაეთანხმო

ფონდის ერთ-ერთ წამყვან სპეციალისტს, მარკ ალენს იმაში, რომ ეს პრობლემა სინამდვილეში იმ სტრუქტურული „სიმახინჯეებით" არის გამოწვეული, რომლებიც ეკონომიკის კომუნისტური ტიპის მოწყობით იყო დამკვიდრებული (ალენი, 1992), რის გამოც ეკონომიკური ვარდნა თვით ძველმა სისტემამ განაპირობა და, ამდენად, პრაქტიკულად – გარდაუვალიც იყო. პოლ კოლიერი ოქსფორდის უნივერსტეტიდან და იან ვილემ გაუნინგი თავიანთ გამოკვლევაში იმ დასკვნამდე მიდიან, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მხარდაჭერილ სტრუქტურული გარდაქმნების პროგრამებს მოსახლეობაზე ფულადი შემოსავლების განაწილების ანალიზი აკლია და რეფორმების თანმიმდევრობის საკითხის შეუსწავლებლობა ახასიათებს, რის გამოც, აქცენტი ნაადრევ საფინანსო ლიბერალიზაციაზეა გაკეთებული, შედეგად კი, სახეზეა გარდაუვალი სირთულეები, როცა პროგრამათა დასასრულს საფინანსო დახმარების შემცირების კვალობაზე შეუძლებელია პოსტ-სტაბილიზაციური ზრდის შემცირების თავიდან აცილება. (კოლიერი, გაუნინგი)

ჯოზეფ შტიგლიცი, აგრეთვე აკრიტიკებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუშაობის სტილს, როცა ამა თუ იმ ქვეყანაში ჩასული მისი ექსპერტები, რაღაც ორიოდე კვირის განმავლობაში, განიხილავენ და აზუსტებენ ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველ მონაცემებს და მათ საფუძველზე რეფორმების პოლიტიკისთვის მაკროეკონომიკურ რეკომენდაციებს იძლევიან (შტიგლიცი).

დიდ ბრიტანეთში საგადასახადო რეფორმის თვალსაჩინო მკვლევარის, ფილიპ ჩაპელის აზრით, იდეალური საგადასახადო სისტემა შემდეგ ექვს ძირითად პრინციპს უნდა ემყარებოდეს:

1. სიმარტივე (simplicity): სისტემის მიზანი ის უნდა იყოს, რომ ყველა ინდივიდს თვითონ, ე.წ. ექსპერტების დახმარების გარეშე, შეეძლოს გადასახადებთან დაკავშირებული საკითხების გაგება;
2. სიცხადე (plainness): გადასახადი უნდა იყოს ერთიანი განაკვეთი (single flat rate);
3. განაკვეთი (rate): გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება მისაღები შემოსავლის საჭირო ოდენობიდან, ამასთან, განაკვე-

თის სიდიდე ისეთი უნდა იყოს, რომ გადასახადის არგადახდა მეწარმეობისთვის წამგებიანი აღმოჩნდეს;

4. უნივერსალურობა (Universality): გადასახადი ყველგან ერთიანი განაკვეთით უნდა გამოიყენებოდეს და არავითარი შეღავათები და პრივილეგიები არ უნდა არსებობდეს, ხოლო სახელმწიფო მხარდაჭერა, მაგალითად, ინვალიდებისთვის სპეციალური პროგრამირებითა და გრანტებით და არა საგადასახადო შეღავათებით უნდა განხორციელდეს;
5. სრულყოფილება (comprehensiveness): გადასახადებით შემოსავლებიც უნდა დაიბეგროს, რადგანაც მარტო ხარჯების დაბეგვრა ეკონომიკურად არასასურველია;
6. სამართლიანობა (even-haudedness) გადასახადებმა არ უნდა გამოიწვიონ დამახინჯება დაზოგვის სხვადასხვა ფორმებსა და, იდეალურ შემთხვევაში, ხარჯვასა და დაზოგვას შორის.

საგადასახადო სისტემის სრულყოფა ეტაპობრივად საგადასახადო განათლების გავრცელების, საგადასახადო კულტურის ამაღლების კვალობაზე უნდა მოხდეს.

ამ ლოგიკიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი საქართველოს საფინანსო სისტემის შექმნისთანავე ყოვლად გაუმართლებელი იყო ბრუნვიდან გადასახადის დამატებული ღირებულების გადასახადით ჩანაცვლება. საქმე იმაშია, რომ კომუნისტური ტიპის ეკონომიკაში ბრუნვიდან გადასახადი თავისი ბუნებით სულაც არ იყო გადასახადი, ის საქონლის საცალო ფასსა და მწარმოებლის (ანუ საბითუმო) ფასს შორის მთავრობის მიერ წინასწარ დადგენილ სხვაობას წარმოადგენდა. რაც შეეხება დამატებული ღირებულების გადასახადს, მისი ეკონომიკური შინაარსი, გათვლის პრაქტიკა და ამოღების მექანიზმი მასობრივი გამოყენებისათვის საკმაოდ რთულია. ბევრად უფრო გამართლებულია სხვა სახეობის ირიბი გადასახადის გამოყენება, რომლის ადმინისტრირებაც აშკარად მარტივია. კერძოდ, ასეთია ვაჭრობაზე გადასახადი (ანუ ბრუნვიდან გადასახადი-ადვალური განაკვეთი), რომელიც საბოლოო შესყიდვის ეტაპზე გა-

დაიხდება, რის გამოც, გადასახადის გადამხდელისთვის და ამკრეებისთვისაც დაბეგვრის ეს მექანიზმი საკმაოდ გამჭვირვალეა და ადვილად ადმინისტრირებადი.

აუცილებელია ისიც აღინიშნოს, რომ დამატებული ღირებულების გადასახადი თავისი ეკონომიკური ბუნებით ბევრად უფრო გამართლებულია, ვიდრე ვაჭრობაზე გადასახადი, რადგანაც დაბეგვრას ბიზნესის ყველა სტადია ექვემდებარება და, ამდენად, საგადასახადო ტვირთი, შესაბამისად, ყველა ამ სტადიაზე ნაწილდება. მიუხედავად ამისა, აშშ-ში, უდიდესი საგადასახადო კულტურის მქონე ქვეყანაში, ვაჭრობაზე გადასახადი დღესაც გამოიყენება.

სსფ-ს შეცდომა ის გახლდათ, რომ, საქართველოს ხელისუფლებისგან განსხვავებით მან შესანიშნავად იცოდა, თუ რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის გამოყენება და, აქედან გამომდინარე, მისი რეკომენდაცია უნდა ყოფილიყო დროებით ვაჭრობაზე გადასახადის შემოღება და პარალელურად მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება დამატებული ღირებულების გადასახადის მექანიზმზე გადასასვლელად, რაც არ განხორციელდა.

დამატებული ღირებულების გადასახადთან მიმართებაში კიდევ უფრო დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს ამ გადასახადით სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაბეგვრა, რადგან სოფლად ამ გადასახადის აკრეფის ადმინისტრირების არავითარი ობიექტური საფუძველი არ არსებობს.

სსფ-ს მკაცრი რეკომენდაციით საქართველოში შემოღებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრა. თავდაპირველად წლიური ბრუნვის ის მინიმალური ზღვარი, რომლის ზევითაც ამ გადასახადით იბეგრება სასოფლო-სამეურნეო საწარმო დადგინდა 3 000 ლარის დონეზე, შემდეგ 20 000 ლარამდე გაიზარდა და ბოლოს 35 000 ლარის დონეზე გადავიდა. სსფ-ს მიერ მომზადებულ „საგადასახადო პოლიტიკის სახელმძღვანელოში" მითითებულია, ფონდი იმ სფეროებს განსაზღვრავს, სადაც მისივე რეკომენდაციით არ

უნდა იქნეს გამოყენებული დამატებული ღირებულების გადასახადი, მისი რთული ადმინისტრირების გამო; კერძოდ, ერთ-ერთ ასეთ სფეროდ აღიარებულია სასოფლო-სამეურნეო სექტორი. იქვე აღნიშნულია, რომ ფონდმა უარი თქვა ამ ტიპიურ პრაქტიკაზე მხოლოდ პოსტკომუნისტური ქვეყნების მიმართ, სადაც შენარჩუნებულია მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები (შომი 1995). ამ სქემის საქართველოში გამოყენებისას გათვალისწინებული არ იქნა, რომ მსხვილი სასოფლო – სამეურნეო საწარმოები (სახელმწიფო თუ კოლექტიური) პრაქტიკულად ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მიღებისთანავე დაიშალა და აგრარული სექტორი ძირითადად მხოლოდ წვრილი მეურნეობით არის წარმოდგენილი. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში, ჯერ-ერთი, პრაქტიკულად მთელი დარგი დარჩა ირიბი გადასახადით დაუბეგრავი, ხოლო, მეორე, – შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების გამსხვილების და, შესაბამისად, ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ძლიერი საგადასახადო ანტისტიმული. იდეალური საგადასახადო სისტემის პრინციპებიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში დარღვეულია პირველი პრინციპი – „სიმარტივე" და მეოთხე პრინციპი – „უნივერსალურობა".

სსფ-ს მეთოდური ხასიათის კიდევ ერთ შეცდომას წარმოადგენს მისი რჩევა და საბოლოოდ მოთხოვნა, რომ საქართველოს ხელისუფლებას გაეუქმებინა მოგების იმ ნაწილის მოგების გადასახადისგან განთავისუფლება, რომელიც რეინვესტირებაზე მიდიოდა. აქვე მიზანშეწონილია ხაზი იმ გარემოებასაც გაესვას, რომ მოგების საინვესტიციო ნაწილის შესაბამისი გადასახადისგან განთავისუფლება გარკვეული ზომით ხელს უწყობს მოგების, და, საბოლოო ჯამში, დამატებული ღირებულების აღრიცხვიანობის საკითხის მოწესრიგებას, რაც საგადასახადო შემოსავლების ზრდაში აისახება; სამწუხაროდ, მოგების საინვესტიციო ნაწილის დაბეგვრიდან განთავისუფლების გაუქმებამ, შესაბამისად, უარყოფითად იმოქმედა ზოგადად დასაბეგრი ბაზის აღრიცხვიანობის სრულყოფაზეც.

პრობლემას წავაწყდით საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებითაც. მხედველობაშია მისი პროგრესული ხასიათი. კომუნისტური წარსულის პირობებში მუშაკები სახელმწიფო საწარმოებსა, თუ ორგანიზაციებში იყვნენ დასაქმებული და ბუნებრივია, რომ საშემოსავლო გადასახადით მხოლოდ ხელფასი იბეგრებოდა, რისთვისაც სავსებით საკმარისი იყო არა თითოეული მუშაკის შემოსავლის ცალკე დაბეგვრა, არამედ ერთიანი გადასახადის დარიცხვა ხელფასის ფონდზე. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როცა, ერთის მხრივ, მოსახლეობა დასაქმებულია არა მარტო (და არა იმდენად) სახელმწიფო, არამედ (და უფრო მეტადაც) კერძო სექტორში, ხოლო, მეორეს მხრივ, ხელფასის გარდა გაჩნდა ისეთი შემოსავლები, როგორიცაა პროცენტი, რენტა, დივიდენდი და სხვ., დღის წესრიგში დადგა თითოეული ინდივიდის შემოსავლის ცალკე დაბეგვრის პრობლემა, სახელდობრ:

1. დამატებული ღირებულების გადასახადის ჩანაცვლებას ვაჭრობიდან უკვე არაფერი ეშველება. მთავრობამ უკვე საკმაო ტექნიკური დახმარება მიიღო სსფ-ს ფონდიდან და ოდნავ გაუმჯობესდა ამოღების პრაქტიკა, მაგრამ საქართველოს ევროკავშირში განევრიანების პირობებში, ყოვლად გაუმართლებელი იქნება ამ ეტაპზე დამატებული ღირებულების გადასახადზე უარის თქმა.
2. ძალზედ საეჭვოდ უნდა ჩაითვალოს სსფ-ს პოზიციის შეცვლაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებით, თუმცა მცირედი შანსი მაინც არის, რადგან სხვადასხვა ევროკავშირის ექსპერტები მიიჩნევენ სწორად მიწის გადასახადის გაზრდას.
3. რაც შეეხება მოგების რეინვესტიციის ნაწილის გადასახადისგან განთავისუფლებას, ეს აუცილებლად უნდა გახდეს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მოლაპარაკების თემა. მისი ერთ-ერთი წამყვანი ექსპერტი მიიჩნევს, რომ საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება საინვესტიციო საგადასახადო კრედიტია.

4. პროგრესული საშემოსავლო საგადასახადო სისტემიდან პროპორციულზე გადასვლის აშკარა მიზანშეწონილობის მიუხედავად, თითქმის არავითარი შანსი არ არსებობს იმისა, რომ ამ საკითხზე ფონდთან შეთანხმება იქნეს მიღწეული. საქმე იმაში გახლავთ, რომ დაბეგვრის პროპორციული სისტემიდან პროგრესულზე გადასვლა საზოგადოდ ურთულეს პოლიტიკურ ნაბიჯად არის მიჩნეული და ამიტომ, სავარაუდოდ, სსფ პროპორციულზე დაბრუნების ბუნდოვანი სამომავლო გარანტიის პირობებში შემოღებას არ დაეთანხმება.

ფასწარმოქმნის ფაქტორების გაუთვალისწინებლობით გამოწვეული შეცდომა

საბაჟოზე მინიმალური საანგარიშო ფასების გაუქმების და ალკოჰოლური სასმელებიდან საგადასახადო შემოსავლების ამოღების გაუმჯობესების მიზნით სსფ-თან და მსოფლიო ბანკთან შეთანხმებით გადაწყდა ამ სასმელებზე ფიქსირებული გადასახადის შემოღება ე.წ. „ადვალური" (ad valorem) (ანუ პროცენტული განაკვეთის საფუძველზე განსაზღვრული) გადასახადის ნაცვლად. საქონლის ფიქსირებული გადასახადი განაკვეთის გათვლისას მის საერთაშორისო ფასს ადვალური გადასახადები დაერიცხება და აბსოლუტურ გამოხატულებაში მოცემული სიდიდისგან საწყისი ფასის გამოკლებით გასათვლელი გადასახადის ოდენობა მცირდება. მსოფლიო ვაჭრობაში მიღებული წესების თანახმად, როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტული საქონელი ერთნაირ რეჟიმში უნდა იბეგრებოდეს, რის გამოც ფიქსირებული გადასახადით „ადვალური" გადასახადის ჩანაცვლება მოხდა ორივე ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტულ ალკოჰოლურ სასმელებზე. რადგან იმპორტი, ადგილობრივი წარმოებისგან განსხვავებით, დამატებით საბაჟო გადასახადით იბეგრება, ბუნებრივია, რომ ეს დაბეგვრის ახალი რეჟიმის პირობებშიც ჰპოვებს ასახვას.

საქართველოს მხარის წინადადება იყო, რომ ფიქსირებული გადასახადის ოდენობის გამოსათვლელად ალკოჰოლური სასმელების

საწყისი ფასი იმპორტის შემთხვევაში 10 პროცენტით გაზრდილიყო, რაც იმითაა განპირობებული, რომ იმპორტი, თავისთავად, შეუძლებელია ქვეყნის საზღვრამდე ტრანსპორტირების გარეშე, რისი ხარჯებიც, შესაბამისი დაზღვევის ჩათვლით, საქონელს არა ნაკლებ 10-15 პროცენტით აძვირებს. ხაზგასმულია ის გარემოება, რომ „ადვალური" გადასახადით დაბეგვრისას იმპორტის დროს ხსენებული ტრანსპორტირების და შესაბამისი დაზღვევისთვის ფაქტორებით გამონვეული ფასთა სხვაობა გადასახადის აბსოლუტურ ოდენობაზე აისახება.[27]

[27] პაპავა ვლ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბილისი, 2000.

თავი 6. დასკვნები, ამოცანები, სრულყოფის წინადადებები და საქართველოს ეკონომიკის განვითარების გზები

ნაშრომში ჩვენ განვიხილეთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსი, მნიშვნელობა როგორც რეციპიენტი ქვეყნისთვის, ისე კაპიტალის მესაკუთრე (დონორი) ქვეყნისთვის, პუი, როგორც საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობის ძირითადი ფორმა თანამედროვე პირობებში, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, ის ობიექტური პირობები და სუბიექტური ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს უცხოური ინვესტიციების აუცილებლობას, როგორც კაპიტალის მიმღები (რეციფიენტი), ისე კაპიტალის გამტანი (დონორი) ქვეყნისთვის, ვუჩვენეთ (დავინახეთ), რომ კაპიტალის მოძრაობა ქვეყნიდან ქვეყანაში არა მარტო შეესაბამება ორივეს ინტერესებს, არამედ ხშირად სერიოზულ წინააღმდეგობებსაც წარმოშობს, გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული მხარე ცდილობს ინვესტიციებით რაც შეიძლება მეტი (მაქსიმალური) მოგების მიღებას. ამ მოგების ოდენობა განსაზღვრული სიდიდეა, რომელიც ოპტიმალურად, სამართლიანად უნდა იქნეს განაწილებული კაპიტალის მიმღებ და გამტან ქვეყნებს შორის. ამ წინააღმდეგობის დასაძლევად აუცილებელია ორივე მხარის მუდმივი ძალისხმევა, საკუთარი ინტერესების დაცვის პირობებში ერთმანეთის ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინება. ამას მოითხოვს არსებობისთვის ბრძოლის ბუნებრივ-საზოგადოებრივი კანონი, რომლის ერთ-ერთი გამოვლინება ეკონომიკაში არის კაპიტალის მოძრაობა, მისი ძირითადი და სპეციფიური ფორმა თანამედროვე პირობებში – პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი).

თანამედროვე პირობებში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და ინოვაციური საქმიანობის გაფართოებისთვის განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ენიჭება უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.ამიტომ, ნებისმიერი ქვეყანა, ეს იქნე-

ბა განვითარებული თუ განვითარებადი, სისხლხორცეულად არის დაინტერესებული უცხოური ინვესტიციების მოზიდვითა და გამოყენებით, მისი მუდმივი გაფართოებით. ამასთან, ბუნებრივია, რომ სამეურნეო რესურსების უდიდესი ნაწილი განვითარებულ ქვეყნებშია თავმოყრილი, ხოლო მათზე მწვავე მოთხოვნა განვითარებად და, განსაკუთრებით, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, რომელთაც საკუთარი ფინანსური რესურსები არა აქვთ ჩამორჩენილობის დასაძლევად და საბაზრო ეკონომიკის ასაშენებლად. სწორედ ამიტომ, ეს ქვეყნები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ უცხოური ინვესტიციები მოიზიდონ და ამ მიზნით შექმნან სათანადო პირობები. საქართველო სწორედ ასეთი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება.

თუმცა, ერთია მიზანი და მეორეა მიზნის მიღწევისთვის სათანადო პირობების, საინვესტიციო გარემოს შექმნა. ამ მხრივ საქართველომ ბოლო 6-7 წელიწადში არსებით წარმატებას მიაღწია. სწორედ ამისი დადასტურებაა უცხოური ინვესტიციების სისტემატური ზრდა აღნიშნულ პერიოდში, გარდა ცალკეული გამონაკლისებისა, რაც საქართველოს მიზეზით არ იყო გამოწვეული, მხედველობაშია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და 2008-2010 წწ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობა ნაკარნახევია ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობით: ეკონომიკური ზრდის არასაკმარისი ტემპებით (სასურველთან და შესაძლებელთან შედარებით), უმუშევრობის მაღალი და მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონით, ეკონომიკის დიდმნიშვნელოვანი დარგების ასამოქმედებლად საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის შესაქმნელად აუცილებელი სახსრების უკმარისობით.

ბოლო 6-7 წელიწადში საქართველოში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, მათი წახალისებისა და დაცვისთვის, საჭირო საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად, საინვესტიციო გარემოს სრულსაყოფად, რამაც განაპირობა

უცხოური ინვესტიციების შემოდინების მუდმივად ზრდის ტენდენცია, ცალკეული გამონაკლისების გარდა, რომელთა შესახებ ზემოთ აღვნიშნეთ.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოსვლა პირდაპირ დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკის რეფორმირებასთან. რეფორმების საწყის ეტაპზე (1993-1996 წწ.) უცხოური ინვესტიციები ფაქტობრივად არ შემოსულა, ან სრულიად უმნიშვნელო მოცულობით შემოვიდა. უცხოურმა ინვესტიციებმა მცირე რაოდენობით შემოდინება 1997-1998 წლებიდან იწყეს, მაგრამ მომდევნო პერიოდში 2002 წლამდე ეს შემოდინება კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. ამავე დროს ადგილი ჰქონდა კორუფციის მაღალ დონეს, არასტაბილურ პოლიტიკურ მდგომარეობას და სხვა არახელსაყრელ პირობებს.

უცხოური ინვესტიციების შემოდინება საქართველოში ინტენსიურ ხასიათს ღებულობს 2004 წლიდან და მან 2007 წელს 2 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა, ნაცვლად 126.4 მლნ. აშშ დოლარისა 2000 წელს, ე.ი. 7 წელიწადში უცხოური ინვესტიციების მოცულობა ქვეყანაში გაიზარდა დაახლოებით 16-ჯერ. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი ზრდაა. 2008 წელს საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოსვლა წინა წელთან შედარებით 500 მლნ. აშშ დოლარით, ანუ 23%-ით შემცირდა, რაც განპირობებული იყო 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოსთვის თავსმოხვეული ომით, რამაც საგრძნობლად გააუარესა ქვეყნის საინვესტიციო იმიჯი და, შესაბამისად, შეამცირა უცხოური ინვესტიციების შემოსვლის მოცულობა. საკმარისია აღინიშნოს, რომ 2008 წლის III კვარტალში II კვარტალთან შედარებით უცხოური ინვესტიციები 605.4 მლნ. აშშ დოლარიდან 134.7 მლნ. აშშ დოლარამდე, ანუ 4.5-ჯერ შემცირდა. ერთ კვარტალში ასეთი შემცირება, რა თქმა უნდა, კატასტროფული მაჩვენებელია. 2009 წლიდან საქართველოში კვლავ იწყო ზრდა უცხოურმა ინვესტიციებმა, განსაკუთრებით, 2010 წლის I კვარტალიდან, მაგრამ მის მოცულობებს 2007 წლის მონაცემებისთვის ჯერ არ მიუღწევია.

2004-2008 წლებში საქართველოში უცხოური ინვესტიციების ინტენსიური შემოსვლის შედეგად მათმა ჯამურმა მაჩვენებელმა თითქმის 6.5 მლრდ. აშშ დოლარს მიაღწია, რის შედეგადაც ქვეყანაში 325 ათასამდე სამუშაო ადგილი შეიქმნა. ყოველივე აღნიშნული ახალი, უფრო მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების წინაშე აყენებს ქვეყანას.

ეს ამოცანები ინვესტიციების სფეროში შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1. საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაციის თანამედროვე ეტაპზე ინვესტიციური პოტენციალის გადიდების პრობლემების გადაჭრა ახლებურ თეორიულ-მეთოდოლოგიურ მიდგომას მოითხოვს, როგორც მთლიანად ინვესტიციების კვლავწარმოების, ისე საინვესტიციო ბაზრის ფორმირებისა და განვითარების პროცესის მიმართ;

2. საქართველოს ეკონომიკაში საბაზრო პრინციპების დამკვიდრებისთვის, მოკლე ისტორიულ ვადაში მისი ღრმა ტრანსფორმაციის გათვალისწინებით, აუცილებელია ინვესტიციის თეორიული კვლევა და ანალიზი, ქვეყანაში ინვესტირების პრიორიტეტული მიმართულებების დადგენა, ინვესტიციის ეროვნული ბაზრის ფორმირების თავისებურებათა გამოვლენა, ეროვნული საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განსაზღვრა, საინვესტიციო საქმიანობაში ბანკების როლის გამოკვეთა, მტკიცე სამართლებრივი ბაზის შექმნა, ინვესტიციის ბაზრის ეროვნული კონცეფციის შექმნა და ქვეყანაში ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურებისკენ მიმართული ეკონომიკური პოლიტიკის, პრაქტიკული რეკომენდაციების თეორიულად და მეთოდოლოგიურად დასაბუთება;

3. ინვესტიციების განმარტებისას საჭიროა გავითვალისწინოთ როგორც რესურსებისა და დანახარჯების, ისე შემოსავლების მხარეები, ვინაიდან ინვესტიცია, ერთი მხრივ, ბიზნეს საქმიანობის შედეგია, ხოლო, მეორე მხრივ, შემოსავლების ნაწილია, რომელიც ამ შემთხვევაში მოხმარებისთვის არ გამოიყენება. მიზანშეწონი-

ლია, რომ ინვესტიცია განვიხილოთ ორ ასპექტში: როგორც მარაგისა და როგორც ნაკადის კატეგორია, რაც ზუსტად ასახავს „კაპიტალური დაბანდებისა" და „ინვესტიციის" ცნებებს შორის კავშირს;

4. ინვესტიციების მიმდინარე გარდაქმნების შესაბამისად შეიძლება გამოვყოთ საინვესტიციო საქმიანობის შემდეგი ძირითადი ფაზები: **პირველი – წინასაინვესტიციო ფაზა**, რომელიც საინვესტიციო რესურსების ერთიანობას და ინვესტორებისთვის უფრო მომგებიანი ობიექტების ძიებას მოიცავს; **მეორე – საინვესტიციო ფაზა**, როცა ხორციელდება რესურსების გარდაქმნა დაბანდებებად (დანახარჯებად); **მესამე – საექსპლუატაციო ფაზა**, რომელიც კაპიტალური ღირებულების ზრდის მეტამორფოზას მოიცავს;

5. ინვესტიციის ბაზრის რაობის დადგენისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინვესტიციების კლასიფიკაციას. სახსრების დაბანდების ობიექტების მიხედვით გამოვყოფთ 1) ფინანსურ (პორტფელურ) ინვესტიციებს, 2) რეალურ (მატერიალურ აქტივებში განხორციელებული) ინვესტიციებსა და 3) ინტელექტუალურ ფასეულობებში განხორციელებულ ინვესტიციებს. ფინანსური ინვესტიციები ფულადი სახსრების დაბანდებაა აქციებში, ობლიგაციებში და სხვა საფონდო ფასეულობებში. რეალური ინვესტიციები არის დაბანდება ძირითად კაპიტალსა და მატერიალურ-საწარმოო მარაგებში. ინტელექტუალური ინვესტიციები გულისხმობს კაპიტალის დაბანდებას მეცნიერულ გამოკვლევებში, მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებაში, ახალი ტექნოლოგიის გამოსაყენებლად ლიცენზიის შეძენაში, ცნობილი ფირმების სავაჭრო მარკების გამოყენების უფლების მიღებაში და ა.შ.;

6. საინვესტიციო საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს შემდეგი წყაროების ხარჯზე: საკუთარი სახსრები; ნასესხები სახსრები; ინვესტორის მოზიდული სახსრები; ბიუჯეტური ასიგნებანი. ინვესტიციები შეიძლება არსებობდეს როგორც ფულადი და მატერიალურ-ნივთობრივი ფორმით, ისე ქონებრივი უფლებების და ინტელექტუალური პოტენციალის ფორმითაც;

7. ფინანსურ აქტივებში ინვესტირება ხდება მათი შემოსავლიანობის ნორმებთან დამოკიდებულებაში. ფინანსური აქტივების მიხედვით შემოსავალი იყოფა დივიდენდად და პროცენტად. ეს განისაზღვრება იმით, თუ რომელ კაპიტალს წარმოადგენენ ისინი – სამეწარმეოს თუ სასესხოს. აღნიშნული შემოსავლის წყაროა მოგების ნაწილი, რომელიც მიღებულია სამეწარმეო საქმიანობიდან კაპიტალური ქონების, როგორც ინვესტიციების მატერიალიზებული ფორმის ფუნქციონირების შედეგად;

8. ინვესტიციური საქმიანობა ეკონომიკური ზრდის აუცილებელი პირობაა. მასთან ორგანულ კავშირშია დაგროვება, რომელიც ეკონომისტთა აბსოლუტური უმრავლესობის მიერ საზოგადოებრივი პროგრესის განმსაზღვრელ ფაქტორად არის მიჩნეული. დაგროვების სიდიდე ეკონომიკური ზრდის უმთავრესი, მაგრამ არა ერთადერთი გზაა. ამიტომ, ჯ. კეინზის მულტიპლიკატორის თეორიასთან, ეკონომიკური დინამიკის თეორიასთან, სხვადასხვა კონცეფციებთან და პრინციპებთან ერთად გამართლებულად მიგვაჩნია ეკონომიკური განვითარების მრავალფაქტორული მოდელების შექმნა, მათ შორის აღსანიშნავია კობა-დუგლასის საწარმოო ფუნქცია, რომელიც საზოგადოებაში შექმნილი პროდუქტის მოცულობის ზრდის ფაქტორებად კაპიტალს, შრომას და მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროგრესს მიიჩნევს. ნაშრომში შესწავლილი თეორიული დებულებების საფუძველზე გამოტანილია დასკვნა, რომ საქართველოში საინვესტიციო კრიზისის უმნიშვნელოვანესი მიზეზებია, ერთი მხრივ, სახელმწიფო ინვესტიციების მოცულობის არსებითი შეკვეცა, მეორე მხრივ კი, საბოლოო პროდუქტზე შიდა მოთხოვნის მკვეთრად დაქვეითება, რაც აუცილებელ წინამძღვრებს არ უქმნის კერძო ინვესტიციების ნაკადს;

9. უცხოური ინვესტიციების ზრდასთან ერთად აუცილებელია მათი მიზანმიმართული, ეკონომიკურად მიზანშეწონილი და ეფექტური გამოყენება. მონაცემებით დასტურდება, რომ ქვეყნის საინვესტიციო რესურსების გაუმართლებლად მცირე ნაწილი გამოიყენება მატერიალური წარმოების სფეროში. მრეწველობაში იგი

შეადგენს 5.3%-ს, სოფლის მეურნეობასა და სატყეო მეურნეობაში – 2.8%-ს. ასევე მცირე რაოდენობით გამოიყენება განათლებასა და ჯანდაცვის სფეროში, შესაბამისად: 1.9% და 0.9%. ისიც აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში სხვა არხებით შემოსული საკრედიტო-საფინანსო რესურსების დიდი ნაწილი ძირითადად სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას ხმარდება, ნაცვლად მატერიალური წარმოებისა და სოციალური ინფრასტრუქტურისა, სადაც რეალურად იქმნება დამატებითი სამუშაო ადგილების ზრდა და მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობები;

10. ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოცულობების მუდმივ ზრდასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მისი გამოყენების რაციონალურ სტრუქტურას. პირველ რიგში, მის ოპტიმალურ განაწილებას ეკონომიკისა და სოციალური სფეროს პრიორიტეტულ დარგებში. ამასთან, არანაკლები მნიშვნელობისაა პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა და მისი მეცნიერულ-პრაქტიკული დასაბუთება. აღსანიშნავია, რომ 2010 წლიდან საქართველოში მეტი ყურადღება მიექცა, ინფრასტრუქტურის დარგებთან ერთად, წარმოების სფეროში, განსაკუთრებით – სოფლის მეურნეობასა და საკურორტო-ტურისტულ მშენებლობაში ინვესტიციების მნიშვნელოვან გადიდებას, ამის მიხედვით პრიორიტეტების რაციონალიზაციას, ახალი ამოცანების შესაბამისად;

11. დიდი მნიშვნელობის საქმეა ქვეყანაში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირების შემდგომი სრულყოფა, ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორების შესწავლა და სამეურნეო პრაქტიკაში მათი მაქსიმალურად გათვალისწინება, პირველთა რაციონალურად გამოყენება და მეორეთა თავიდან აცილება ან მინიმუმამდე დაყვანა.

საქართველოში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს განმსაზღვრელი მისი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა და ამ მდებარეობის განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მნიშვნელობაა, რაც მსოფლიოს ყურადღების გარეშე არ დარჩენია, დაწყებული, უკვე რეალობად ქცეული, კოლხეთში არგონავტების ლაშქრობის მითი-

დან, დამთავრებული დღევანდელი სინამდვილით. საქართველო იყო და არის ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი დერეფანი, აქვს მსოფლიო ბაზრებზე გასასვლელი, საზღვაო, სარკინიგზო, მილსადენი და სხვა სატრანსპორტო-საკომუნიკაციო საშუალებები. გარდა ამისა, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოში არსებული დაბალკონკურენტუნარიანი გარემო, მატერიალური სფეროს განვითარების დაბალი დონე. ცხადია, ასეთ პირობებში უცხოური ინვესტიციების შემოსვლა ხელსაყრელია, როგორც ინვესტორისთვის, ისე ადგილობრივი მომხმარებლისთვის;

12. ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებების, საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციებისა და მეგობარი სახელმწიფოების მხრივ მხარდაჭერის მიუხედავად, რის შედეგადაც საქართველო ამჟამად მსოფლიოში ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს მიხედვით საპატიო მე-11 ადგილზეა, საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი. მიუხედავად უდაო წარმატებებისა, ჯერ კიდევ არასაკმარისია ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების მიღნეული დონე და მისი ზრდის ტემპები;

13. საქართველოში, ისევე როგორც ნებისმიერ ქვეყანაში, განსაკუთრებით საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ქვეყნებში, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება საბანკო სისტემის განვითარების დონესა და კრედიტორისადმი ხელმისაწვდომობას.

14. შემდგომ სრულყოფას საჭიროებს უცხოური კრედიტების მიღებისა და განაწილების წესი. გრძელვადიანი საკრედიტო დახმარება, პირველ რიგში, ისეთ საინვესტიციო პროექტებს უნდა გაეწიოს, რომელთა ცხოვრებაში განხორციელებით შესაძლებელი იქნება სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების გადაწყვეტა;

15. ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს შემდგომი გაუმჯობესებისა და ინვესტიციების მოზიდვის კიდევ უფრო გაფართოების მნიშვნელოვან ფაქტორს საგადასახადო განაკვეთებისა და დაბეგვრის სისტემის სრულყოფა წარმოადგენს.

16. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში რადიკალური ღონისძიებების გატარების შედეგად ძირითადად თითქმის მთლიანად დაძლეულია კორუფცია, ჯერჯერობით მაინც შემორჩა სფეროები, სადაც კორუფცია ჯერ კიდევ ბოლომდე აღმოფხვრილი არ არის, ასეთ სფეროდ რჩება საბაჟო სამსახური, სადაც შესაბამისი ორგანოების ინტენსიური და მიზანმიმართული მუშაობის შედეგად თითქმის ყოველდღე ხდება ნეგატიური ფაქტების გამოვლენა. ამ მიმართულებით, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ სამუშაოა ჩასატარებელი.

17. ქვეყანაში ჯერ კიდევ დაბალია წარმოების ეფექტიანობის დონე, რაც ხელს უშლის კაპიტალწარმოქმნის პროცესს, სახსრების დაგროვებას და მის რაციონალურად, მიზანმიმართულად გამოყენებას. ეს პირდაპირ უარყოფით ზემოქმედებას ახდენს სახელმწიფო საგარეო ვალის ზრდაზე. ამჟამად საგარეო ვალი შეადგენს დაახლოებით 3.3 მლრდ. აშშ დოლარს, ანუ ქვეყნის მშპ-ის თითქმის ერთ მეოთხედს. ეს, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის განვითარების პერსპექტივებზე. ვითარების გამოსასწორებლად საჭიროა საინვესტიციო აქტივობის ამაღლება, საინვესტიციო გარემოს შემდგომი სრულყოფა.

18. ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მნიშვნელოვანი ფაქტორია საკანონმდებლო ნორმატიული ბაზისა და სასამართლო სისტემის სრულყოფა. მართალია, ამ მხრივ ბოლო წლებში, განსაკუთრებით 2009 წლიდან, ბევრი რამ გაკეთდა და ამჟამადაც კეთდება, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ამ მიმართულებით ინტენსიური და სისტემატური მუშაობაა საჭირო.

19. როგორც მთლიანად ეკონომიკაში, ისე საინვესტიციო გარემოს შექმნაში, ინვესტიციების ზრდასა და მათ ეფექტიანად, მიზანმიმართულად გამოყენებაში დიდმნიშვნელოვანი როლი ენიჭება სწორ, მეცნიერულად დასაბუთებულ და პრაქტიკულად რეალიზებად სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკას. ასეთმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტა, უახლესი და მიმდი-

ნარე ამოცანების თანმიმდევრულად და წარმატებულად განხორციელების გზით, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, დასაქმების დონის მუდმივ ამაღლებას, ღირსეულ ანაზღაურებას და, შედეგად, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.

20. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგიაში გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი თანმდევი უარყოფითი შედეგებიც. სახელდობრ, ინვესტიციებზე მწვავე მოთხოვნების პირობებში, საბაზრო მექანიზმების მოქმედებამ ქვეყანა არ უნდა გადააქციოს უცხოეთის ქვეყნების სანედლეულო დანამატად და მათი საქონლის გასაღების ბაზრად. ამ უკანასკნელი მოვლენის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია უცხოური ინვესტიციების გამოყენებაში პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა, საწარმოო სფეროსთვის სათანადო ყურადღების მიქცევა, რაც ადრეულ ეტაპზე (2004-2008 წწ.) ვერ ხერხდებოდა, მაგრამ დღეისათვის სათანადო პირობები უკვე შექმნილია, რაც გონივრულად უნდა იქნეს გამოყენებული. ქვეყნის საინვესტიციო სტრატეგიის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნად უნდა იქცეს ის, რომ საქართველომ სრულად შეინარჩუნოს თავის ტერიტორიაზე უცხოელი ინვესტორების დაშვებასა და ეკონომიკის ცალკეულ სფეროებში (დარგებში) ინვესტიციების განთავსებაზე კონტროლი. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების შენარჩუნება, ეკონომიკაში ინვესტიციების მიზანდასახული განთავსება, რაც სათანადო პირობებს შექმნის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინებისთვის.

ზემოთ აღნიშნული მიზნების მიღწევასა და ამოცანების გადაწყვეტაში განმსაზღვრელი როლი აკისრია საერთოდ ინვესტიციებს, ხოლო ჩვენს პირობებში, როგორც საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, მის მიზანმიმართულად და ეფექტიანად გამოყენებას.

განვითარების გზები

ეკონომიკა, როგორც ცნობილია, არის ამოსავალი წერტილი და აუცილებელი პირობა ქვეყნის სამხედრო ძლიერების, ჯანდაცვის, მედიცინის, ინფრასტრუქტურის და ა.შ. განვითარებისთვის. მრჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჩვენმა მთავრობებმა, ნებსით თუ უნებლიედ, ვერ გააცნობიერეს, რომ მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკაზეა შესაძლებელი რეალური, წარმატებული პოლიტიკის აშენება, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლას. ახლანდელი მთავრობა ცდილობს მიხედოს ეკონომიკურ საკითხებს, მაგრამ რამდენად სწორად აკეთებს ამას და გამოსდის, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. მოკლედ განვიხილოთ ქართული პოლიტიკა ეკონომიკურ ჭრილში, უკანასკნელი ათწლეულების მაგალითზე:

1. ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს, ყველას გახსოვთ მაშინ მიმდინარე ურთულესი მოვლენები და მე ვთვლი, იმ პირობებში რეალურ ეკონომიკაზე საუბარიც კი უადგილოა. მას არ ჰქონდა დრო ეკონომიკაზე საფიქრელად და, მით უმეტეს, შესაძლებლობა.

2. ედუარდ შევარდნაძის დროს, გახსოვთ ალბათ, ეკონომიკის ფაქტობრივად არ არსებობა, თუმცა ამასაც ჰქონდა თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. ამ შემთხვევაშიც ძალიან ძნელი იყო ეკონომიკაზე ფიქრი და ზრუნვა ისეთ მემკვიდრეობაში და იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკული ეკონომიკა, თეორიულისგან განსხვავდება, მაგრამ მაინც შესაძლებელი. გახსოვთ, ალბათ, ის გაჭირვება, რაც მაშინ იყო, გაუფასურებული კუპონი, დაკარგული ანაბრები, რომლებიც ჩვენ დაგვიტოვეს ჩვენმა წინაპრებმა, ათასობით გაუბედურებული და უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქე, რამდენიმე გამდიდრებული სახელმწიფო მოხელე, უშუქობა, უწყლობა, უგაზობა, ლუკმა პურის საშოვნელად საქართველოდან უცხოეთში ემიგრირებული ხალხი და ა.შ, თუმცა, ამ პერიოდის ნათელი წერტილი იყო მაშინდელი ფინანსთა მინისტრი ბატონი დავით იაკობიძე, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის მტკიცე კურსის

მქონე ლარის შექმნასა და სხვა ეროვნული საქმეების დაცვაში, მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

3. მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს, პირველი, რაც მახსენდება, (ეკონომიკითა და ეკონომიკური პოლიტიკით შემოვიფარგლები) ეს არის საქართველოს სინგაპურიზაციის პოლიტიკა და სოფლის მეურნეობის სრული იგნორირება, არაკვალიფიციურობა, დედალი და მამალი ძროხების გარჩევა და ა.შ. ამ დროს უკვე გარკვეული ვიყავი ეკონომიკურ საკითხებში, წინა ორი მთავრობის პერიოდებთან შედარებით და მიკვირდა, თუ როგორ შეიძლებოდა საქართველოსნაირი ბუნებრივი კლიმატური პირობებითა და რესურსებით მდიდარი ქვეყნისთვის რადიკალურად განსხვავებული ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის დასახვა. სოფლის მეურნეობა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი დარგია – წყალი, ღვინო, ციტრუსები, თამბაქო, ჩაი, ეთერზეთები და ა.შ. ბოლო ოთხი ხშირად ავიწყდებათ ხოლმე, მაგრამ სწორი ეკონომიკურ-პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავებითა და განხორციელებით შეიძლება ქვეყანამ ამ პროდუქტების წარმოებით ძლიერი ეკონომიკა შექმნას. ქვეყანა ვერასდროს ვერ იქნება ეკონომიკურად სტაბილურ მდგომარეობაში, თუ მას არ გააჩნია განვითარებული და ძლიერი სოფელი, რაც გულისხმობს ქარხნებს, სამუშაო ადგილებს, სოფლად და ქალაქში. ტურიზმი ნაკლებადმდგრადი დარგია, რაზეც შეიძლება ეკონომიკა განავითარო, თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ მხოლოდ ტურიზმით შორს ვერ წავალთ. სასოფლო-სამეურნეო წარმოება და მრეწველობა არის ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის საფუძველი. ამ პერიოდში აღარ იდგა წყლის, შუქის, გაზის და გაუფასურებული ეროვნული ვალუტის პრობლემა და ვითარდებოდა ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით აღსანიშნავია სასტუმროები და ტურიზმის განვითარება, მაგრამ სამაგიეროდ, არ ვითარდებოდა სოფლის მეურნეობის გარდა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი (თუმცა აქ არ შეიძლება დავუკარგოთ მთავრობას და არ ავღნიშნოთ ის უდიდესი მიღწევა, როგორიცაა საბაჟო პროცედურების გამარტივება და რასაც „ერთი ფანჯრის პრინციპი" ჰქვია. საათობით რიგში დგომისა და უამრავი დოკუმენ-

ტის ნაცვლად რამდენიმე წუთში ერთი ან ორი დოკუმენტით ხდებოდა საქმის წარმოება, მაგრამ აქაც იყო პატარა ლაფსუსი. კერძოდ, „ასიკუდა"-ს პროგრამაზე გადასვლამ გამოიწვია საკმაოდ სერიოზული პრობლემები ტვირთების, პროდუქტების აღრიცხვის მხრივ, რამაც უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა სტატისტიკური მონაცემებით ქვეყნის უზრუნველყოფაზე. არ ვითარდებოდა მცირე და საშუალო ბიზნესი. ადგილობრივი წარმოების არ ქონა იწვევდა იმპორტის ზრდას და ექსპორტის შემცირებას და გაგვაჩნდა და, სამწუხაროდ, დღესაც გაგვაჩნია ვაჭრობაში გაუმართლებლად უარყოფითი ბალანსი. ევროკავშირისკენ მისწრაფებისას და ამაზე ფიქრისას თუ განხილვისას, არავინ არ საუბრობს იმაზე, რომ ქვეყანას, რომელსაც არ გააჩნია განვითარებული მცირე და საშუალო ბიზნესი და არ აქვს დადებითი სავაჭრო ბალანსი ან დადებითთან მიახლოებული მაინც, შანსი არ გააჩნია ევროკავშირში გაწევრიანებისა. თუმცა, გამონაკლისები არსებობს და რამდენად მოხვდება საქართველოც ამ გამონაკლისებში – ფრიად სადავო საკითხია, რადგან ევროპის განვითარებულ ეკონომიკებს თავისიც ჰყოფნით. ფაქტიურად, ბულგარეთი, რუმინეთი, საბერძნეთი ახლა უკვე პორტუგალია, იტალია, ესპანეთი იმყოფებიან კრიზისის პირობებში. მათი ეკონომიკების შენახვაც უჭირთ და ამას მიმატებული საქართველო? პასუხი მკითხველისთვის მიმინდია. ასევე აღსანიშნავია, სხვადასხვა კვლევითი ინსტიტუტების დახურვა: გეოდეზიის, ეკონომიკის და ა.შ. პარადოქსია, იგებოდა გზები და არ არსებობდა ქვეყანაში გეოდეზიის ინსტიტუტი და არცერთი ამ პროფესიის ადამიანი არ იყო ჩართული ამ საქმიანობაში და შედეგიც შესაბამისი იყო. თითქმის ყველა სფეროში სხვადასხვა ეკონომიკურ კვლევებს, ტექნიკურ ეკონომიკურ დახასიათებებს, ფასის სარგებლიანობის ანალიზებს, ამა თუ იმ პროექტზე ახორციელებდნენ ევროკავშირის ექსპერტები, სხვადასხვა საკონსულტაციო ფირმები და არცერთი ქართველი ეკონომისტი არ იყო ჩართული. უცხოელების ჩართულობა კარგია, მაგრამ ჩვენი პროფესიონალების დავიწყება დიდი შეცდომა იყო. ალბათ, ზოგიერთი იტყვის, რომ არ გვყვავდა კარგი ეკონომისტებიო, მა-

გრამ ეს სიცრუე იქნება. უფრო მეტიც, ეს კვლევები ზოგი გრანტით ფინანსდებოდა, ხოლო ზოგზე მთავრობა კრედიტს იღებდა და ამით იზრდებოდა საგარეო ვალი, როდესაც ამის გაკეთება ქვეყნის შიგნით შეეძლოთ ქართველ ეკონომისტებს. კიდევ ერთი აღსანიშნავი შეცდომა გახლდათ 40/50 წელს ზემოთ კვალიფიციური კადრების იგნორირება მხოლოდ ასაკის გამო და იმ ფსევდო სტერეოტიპებისა, თითქოსდა ისინი იყვნენ საბჭოთა კავშირის გადმონაშთნი. რა თქმა უნდა, ნაწილი იყო კიდეც, მაგრამ უმეტესი ნაწილი არ იყო და უსამართლოდ რჩებოდა უმუშევარი. პარალელურად კი, დასაქმებული იყვნენ არაკვალიფიციური ახალგაზრდები და ხშირად მაღალ თანამდებობებზეც, განსაკუთრებით სახელმწიფო სექტორში, რომლებიც ვერც ქვეყნის შიგნით აკეთებდნენ საქმეს და ქვეყნის გარეთ კი სახელს გვიტეხდნენ თავისი არაკვალიფიციურობით და ხანდახან ამას მიმატებული უკულტურობითაც და ბრუნდებოდნენ სამშობლოში საკითხში სრულად გაურკვევლები. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ რამდენიმე კარგი კადრიც იყო სხვადასხვა სამინისტროებში, საქართველოსა თუ უცხოეთში მიღებული განათლებით. თუმცა, რაოდენობრივად ბევრად ნაკლებნი იყვნენ ასეთები. ხშირ შემთხვევაში არ არსებობდა არანაირი, მენეჯმენტი. ქართულ ბაზრებზე იყო მონოპოლიები, ოლიგოპოლიები და დუოპოლიები და პროდუქტებზე, დაწყებული საწვავით, გაუმართლებლად მაღალი ფასები.

4. დღევანდელ მმართველებზე, როდესაც არის საუბარი, პირველ რიგში აღსანიშნავია ის საკითხი, რაც არცერთი მთავრობის მიერ მანამდე არ წამოჭრილა – ადგილობრივი წარმოების გაუმჯობესების კუთხით და ეს მართლაც რომ დასანახი და დასაფასებელია. ასევე ფონდები სოფლის მეურნეობის სამინისტროს განკარგულებაში, რაც ასევე მისასალმებელი ფაქტია, რომ ჩვენი მთავრობა ცდილობს სოფლის მეურნეობის წახალისებას, მაგრამ ხომ არ არის დაწესებული მაღალი გადასახადები? 2 წლის განმავლობაში 3 % მშვენიერია, როდესაც 13-დან 10-ს სახელმწიფო იღებს თავის თავზე, მაგრამ ქალაქში 6-მაგი და სოფელში 4-მაგი ღირებულების დამატება, ბევრი

ხომ არ არის? თუნდაც 150 000 ბევრი ხომ არ არის სათბურისთვის? ან სოფლის მეორნეობის დარგში რამდენიმე მლნ. პროექტი ბევრი ხომ არ არის? ეს, ალბათ, უკვე ფეხზე დაყენებულ ფირმებსა და კერძო მეწარმეებზე „ბიზნესმენებზეა" გათვლილი, თორემ ჩვეულებრივი გლეხისთვის, ფერმერისთვის არ არის მიზანშეწონილი ასეთი დიდი თანხები სოფლის მეურნეობისთვის და წარმოების შესაქმნელად. სამწუხაროდ, ქართულ ბაზრებზე დღესაც მონოპოლიები, ოლიგოპოლიები და დუოპოლიებია და პროდუქტებზე, დაწყებული საწვავით, გაუმართლებლად მაღალი ფასებია და, თანაც, ეს ფასები დროთა განმავლობაში, კვლავ იზრდება.

რა უნდა განხორციელდეს დღეს ეკონომიკის განვითარებისთვის?

საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა დავა იმაზე, უნდა ერეოდეს თუ არა სახელმწიფო ეკონომიკაში, თუ ეკონომიკამ თვითონ უნდა მოაგვაროს თავისი საქმე სახელმწიფოს, მთავრობის ჩარევის გარეშე და იყოს ისე, როგორც არის, როგორც ამას ადამ სმიტი ამბობდა. თუ ჯონ მეინარდ კეინსის მიდგომაა სწორი, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს, მთავრობის მარეგულირებელ როლს ეკონომიკაში თუ სხვა რომელიმე თეორია?

რასაკვირველია, უმჯობესია მოთხოვნა-მიწოდებამ თვითონ განსაზღვროს ფასები და ეკონომიკა თვითონ განვითარდეს, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში აუცილებელია, მთავრობის ჩარევა და იგი ერევა კიდეც, რადგან, როგორც საერთოდ განვითარებად ქვეყნებში, ბაზრის განუვითარებლობის გამო, საქართველოშიც აუცილებელია სახელმწიფომ შეასრულოს ეკონომიკის მარეგულირებელი როლი. რაც შეეხება ეროვნული ბანკის საქმიანობას, პირველ რიგში საჭიროა:

1. ეროვნული ბანკის მიერ საპროცენტო განაკვეთის დაწევა და ფულის მიმოქცევის რეგულირება, რათა არ მოხდეს ინფლაცია, ეს საშუალებას მისცემს მეწარმეებს, ბიზნესმენებს, საწარმოებს, ფირმებს კრედიტების აღებისა დაბალ პროცენტში, რაც,

თავის მხრივ, გაზრდის წარმოებას, შექმნის სამუშაო ადგილებს, დაასაქმებს ხალხს, გაზრდის ექსპორტს, შეცვლის სავაჭრო ბალანსს დადებითისკენ. იმპორტი აღარ შეჭამს ადგილობრივ წარმოებას, ამასთან, გამოიკვეთება ის პროდუქტები, რაზეც საქართველოს გააჩნია შეფარდებითი უპირატესობა, რაც ხშირად გვავიწყდება ხოლმე. თუმცა, როდესაც არაფერს არ აწარმოებ ან აწარმოებ რამდენიმე პროდუქტს, იქ ცოტათი ნაადრევია დევიდ რიკარდოსა და შემდგომში ჰაქსტერ ოჰლიმის (მათემატიკურ/ეკონომიკური თეორიის) მიერ განვითარებული თეორიის გამოყენება პრაქტიკაში. თავის მხრივ, წყალი და ღვინო ის პროდუქტებია, რაშიც საქართველოს, ფაქტიურად, უკვე გააჩნია შეფარდებითი უპირატესობა და მომავალში შეიძლება მათი გამყარება და სხვა პროდუქტების გამორკვევა. ეს ყველაფერი შეამცირებს საქართველოს საგარეო ვალს და ხელს შეუწყობს ქვეყანაში საშუალო ფენის წარმოშობას.

2. კერძო ბანკებზე კრედიტზე პროცენტის შემცირება. დღეს სხვა პრობლემებთან ერთად, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, საქართველოში ბანკებს გააჩნიათ მაღალი პროცენტი კრედიტზე და საკმაოდ დაბალი ანაბარზე. მსგავს მონაცემებს იშვიათად თუ ნახავთ სხვა ქვეყნებში. სახელდობრ, საპროცენტო განაკვეთებში სხვაობაც ძალიან დიდია კრედიტსა და ანაბარს შორის. საპროცენტო განაკვეთი კი უნდა არეგულიროს ეროვნულმა ბანკმა, პროცენტის აწევ-დაწევით, გამომდინარე ბაზრებსა და ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებიდან.
3. სამწუხაროდ, ქართულ ბაზრებზე დღესაც არსებობს მონოპოლიები, ოლიგოპოლიები და დუოპოლიები და პროდუქტებზე, დაწყებული საწვავით (საწვავზე ფასები კი, ხშირ შემთხვევაში, განსაზღვრავს სხვა პროდუქტების ფასებს), კვლავ მაღალი ფასებია და უფრო მეტიც, დროთა განმავლობაში ეს ფასები უფრო იზრდება და თუ ამას შესაბამისი რეაქცია არ მოყვა მთავრობისგან, ფასები კიდევ უფრო გაიზრდება, მით უმეტეს, ჩვენი ევროკავშირში ინტეგრაციის პირობებში.

4. ტრანსპორტი – წინა მთავრობების მმართველობის დროს გაუმართლებლად გასხვისებული სტრატეგიული ობიექტების დაბრუნება, რაღა თქმა უნდა, უპირველესი პრიორიტეტია. არ შეიძლება ვიფიქროთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, როდესაც არცერთი პორტი არ არის ჩვენს დაქვემდებარებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის ეკონომიკის განვითარებას. როგორ მაღალ დონეზეც არ უნდა გადაიჭრას და მოგვარდეს ზემოთ აღნიშნული პრობლემები, რისი იმედიც ისევ არსებობს ხალხში, ყველაფრის და მიუხედავად, თუ შენარჩუნდა პორტებში ის მაღალი ტარიფები, რაც დღეს არსებობს, ვერ განვითარდება ვაჭრობა. ეს კი, ერთ-ერთი მთავარი რგოლია ეკონომიკისა. სატრანსპორტო სექტორის ეფექტურობის ასამაღლებლად საჭიროა მთავრობის ჩარევა, რათა გამოსწორდეს ბაზრის სისუსტეები. სატრანსპორტო სექტორის მომსახურების მომწოდებლებს ესაჭიროებათ ხელმძღვანელობა, რათა შემცირდეს ხარჯები სახეობათა მიხედვით. საჭირო არის ინვესტირება სატრანსპორტო მომსახურების მოდერნიზაციაში.

საქართველოს სატრანსპორტო დერეფნის მხრივ გააჩნია შესანიშნავი გეოპოლიტიკური მდგომარეობა და გეოგრაფიული მდებარეობა, იგი, როგორც მოგეხსენებათ, აკავშირებს ევროპას და აზიას და კავკასიის დერეფანი არის უმოკლესი მარშრუტი ამ ორ კონტინენტს შორის, მაგრამ აქაც ვაწყდებით პრობლემებს. რა არის ეს პრობლემები? და რატომ მოძრაობს ევროპული პორტებიდან თუ რკინიგზებიდან ტვირთი ალტერნატიული დერეფნების გავლით? რატომ ვერ ვუგებთ კონკურენციას სამხრეთ დერეფანს თურქეთი-ირანი და შემდეგ აზია ან ევროპიდან რუსეთის გავლით აზიაში მიმავალ გადაზიდვებს? ამის ძირითადი მიზეზები რამდენიმეა:

1. მაღალი ტარიფები – მაგალითად, თუ ტარიფები ჩვენს პორტებში შემცირდება დაახლოებით 10 პროცენტით და სატრანზიტო დრო შემცირდება ერთი კვირით, მაშინ კავკა-

სიური დერეფანი გახდება სერიოზული კონკურენტი ჩრდილო და სამხრეთ დერეფნებისთვის.

2. აუცილებელია პორტებსა და რკინიგზას შორის მოგვარდეს განრიგის პრობლემა და ზუსტად იქნეს აღნიშნული პორტში სხვადასხვა ტვირთის მიღების და, შესაბამისად, მატარებლის გასვლის დრო, რათა არ მოხდეს შეფერხება და მოგვარდეს დროის პრობლემა. ამ საკითხს, და არა მხოლოდ ამ საკითხს, აუცილებლად სჭირდება ლოჯისტიკური ცენტრის მშენებლობა და, ზოგადად, ლოჯისტიკის დანერგვა ქვეყანაში, რადგან ამის გარეშე ბიზნესი არ ვითარდება. ჰოლანდია, ბელგია, უკვე თურქეთი, ამას მშვენივრად ახორციელებენ. ჰოლანდიაში, როგორც მოგეხსენებათ, ლოჯისტიკა ისწავლება საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე, როგორც ცალკე სფერო, პროფესია.
3. მეზობელი ქვეყნების დახმარების გარეშე, მხოლოდ საქართველო ვერაფერს გახდება კავკასიაში, ხოლო ამ მეზობლებში კი, მოგეხსენებათ, თუ როგორი კორუფციაა. საჭიროა კორუფციასთან ბრძოლა.
4. კავკასიაში მეზობელი ქვეყნები ასევე შავ ზღვასა და კასპიის ზღვაში ფლობენ მონოპოლიებს. ესეც დიდი პრობლემაა, თუმცა, მათ დაიწყეს ამასთან ბრძოლა. რამდენიმე დღის წინ ბაქოში კონფერენციაში მივიღე მონაწილეობა და ბაქოს მშენებარე პორტისა და ლოჯისტიკური ცენტრის დათვალიერებისა და აზერბაიჯანელ კოლეგებთან ურთიერთობისას დავრწმუნდი, რომ ისინი არსებულ პრობლემებს ძალიან მალე მოაგვარებენ და იქამდე ჩვენც თუ გადავჭრით ჩვენს პრობლემებს, კავკასიური დერეფანი ნამდვილად, არათუ კონკურენციას გაუწევს ჩრდილო და სამხრეთ დერეფნებს, არამედ მოუგებს კიდეც.
5. სატრანსპორტო გადაზიდვებში, რა თქმა უნდა, უსაფრთხოებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამ მხრივ, ჩვენ მოწოდების სიმაღლეზე ვართ.

6. დღეს არსებული პროექტებიდან ტრანსპორტის სექტორში, რომლებშიც საქართველოა გაწევრიანებული, ყველაზე მნიშვნელოვანი ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზის შექმნა გახლავთ, რასაც უდიდესი ეკონომიკური და პოლიტიკური დატვირთვა გააჩნია და რაც მოგვცემს დამატებითი ტვირთების მოზიდვის საშუალებას, როგორც ჩინეთიდან და ზოგადად აზიიდან, ასევე პირიქით, ევროპიდან რუსეთის გვერდის ავლით.
7. ადამ სმიტის ცნობილი აბსოლუტური უპირატესობისა და დავიდ რიკარდოს შეფარდებითი უპირატესობის თეორიებმა, შემდგომში ჰუქსტერისა და ოჰლიმის მიერ ჭრილში განვითარებულმა, მიბიძგა ტრანსპორტის სფეროში ამ თეორიის საფუძველზე გამომეყენებინა აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლებიც. აღსანიშნავია, რომ გადაზიდული ტვირთი ტრანსპორტის დარგში ტონობით იზომება, ხოლო ტვირთბრუნვა იზომება ტონა/კილომეტრებში. მაგალითად:
   ა) თუ 5 ტონას გადავიტანთ 20 კილომეტრზე, გადაზიდული ტვირთი იქნება 5 ტონა, ხოლო ტვირთბრუნვა 100 ტონა/კილომეტრიც, რაც შეფარდებითი მაჩვენებელია. სახელდობრ, პირველი აბსოლოტურია.
   ბ) თუ 20 ტონას გადავიტანთ 5 კილომეტრზე, ამ შემთხვევაში გადაზიდული ტვირთი იქნება 20 ტონა, ხოლო ტვირთბრუნვა 20X5=100 კილომეტრი.

აღნიშნულ თეორიას/იდეას თუ გამოვიყენებთ სატრანსპორტო გადაზიდვებში, იქნება ეს სარკინიგზო თუ საავტომობილო ტრანსპორტით, შევძლებთ უფრო ნათელი სურათის დანახვას, მოვლენების წინასწარ შეფასებას, რისკების თავიდან აცილებას, მოგების გაზრდას. უფრო მეტიც, პერსპექტივაში სავარაუდო მოგების წინასწარ განსაზღვრასაც.

5. ენერგეტიკა – განსაკუთრებით დღეს, ისე როგორც არასდროს, მსოფლიო დგას წყლის რესუსრსების დეფიციტის წინაშე და ჩვენ გვეძლევა შანსი ჩვენი რესურსების გამოყენებისა და ქვეყნის აყვავებისთვის. საქართველოში არსებობს 26 ათასამდე დიდი, საშუალო და მცირე ზომის მდინარე. ელექტრო ენერგიის მისაღებად ჩვენ უტილიზირებული გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ 10 %, რაც ძალიან ცოტაა. საქართველოში არსებული წყლის სწორად გამოყენების შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია გავხდეთ ერთ-ერთი ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული სახელმწიფო არამცთუ რეგიონში, კავკასიაში, არამედ მთელს ევროპასა და აზიაში. საქართველო წყლის რესურსებით, შვეიცარიასთან ერთად, ყველაზე მდიდარი ქვეყანაა. სამწუხაროდ, ამ დარგშიც პრობლემებია და ჩვენ სათანადოდ ვერ, ან არ ვიყენებთ ამ რესურსს, მაგრამ იმედია, მომავალში ჩვენი მთავრობა დაიწყებს ამ საკითხზე ინტენსიურ მუშაობას და ჩვენი უცხოელი მეგობრებიც დაგვეხმარებიან ამაში. თუმცა, ჩვენ დახმარების გარეშეც შეგვიძლია ჩვენი მდიდარი რესურსების ბოლომდე ათვისება და მოხმარება ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.
6. მწვანე ტრანსპორტი – დღეს აშშ, ევროპისა და აზიის რამდენიმე ქვეყანა აქტიურად მუშაობს ამ საკითხზე და დიდი წარმატებებიც აქვთ. საქართველოს ყველანაირი რესურსი გააჩნია ამ სფეროში გახდეს სამაგალითო ქვეყანა, მაგრამ თავდაპირველად საჭიროა ზემოაღნიშნული პრობლემების მოგვარება სხვადასხვა ეკონომიკურ სფეროებში. მოგეხსენებათ, თუ როგორ აბინძურებს გარემოს CO_2. მწვანე ტრანსპორტი ამცირებს საგზაო ტრანსპორტიდან მიღებულ გამონაბოლქვს, რომელიც, თავის მხრივ, ყველა სხვა სატრანსპორტო საშუალებასთან შედარებით, მეტ გამონაბოლქვს გამოსცემს – საქართველოში CO_2-ის სახით გამოცემული გამონაბოლქვის დაახლოებით 40%-ს. საერთაშორისო ენერგეტიკის სააგენტოს მიხედვით, 2009 წელს საგზაო ტრანსპორტში გამონაბოლქვის CO_2 გამონაბოლქვი

შეადგენდა 2 მილიონ ტონას, მაშინ როდესაც, ტრანსპორტის სხვა სექტორებში – 0,2 მლნ. ტ-ს, ჯამური 5,7 მილიონი ტონიდან. სამანქანო/საავტომობილო გამონაბოლქვის შემცირება გამოიწვევს საქართველოს მოსახლეობის სასიცოცხლო პირობების გაუმჯობესებას და შეამცირებს ჯანმრთელობის ხარჯებს. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოტორიზაციის მაჩვენებელი მაღალშემოსავლიან განვითარებულ ქვეყნებში მშპ ერთ სულ მოსახლეზე 7,500 აშშ დოლარის შემთხვევაში – 100 ან 300 ავტომანქანა 1000ადამიანზე, მათ შორის: ყველაზე დაბალ საფეხურზეა აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, შემდეგ დასავლეთ ევროპის ქვეყნები და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნები – ყველაზე მაღალ საფეხურზე. წელიწადში 7% საშუალო ზრდის დაშვების შემთხვევაში, 2027 წლისთვის საქართველოს მშპ ერთ სულ მოსახლეზე 7500 აშშ დოლარს მიაღწევს.

დღეს შემდეგი ტენდენციაა: ასე თუ ისე, არის ეკონომიკური ზრდა, რაც ზრდის მოთხოვნას კერძო ავტომობილებზე და, აგრეთვე, სხვა მანქანებზე. ეს კი, თავის მხრივ, ზრდის მოთხოვნას ნავთობ პროდუქტებზე, რაც, საბოლოო ჯამში, ზრდის ფასებს.

ყველაფერი ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იბადება კითხვა: რა არის მწვანე ტრანსპორტი და რატომ არის იგი მნიშვნელოვანი საქართველოსთვის?

ქვეყანას ნაკლები სახსრების დახარჯვა დასჭირდება გარემოს დამაბინძურებელი ნავთობპროდუქტების იმპორტირებისთვის, რაც ურთიერთკავშირშია საკუთარი წარმოების ელექტრო ენერგიის გამოყენებასთან. ამასთან, აღნიშნული არა მარტო დანახარჯებს შეამცირებს, არამედ უფრო სუფთას გახდის გარემოს. ნახშირბადის შემცველი მოპოვებითი სათბობი, რომელიც გარემოს აბინძურებს, შეიცვლება საკუთარი წარმოების ელექტრო ენერგიით, ანუ ე.წ. მწვანე ტრანსპორტით. ეს, ამავე დროს, გააუმჯობესებს სავაჭრო ბალანსს, რადგან შემცირდება იმპორტის ხვედრითი წილი, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ექსპორტის ხვედრითი წილის ამაღლე-

ბას, თუნდაც მისი აბსოლუტური მოცულობის გადიდების გარეშეც. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას, ტრანსპორტის მთლიანი დანახარჯების შემცირებას ყველა პირდაპირი თუ არაპირდაპირი დანახარჯის ჩათვლით. ზემოაღნიშნული კი ხელს შეუწყობს მთლიანი სოციალური კეთილდღეობიდან მიღებული სარგებლის გადიდებას.

ინოვაციის დანერგვა საქართველოში უნდა მოხდეს ისე, რომ:

- არ გამოიწვიოს ფასების გაუმართლებელი ზრდა ტრანსპორტზე;
- არ გამოიწვიოს მოსახლეობის უკმაყოფილება და არ შემცირდეს ეკონომიკური ზრდა;
- საჭიროა მთავრობის ჩარევა, რადგან მხოლოდ საბაზრო მექანიზმი, ბაზარი ვერ უზრუნველყოფს ამ პრობლემის მოგვარებას.

ყურადსაღებია შემდეგი გარემოება, მწვანე ტრანსპორტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მასზე დაბალი ფასების დაწესება/მიღწევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, არც ჰიდრო ენერგო რესურსებზე მოთხოვნა გაიზრდება და არც მწვანე ტრანსპორტზე. ამისათვის საჭირო ხარჯები, რომლებიც დიდ ხვედრით წილს იკავებს ქვეყნის მშპ-ში, გაუმართლებლად რომ არ გაიზარდოს, აუცილებელია საქართველოს ჰიდრო ენერგეტიკული რესურსების წარმოების შემდგომი გადიდება და მისი პროდუქციის ადგილზე მაქსიმალურად გამოყენება, შედეგად – სათბობის წარმოებისა და მოხმარების თანაფარდობის სრულყოფა, მისი სტრუქტურის და სათბობის ბალანსის სტრუქტურის არსებითი გაუმჯობესება, რაც უნდა გამოიხატოს საკუთარი ჰიდრო რესურსებით იმპორტული ნავთობ პროდუქტების ჩანაცვლებაში.

საერთაშორისო ვაჭრობა რეგიონში უზრუნველყოფს ეროვნული და უცხოური ვალუტის ამონაგების (შემოსავლების) ზრდას, რაშიც დიდ როლს თამაშობს ტრანსპორტის სექტორის განვითარება. ექსპორტის კომერციული მომსახურეობის 50%-ზე მეტს სატრანსპორტო მომსახურება შეადგენს. საქართველოს გააჩნია

პოტენციალი, მთელ ენერგო რესურსებში ჰიდრო რესურსების ხვედრითი წონა აამაღლოს 90%-მდე და ეს ყოველმხრივ გამართლებული იქნება, როგორც დანახარჯების შემცირების, ისე ეკოლოგიური თვალსაზრისით.

რასაკვირველია, არსებობს რისკებიც. კერძოდ: სეზონური ხასიათი – გაზაფხულზე და ზაფხულში ჰიდრო რესურსები ჭარბად არის, ხოლო ზამთარში მისი დეფიციტია.

უნდა აშენდეს და შენდება კიდეც სარეზერვო ჰიდრო ელექტრო სადგურები, რომლებიც უზრუნველყოფენ დეფიციტის პირობებში არამარტო საკუთარი მოთხოვნის, არამედ ექსპორტის გადიდებასაც. ჰიდროენერგიის ექსპორტის ზრდასთან ერთად არ უნდა მოხდეს მისი ადგილობრივი მოხმარების შემცირება. პირიქით, სრულად უნდა დაკმაყოფილდეს ეს მოთხოვნილება, განსაკუთრებით, ენერგოტევადი დარგები, პირველ რიგში, – ქართული რკინიგზის. ხელმისაწვდომი ფასის მქონე მწვანე ავტომობილების არჩევანი დაეხმარება ქალაქებს, აირიდონ დაბალი სიმჭიდროვის მქონე გარეუბნების უწესრიგო ზრდა, რაც მოითხოვს მანქანაზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურის განვითარებას და ეს კი, თავის მხრივ, აძლიერებს მანქანაზე დამოკიდებულ და დაბალი სიმჭიდროვის მქონე დასახლებების ცხოვრების სტილს. საქართველოში ნავთობის (ბენზინის) ფასები მაღალია, ნავთობმწარმოებელ ქვეყნებთან შედარებით და დაბალია სხვა ნავთობის არამწარმოებელ ევროპულ ქვეყნებთან შედარებით. საერთაშორისო ენერგეტიკის სააგენტოს მონაცემებით, 2050 წლისთვის, აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, მოთხოვნა ნახშირბადოვან საწვავზე შემცირდება 30%-ით. ეს სათბობ რესურსების წარმოებისა და მოხმარების სტრუქტურაში არსებითი პროგრესული ცვლილებების მაჩვენებელი იქნება.

7. სოფლის მეურნეობა – კიდევ ერთხელ განვმეორდები და აღვნიშნავ, რომ ჯერ არცერთი მთავრობის პირობებში არ ყოფილა სოფლის მეურნეობაზე ისეთი ყურადღება გამახვილებული,

როგორიც ახლა არის და არავინ არ დადგომია ისე სოფელს გვერდით, როგორც დღევანდელი მთავრობა უდგას. ეს მისასალმებელი და დასაფასებელია, მაგრამ იქნებ შემცირდეს საპროცენტო განაკვეთი და შემცირდეს ის თანხობრივი ზღვარი, რაც არსებობს სხვადასხვა პროექტებზე, რადგან ქალაქში ექვსმაგი ღირებულების ოდენობის დამატება და სოფლად ოთხმაგის, დამერწმუნებით, რომ ბევრია. (პროექტი ანარმოე საქართველოში). ზოგადად სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ პროექტებში საპროცენტო განაკვეთის დაწევა სესხზე და დაწესებული თანხობრივი ზღვრების შემცირება ნამდვილად კიდევ უფრო გაზრდის წარმოებას, უბრალო გლეხებისთვისაც ხელმისაწვდომი იქნება კრედიტები და ამავდრიულად მათ სტიმულიც გაეზრდებათ. აქვე აღსანიშნავია, რომ საჭიროა გლეხების, მცირე მეწარმეების გარკვეული პერიოდით, გადასახადებისგან განთავისუფლება და სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობაში დოტაციების განხორციელება.

8. აუცილებელია ანტი-მონოპოლიური სამსახურების და მაკონტროლებელი კომისიების შექმნა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი სახის მონოპოლიის (ოლიგოპოლია, დუოპოლია) წარმოშობა. ასევე, მონოპოლიის სხვა ძირითადი ფორმების (კარტელის, სინდიკატის, ტრესტის, კონცერნის) წარმოქმნის თავიდან აცილება.
9. საქართველოს ეკონომიკისა და ქვეყნის განვითარებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია სამეცნიერო/კვლევითი ინსტიტუტების აღდგენა და არსებულების გაძლიერება, ახალგაზრდა, საქართველოსა და უცხოეთში განათლება-მიღებული კადრების დასაქმება. რაღა თქმა უნდა, მაღალი ანაზღაურება უნდა იყოს პრიორიტეტი, რათა მოხდეს ახალგაზრდების დაინტერესება. უნდა განხორციელდეს ყველა ასაკის მეცნიერის ერთობლივი საქმიანობა და არ უნდა მოხდეს, როგორც ეს ხდებოდა წინა მთავრობის პერიოდში, მათი დისკრიმინაცია ასაკის გამო. ნორმალურ, განვითარებულ ქვეყნებში, როგორც

ცნობილია, მთავრობებს გვერდს უმაგრებს სხვადასხვა ინსტიტუტები, რომლებიც ეხმარებიან მათ სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. ეს ურთიერთობა გარკვეული ზომით იყო საქართველოში და უნდა აღდგეს დღესაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი რ., გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბილისი, „სიახლე“, 2010.
2. აქუბარდია თ., საბაზრო სისტემა და სახელმწიფო. თბილისი, „მეცნიერება“, 1996.
3. ბასარია რ., მესხია ი. გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკური პრობლემები. თბილისი, გამომცემლობა „სტატისტიკა“, 1995.
4. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ., პოსტ-სოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი, 2001.
5. ბალცეროვიჩი ლ., თავისუფლება და განვითარება. სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში. თბილისი, 2005.
6. ბობიო ნ., დემოკრატიის მომავალი. გამომცემლობა „ენა და კულტურა“. თბილისი, 2003.
7. ბული ჰ., ანარქიული საზოგადოება: წესრიგის საკითხი მსოფლიო პოლიტიკაში. გამომცემლობა „დიოგენე“. თბილისი, 2003.
8. გოგოხია რ., საბაზრო თუ შერეული ეკონომიკური სისტემა. ჟურნალი „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 2001, №4.
9. გოცირიძე რ., ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება. თბილისი, 1999, „ფავორიტი“.
10. თეთრაული ა., საბაზრო ეკონომიკის ქართული მოდელი და მისი თავისებურებანი. კრებული „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. ტ. I. თბილისი, 2000. „მეცნიერება“.
11. თოდუა გ., ვეშაპიძე შ. (რედ.), მსოფლიო ეკონომიკა. თბილისი, თსეი. „იურისტი“, 2001.
12. თურნავა ნ., ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგები, პრობლემები, პერსპექტივები. ჟურნალი „ეკონომიკა“, 2002, №3-4.
13. იაკობიძე დ., საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი. თბილისი, „კომენტარი“, 2009.
14. კაკულია მ., სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში. თბილისი, სესპსკი, 2001.

15. კაკულია რ., სახელმწიფოს ეკონომიკური ადგილი თანამედროვე ეპოქაში. კრებულში: საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ტ. V. თბილისი, სესპსკი, 2000.
16. ლეიაშვილი პ., ეკონომიკური თეორია და პრაქტიკა გარდამავალ ეტაპზე. თბილისი, 2002.
17. ლენდერტი პ.პ. საერთაშორისო ეკონომიკა. თბილისი, 2001. „სიახლე".
18. მალაშხია გ., ეკონომიკის თვითრეგულირებისა და ინსტიტუციურ-სოციალური რეგულირების ერთიანობა. კრებულში საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში, ტ. IV. თბილისი, 1999.სესპსკი.
19. მალაშხია გ., მეტაეკონომიკა – ეკონომიკის ფილოსოფია. თბილისი, 1995.
20. მენქიუ გ., ეკონომიკის პრინციპები. თბილისი, 2000.
21. მესხია ი., ეკონომიკური რეფორმა საქართველოში: რეტროპერსპექტივა და პროგნოზი. ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული, თბილისი, 1996.
22. მესხია ი., მურჯიკნელი მ., ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. თბილისი, თსუ, 1996.
23. მექვაბიშვილი ე., სახელმწიფო და ეკონომიკა. თბილისი, 1995. თსუ.
24. მოურავიძე დ., საქართველოს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და პრიორიტეტები. ბათუმი-თბილისი. 2001. გამომცემლობა „აჭარა".
25. პაიპსი რ., საკუთრება და თავისუფლება. თბილისი, 2004.გამომცემლობა „დიოგენე".
26. პაპავა გ., საბაზრო ეკონომიკის გამოჯანსაღებისა და ნორმალიზაციისთვის საქართველოში. თბილისი, 2000. „ფინანსები".
27. პაპავა ვლ., პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, 2002.
28. პაპავა ვლ., საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე. თბილისი, 1995. „მეცნიერება".

29. პაპავა ვლ. არატრადიციული ეკონომიკსი. თბილისი, 2011. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
30. პავლიაშვილი ს., პრივატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში. თბილისი, 2009. საქართველოს ტექნიკური ინსტიტუტი.
31. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2004, 2006, 2008, 2009, 2010. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი. თბილისი, 2004, 2006, 2008, 2009, 2010 წწ.
32. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტტ. 1-8; თბილისი, 2001-2010/
33. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები; ტტ. 1-7, თბილისი, 1996-2005.
34. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2009.
35. ყუფუნია გ., საქართველოს ეკონომიკა (მაკროეკონომიკური ასპექტები). თბილისი, 2010.
36. ყუფუნია გ., სახელმწიფოსა და ბაზრის ურთიერთობის საკითხისთვის. კრებულში: საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ტ. V, თბილისი, 2000. სესპსკი.
37. Бирман Г., Шмидт С., Экономический Анализ Инвестиционных Проектов. перевод с Английского. под ред. Л.П. Белых. Москва, «Банки и Биржи». 1997.
38. Богатырев А.Г., Инвестиционное Право. Москва, «Российское Право», 1992.
39. Ломакин В.К., Мировая Экономика. Москва, 2007.
40. Макализ Д., Экономика Бизнеса. Конкуренция, Макростабильность и Глобализация. Перевод с Английского О.А. Самошкиной. Москва, 2007.
41. Малашхия Г., Экономика Человечная. Экономико-Философские Суждения о Прогрессе и Выживании. Человек на Перепутье. Санкт-Петербург. Тбилиси. 2009

42. Молчанов К.В., Феноменология Капитализма. Москва, КРАИ. 2002.
43. Николаева И.П., (ред.) Теория Переходной Экономики. Москва, ЮНИГИ – ДАНА. 2001.
44. Папава В., Доктрина рыночного Равенства: Вопросы Теории и ее Приложения к Процессу Посткоммунистической Трансформации. Общество и Экономика. №12, 1999.
45. Папава В., Рыночное Равенство: Теория и Политика. Москва, Наука, 2001.
46. Шумпетер И., Капитализм, Социализм и Демократия. Москва, Экономика, №6, 1995.
47. Эклунд К., Эффективная Экономика. Шведская модель. Москва, Экономика, 1991.
48. John Duning, Governments, Globalisation and International Business. Oxford: Oxford University Press. 1997.
49. Stopford John, "Multinational Corporations". Foreign Policy, 1998-1999.
50. International Economics. Georgian Institute of Public Affairs. School of Government, International Affairs program. Tbilisi, 2006.
51. Reference Book of Human Recourse Development Cooperation Programs in the Framework of China Aid. China, 2012
52. ყუფუნია გ. საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, 2010.
53. იაკობიძე დ. საქართველო და მსოფლიო კრიზისი. თბილისი, 2009.
54. პაპავა ვლ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბილისი, 2000.